

ბერონტოლოგიისა და ბერიატრიის ექსპულური საპითსები

პირველი რესპუბლიკური კონფერენციის მასალები
(სექტემბერი, 1975 წ.)

„მეცნიერება“
თბილისი
1975

АКТУАЛЬНЫЕ ВОПРОСЫ ГЕРОНТОЛОГИИ И ГЕРИАТРИИ

**МАТЕРИАЛЫ ПЕРВОЙ РЕСПУБЛИКАНСКОЙ
КОНФЕРЕНЦИИ
(Сентябрь, 1975 г.)**

**«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1975**

5.A2.2
613.98.
გ.376.

სარედაქციო კოლეგია

გ. ბახტაძე, ს. დალაქიშვილი (მდივანი), თ. დეკანოსიძე, ი. ტატიშვილი, ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი).

Редакционная коллегия

Г. Г. Бахтадзе, С. М. Далакишвили (секретарь), Т. И. Деканосидзе, Н. А. Джавахишвили (редактор),
И. Я. Татишвили



წი ნ ა ს ი ტ უ ვ ა ო ბ ა

პირველი რესპუბლიკური კონფერენციის მოწვევა გერონტოლოგიისა და გერიატრიის აქტუალურ საკითხებზე განპირობებულა საქართველოში დაბერების პროცესის არსის და ხანშიშესულთა და მოხუცთა დაავადების თავისებურების საკითხზე წარმოებული მეცნიერული კვლევა-ძიების ურთიერთგაცნობისა და გარკვეულ ფარგლებში კოორდინირების საჭიროებით, აგრეთვე იმ საკითხების ერთობლივი განხილვის აუცილებლობით, რომლებსაც სადღეისოდ ჩვენ წინაშე აყენებს ცხოვრება. ძირითადად ამ მიზნებს იხსახვდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, როდესაც ჩამოაყალიბა გერონტოლოგიისა და გერიატრიის საკოორდინაციო სამეცნიერო საბჭო.

ყოველი ახალი წამოწყება, ისე როგორც ეს პირველი კონფერენცია, არ არის დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან. პირველ რიგში ამ პრობლემით დაინტერესებულ სპეციალისტთა მოზიდვის სისრულის თვალსაზრისით, თუ არაფერს ვიტყვით თვით კონფერენციის ორგანიზაციის საქმეში არსებულ ხარვეზებზე. მაგრამ, რამდენე-ნადაც საქმე დაწყებულია, უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ გამოვლი-ნებული ნაკლები გამოსწორდება და მუშაობა გაუმჯობესდება.

თუმცა გერონტოლოგია როგორც მეცნიერება არა არის ახალი, განვითარების თანამედროვე ეტაპზე დაბერების პროცესის შესწავ-ლა სრულიად განსაკუთრებული აქტუალობის საკითხად გადაიქცა. დასამალი არ არის, რომ პირველ რიგში სამედიცინო მეცნიერების განვითარებამ, სამკურნალო მედიცინის წინსვლამ, აგრეთვე მოსახ-ლეობის ჯანდაცვის სახელმწიფოებრივ სისტემაში პროფილაქტიკუ-რი მედიცინის ფართო დანერგვამ ტექნიკურ პროგრესთან ერთად, რომელმაც სრულიად ახალი ყოფა შექმნა, განსაკუთრებით განვი-თარებულ ქვეყნებში, განაპირობა სიცოცხლის ხანგრძლივობის

მნიშვნელოვანი გაზრდა, აქან კი, თავის მხრივ, ადამიანთა საზოგადოების „დაბერება“.

ყოველივე ამან მოსახლეობის სტრუქტურაში გამოაწვია თვითობრივი ძვრები. რიგი სოციალური და სამედიცინო პრობლემების გამწვავებამ ახლებურად დააყენა საკითხი უფროსი ასაკის პირების ცხოვრების ნორმების და შრომითი მოწყობის, ასაკობრივი ცვლილებების, რომლებიც ვითარდებიან მთელ სიცოცხლის მანძილზე, თავისებურებების და გამოვლინების ვადების შესწავლის საჭიროების შესახებ, იმ ფაქტორების გარკვევისა, რომლებიც ხელს უწყობენ ასაკობრივი ცვლილებების აღმოცენებას და ადრე გამოვლინებას.

სიცოცხლის გახანგრძლივებას თან მოჰყვა ორგანიზმის უფრო გვიანი დაბერება, გონებრივი და ფიზიკური ძალების გარკვეულ ფარგლებში შენარჩუნება, ამან კი თავის მხრივ განაპირობა უფროსი ასაკის პირების მისწრაფება აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქარგებლო შრომაში.

ტექნიკურმა პროგრესმა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართო დანერგვამ რეალური შესაძლებლობა შექმნა უფროსი ასაკის პირების მიზიდვისა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. ეს გარემოება განსაკუთრებით საგულისხმოა ისეთ ადგილებში, სადაც მაღალგანვითარებული ინდუსტრიაა, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა შედარებით მცირეა, კერძოდ ისეთ ქვეყნებში, როგორცაა საქართველოს სსრ, სადაც მოწინავე მრეწველობასთან ერთად სოფლის მეურნეობაც ისეთი კულტურებით არის წარმოდგენილი, რომლის მოვლა უფრო მაღალ ცოდნასა და გამოცდილებას საჭიროებს, თუ აღარაფერს ვიტყვით უახლოეს წლებში სახალხო მეურნეობის განვითარების ფართო პერსპექტივებზე.

ყოველივე ეს განსაკუთრებულ სოციალურ და ეკონომიურ მნიშვნელობას ანიჭებს უფროსი ასაკის პირთა შრომის, მათ ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას და, მაშასადამე, მათი შრომითი აქტივობის გახანგრძლივებას.

არ უნდა უგულებელვყოთ ისიც, რომ ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ ღრმა მეცნიერულ საფუძვლებზე, რომელთა შემუშავება დაბერების შესახებ მეცნიერების გადაუდებელი ამოცანაა.

გერონტოლოგიის დარგში მედიკო-ბიოლოგიური გამოკვლევები უნდა იყოს მიმართული კრიტერიუმების შემუშავებაზე, რო-

შელთა მიხედვითაც შესაძლებელი გახდება ხანშიშესულთა და მო-
ხუცთა ფსიქო-ფიზიკური სტატუსის განსაზღვრა, ორგანიზმის ცალ-
კეულ სისტემებში განვითარებული ცვლილებების მიხედვით და და-
ბერების პროცესზე ამ ცვლილებების გავლენის და მნიშვნელობის
მიხედვით.

არანაკლები თეორიული ინტერესი და პრაქტიკული მნიშვნე-
ლობა აქვს გარემო ფაქტორების გავლენის გარკვევას ასაკობრივ
ცვლილებების აღმოცენებასა და განვითარებაზე, აგრეთვე ამ ცვლი-
ლებების ხასიათის დამოკიდებულებას ორგანიზმის ბიოლოგიურ
თავისებურებებისაგან.

დაბერების ბიოლოგიური ასპექტების შესწავლის საქმეში დი-
დი მნიშვნელობა ეძლევა ექსპერიმენტულ გერონტოლოგიას.
კვლევის ექსპერიმენტული მეთოდი იძლევა შესაძლებლობას გაირ-
კვეს ცალკეული ფაქტორის გამიზნული ზემოქმედება ამათუიმ სის-
ტემაზე ან ორგანოზე, და მიუხედავად არსებული სხვაობისა გან-
ვითარების ფილოგენეზურ საფეხურში, ექსპერიმენტის შედეგები
იძლევიან ღირებულ ფაქტობრივ მონაცემებს, რომლებიც შეიძლე-
ბა გამოყენებულ იქნეს დაბერების ცალკეული მექანიზმების გარ-
კვევის დროს.

ექსპერიმენტული გერონტოლოგია არ უპირისპირდება მედი-
კო-ბიოლოგიურ და მიათემეტეს სოციოლოგიურ გამოკვლევას,
რომელიც შეიძლება ჩატარდეს ადამიანზე. ექსპერიმენტი გვეხმა-
რება გავაანალიზოთ დაბერების რთული პროცესი, რომელიც ადა-
მიანის ორგანიზმში ვითარდება პიროვნების ინდივიდუალურ თა-
ვისებურებაზე გარემოს მრავალრიცხოვანი და მრავალმხრივი ზე-
მოქმედების რთულ ფონზე.

კვლევის თანამედროვე ნატიფი მეთოდები — მორფოლოგიუ-
რი, ბიოქიმიური, იმუნოლოგიური, ფიზიოლოგიური — საშუალებ-
ბას იძლევიან უფრო სრულყოფილად შევისწავლოთ მრავალა მოვ-
ლენა. არანაკლები მნიშვნელობა აქვს სიცოცხლის გახანგრძლივე-
ბისათვის და ვინებრივი თუ ფიზიკური ძალების შენარჩუნებისათ-
ვის კვლევაშიების გაფართოებას გერიატრიის ასპექტში.

განსაკუთრებით ფართეა ასპარეზი გერონტოლოგიური კვლე-
ვისათვის იმ ქვეყნებში, რომელიც დღეგრძელთა მნიშვნელოვანი
რაოდენობით ხასიათდებიან, ე. ი. იქ სადაც თვით ბუნების მიერ
არის დაყენებული მრავალწლიანი ექსპერიმენტი.

გერონტოლოგიის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტა უკ-
საძლებელია მხოლოდ სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა კომპ-
ლექსური კოორდინირებული თანამშრომლობით

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ-
თან არსებული გერონტოლოგიისა და გერიატრიის სამეც-
ნიერო საკორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე

ნ. ჭავჭავაძე

ს. დალაქიშვილი

გერონტოლოგიის აპტულური საკითხები საქართველოში

გერონტოლოგია კომპლექსური მედიკო-ბიოლოგიური და სოციოლოგიური მეცნიერებაა. მისი მიზანია ცოცხალი არსების დაბერების პროცესის კანონზომიერების შესწავლა, მისი არსის გაგება, სოციალურ-პიგიენური ფაქტორების გავლენის დადგენა ასაკობრივი ცვლილებების აღმოცენებასა და განვითარებაზე: პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება შემოქმედებითი სიცოცხლის გასაზღვრად.

გერიატრია სამედიცინო დარგის დისციპლინაა. მისი მიზანია უფროსი ასაკის ადამიანებში მიმდინარე დაავადებათა მიმდინარეობის თავისებურების შესწავლა, პროფილაქტიკისა და მკურნალობის გასხვავებული ტაქტიკის შემუშავება.

ყოველი ახალი, ინტეგრირებული თუ დიფერენცირებული მეცნიერული მიმდინარეობის ფორმირება პირობადებულია მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობით. მისი განვითარების იდეური და მეთოდური საფუძვლებით.

დაბერების პროცესის შეაწვლას თეორიული მნიშვნელობა განსაზღვრულია სიცოცხლის ყველა ეტაპის თავისებურების ცოდნის საპირობით, ხოლო მისი პრაქტიკული მნიშვნელობა დაკავშირებულია იმ დიდ დემოგრაფიულ ძვრებთან, რომელიც მოხდა მოელ მსოფლიოში და მდგომარეობს უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონის მკვეთრ მომატებაში.

გერონტოლოგიური კვლევისადმი ესოდენ მზარდი ინტერესი, ერთის მხრივ, განპირობებულია ბიოლოგიური მეცნიერების მთელი რიგი დარგების განვითარებით. მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ თუ მე-20 საუკუნის პირველი ორი მესამედი იყო ფიზიკისა და მათემატიკის ეპოქა, უკანასკნელი მესამედი და 21-ე საუკუნის

დასაწყისი იქნება ბიოლოგიის ეპოქა — სიცოცხლის არსის ამოხსნის და ამ პროცესების მართვის ეპოქა.

მეორე მომენტი, რომელმაც განსაზღვრა ინტერესი გერონტოლოგიაში, იყო ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში მონხდარი ღარი დემოგრაფიული ძვრები. მე-20 საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, საგრძობლად გაიზარდა უფროსი ასაკის პირთა ხვედრითი წონა — მიმდინარეობს ე. წ. „მოსახლეობის დაბერების პროცესი“. საქართველოში 1877 წელს 60 წლის და მეტი ასაკის პირები მოსახლეობაში 7,1% შეადგენდა, ხოლო 1970 წელს ამ რიცხვმა მიაღწია 11,8%. საბჭოთა კავშირში პენსიონერთა რიცხვმა მიაღწია 44 მილიონს. პროგნოზირებით 1980 წელს იგი მიაღწევს 50 მილიონს, ხოლო 2000 წელს — 80 მილიონს. ამგვარად, ბიოლოგიურისა და სოციალურის ურთიერთქმედება ერთ-ერთი ძირითადი მეთოდოლოგიური პრობლემაა გერონტოლოგიაში.

ყოველი მეცნიერება თავის განვითარების მანძილზე — ზოგადი კანონზომიერების დადგენამდე გაივლის ფაქტების შეგროვების და მათი გაანალიზების ეტაპებს. დღეისათვის გერონტოლოგიური კვლევა ჯერ კიდევ ფაქტების შეგროვების და მათი ნაწილობრივი გაანალიზების ფაზით შემოიფარგლება.

ბიოლოგიის მიღწევებმა: გენეტიკური ინფორმაციის გადაცემის; მექანიზმის ახსნამ, ცილების ბიოსინთეზის მექანიზმის გარკვევამ, ნივთიერებათა ცვლის კანონზომიერებების დადგენამ და სხვამ, შექმნა საფუძველი დაბერების პროცესის ფუნდამენტალური შესწავლისა. გერონტოლოგია გახდა სხვადასხვა დარგის: ბიოლოგიის, მედიკოსების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების, ფიზიკოსების, მათემატიკოსების, ტექნიკოსთა გაცხოველებული კვლევის საგანი.

დაბერების პროცესის შესწავლის მრავალდარგოვანი მიდგომის აუცილებლობა აღიარებული იყო გერონტოლოგთა IX მსოფლიო კონგრესზე, რომელზეც წარმოდგენილი იყო მეცნიერების თითქმის ყველა დარგი — 43 ქვეყნიდან, 3000 მოხსენებით.

საბჭოთა გერონტოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებას მტკიცე საფუძველი მოუზადა ი. მეჩნიკოვის, ი. თარხნიშვილის, ე. ბოგომოლევის, ა. ნაგორნის და მათ მიმდევართა გამოკვლევებმა, 1952 წელს ქ. კიევში შეიქმნა გერონტოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც გახდა ამ პრობლემით წარმოებული მუშაობის მაკორდინირებული ცენტრი.

ამჟამად საბჭოთა კავშირის მრავალ სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარეობს ნაყოფიერი სამეცნიერო კვლევითი მუშაობა დაბერების ბიოლოგიის შესწავლის საკითხებზე.

საქართველოში დღეგრძელობის პრობლემა ყოველთვის იბყრობდა მკვლევართა ყურადღებას. ძველ ქართულ დამწერლობით ძეგლებში (ქანანელის „უსწორო კარაბადინი“, ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმო“. ზაზა ციციშვილი — ფანასკერთელის „სამკურნალო წიგნი“ და სხვა) ასახულია დაბერების, დღეგრძელობის და სიკვდილის საკითხები. საბჭოთა საქართველოში გერონტოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბებას და მის შემდგომ განვითარებას განსაკუთრებით ფართო გასაქანი მიეცა 60-იანი წლებიდან.

1959 წელს პროფ. გ. ფიცხელაურის ინიციატივით საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინსტიტუტში ჩამოყალიბდა გერონტოლოგიის კაბინეტი. აღნიშნული კაბინეტი 1962 წელს გადატანილ იქნა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. ყორღანიას სახელობის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტში და დაერქვა გერონტოლოგიის სოციალური — ჰიგიენის ლაბორატორია. 1974 წელს ლაბორატორია გადადის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული თერაპიის ინსტიტუტის სტრუქტურაში.

გერონტოლოგთა და გერიატრთა თბილისის საზოგადოება დაარსდა 1959 წელს, რესპუბლიკური — 1965 წელს. ხოლო „გერონტოლოგია გერიატრიის“ საკავშირო საპრობლემო კომისიის ამიერკავკასიის ჯგუფი — 1964 წელს.

ამჟამად საქართველოში, თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის რიგ კათედრებსა და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში მიმდინარეობს ნაყოფიერი მუშაობა დაბერების პროცესების შესასწავლად. კლინიკური და ექსპერიმენტული გერონტოლოგიის აქტუალურ საკითხებზე შესრულებულია და დაცულია სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები.

ჩატარებული სამუშაოებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თერაპიის, ფსიქიატრიის, ადამიანის გენერაციაზე ფუნქციონირების ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტი-

ტუტის, პათოლოგიური ანატომიის, ჰოსპიტალური ქირურგიის, პათოლოგიური ფიზიოლოგიის, ჰოსპიტალური თერაპიისა და სხვა კათედრებზე შესრულებული გამოკვლევები.

1970 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში შეიქმნა გერონტოლოგიის განყოფილება. განყოფილება ძირითადად მუშაობს ექსპერიმენტული გერონტოლოგიის განხრით. შეისწავლება დაბერების პროცესზე გარეშე ფაქტორების ზემოქმედება. 1974 წელს განყოფილებასთან მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ჩამოაყალიბა ზოხუმის ჯგუფი. ჯგუფის მუშაობის ძირითადი მიზანია აქტიური დღეგრძელობის სოციალურ-ჰიგიენური პირობების კვლევა.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თერაპიის ინსტიტუტში მუშაობს კარდიო-გერიატრიული განყოფილება, რომელიც სამკურნალო-პროფილაქტიკურ მუშაობასთან ერთად ანხორციელებს უფროსი ასაკის პირთა დისპანსერულ ნეთვალყურეობას.

საქართველო ხშირად მასპინძლობდა გერონტოლოგიისა და გერიატრიის აქტუალურ საკითხებისადმი მიძღვნილ საკავშირო (1956, 1965, 1969, 1973 წწ.) ფორუმებს.

1973 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა გერონტოლოგიისა და გერიატრიის სამეცნიერო საკორდინაციო საბჭო, რომელმაც რესპუბლიკაში გერონტოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარების ვრცელი პროგრამა დასახა.

1975 მიმდინარე წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გერონტოლოგიისა და გერიატრიის სამეცნიერო საკორდინაციო საბჭო და სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორი სისტემის ეკონომიური შეჯიბრის პრობლემური საბჭო ქ. თბილისში იწვევს სიმპოზიუმს თემაზე „გერონტოლოგიის სოციალურ-ეკონომიური ასპექტები ორი სისტემის შეჯიბრის პირობებში“.

ზემოთქმული მოწმობს, რომ გერონტოლოგიური ხასიათის კვლევას ქართველი მეცნიერები დიდ ყურადღებას უთმობენ. გერონტოლოგიისა და გერიატრიის საკავშირო საპრობლემო კომისიის თემატურ გეგმაში საქართველოს მეცნიერებათა შრომებს რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილი უკავია უკრაინის შემდეგ. ყოველი ახალი მეცნიერული მიმდინარეობის ჩამოყალიბება განსაზღვრულია მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობით. გერონტო-

ლოგის კი როგორც მედიკო-ბიოლოგიური და სოციოლოგიური მეცნიერების თეორეტიკულ-პრაქტიკული მნიშვნელობის სწორად შეფასებისთვის, სასურველია მისი ინტეგრირებული და ამავე დროს კოორდინირებული განვითარება.

ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ ის ხარვეზები, რომლებზეც შეიმჩნევა სამედიცინო მომსახურეობის, მეცნიერულ კვლევებისა და სოციალური მომსახურეობის სხვადასხვა სფეროში და აფერხებენ ამ დარგის შემდგომ განვითარებას საქართველოში.

საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურაში მომხდარმა ძვრებმა სათანადო გამოხატულება ჰპოვა ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა ასაკობრივ სტრუქტურაშიც. მაგ. რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში 60 წლის და მეტი ხნის ავადმყოფთა საერთო რაოდენობა 1936 წელს შეადგენდა 13,2%-ს. 1970 წელს კი ამ ასაკის ავადმყოფთა პროცენტი თითქმის ორჯერ გაიზარდა (24,6%). ქალაქის I-ლი საავადმყოფო მესამე თერაპიულ განყოფილებაში 1973 წელს 1950 წელთან შედარებით იგივე მაჩვენებელი სამჯერ გაიზარდა და 34,5% შეადგინა. საგრძობლად მოიმატა ქრონიკულად მიმდინარე დაავადებებმა. 60 წლის და მეტი ასაკის პირების ხარჯზე გაიზარდა ერთი პირის მიერ საწოლი დღეების დაკავების რიცხვი. შესამჩნევად გაიზარდა გულ-სისხლძარღვთა ორგანოების დაავადების სიხშირე, ავადმყოფობათა კომპლექსურობა, ანუ ერთი პირის რამოდენიმე სნეულებით დაავადება.

აღნიშნული ფაქტები მოწმობს, რომ ერთის მხრივ ხდება სპეციალიზებული საავადმყოფოების გადატვირთვა ქრონიკული ავადმყოფებით, მეორე მხრივ უფროსი ასაკის ავადმყოფები საჭიროებს არა მარტო სტაციონალურ მკურნალობას, არამედ რეაბილიტაციასაც, რომელიც უნდა ჩატარდეს სპეციალურ პირობებში.

ხანშიშესული და მოხუცებული ასაკის ავადმყოფთა რიცხვის ზრდა ავადმყოფობათა ქრონიკული მიმდინარეობით, მრავლობით პათოლოგიით, რომლებსაც ესაჭიროებათ ხანგრძლივი სტაციონალური მკურნალობა, გათვალისწინებული უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის გეგმებში. აღნიშნულ საკითხს გარდა სამედიცინო მომსახურეობის სრულყოფისა აქვს ეკონომიური მხარეც. არასასურველია სპეციალიზირებული საავადმყოფოების გადატვირთვა ისეთი ავადმყოფებით, რომლებიც საჭიროებენ მხოლოდ ხანგრძლივ მოვლა-მკურნალობას.

საქართველოში უფროსი ასაკის პირთა რაოდენობის შემდგომი ზრდის პერსპექტივა და მასთან დაკავშირებული პენსიონერთა

რიცხვის ზრდა, პოსპიტალიზებულ ავადმყოფთა შორის 60 წლის და მეტი ასაკის პირთა ზრდა, დღის წესრიგში აყენებს საკითხებს, რომლებიც უახლოეს მომავალში უნდა იყოს გადასაწყვეტი, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ მოსალოდნელი, არასასურველი სირთულენი, რომლის საგანგაშო ნიშნები უკვე არსებობს.

უფროსი ასაკის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების მიზნით რიგ ქვეყნებში შექმნილია სპეციალური კომისიები და კომიტეტები. მაგ., საფრანგეთში შექმნილია „ჯგუფი 1985“, აშშ — „კომიტეტი 2000“ და სხვა, რომელთა მიზანია მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მოსალოდნელი ძვრების მიმართ დროული ზომების მიღება.

საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1962 წლის გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში შეიქმნა გერიატრიული კაბინეტები, რომელთა მიზანია ხანშიშესულ და მოხუცებულ ასაკის პირთა სპეციალური სამედიცინო მომსახურება. ასეთი კაბინეტების რიცხვმა ამჟამად 150-ს მიაღწია. ქალაქებში: კიევი, ვოლგოგრადი, როსტოვი, ჩერნოვიცი. გერიატრიული კაბინეტები ორგანიზებულია საზოგადოებრივ საწყისებზე და მათ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ექიმი-პენსიონერები.

ამჟამად არსებობს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დადგენილება რესპუბლიკაში ორი გერიატრიული კაბინეტის შექმნის თაობაზე (სოხუმსა და თბილისში).

მოსკოვში, ლენინგრადში, კიევი და სხვა ქალაქებში გერიატრიული კაბინეტების გარდა მუშაობს სპეციალიზებული გერიატრიული პოლიკლინიკები და საავადმყოფოები.

ტაშკენტში შექმნილია გერიატრიული პოლიკლინიკა, რომელიც კვალიფიცირებულ სამკურნალო და კონსულტაციური დახმარების გარდა ანხორციელებს დისპანსერულ მეთვალყურეობასაც. ეს პოლიკლინიკა ამავდროს არის გერონტოლოგიური ცენტრი, რომელიც, კოორდინაციას უწევს უზბეკეთში გერონტოლოგიური კაბინეტების მუშაობას. უზბეკეთის სსრ-ში გერიატრიულ სამსახურს ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი გერიატრი. ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილია გერონტოლოგიის სექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს რესპუბლიკაში გერონტოლოგიურ და გერიატრიულ მუშაობას, ასევეა ლატვიის, ლიტვის, აზერბაიჯანისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

კადრების სწორი განაწილება წარმატების ერთ-ერთი საწინ-
დაჩია. აღნიშნულის დასასაბუთებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია
ერთი მაგალითის მოყვანა. 1964 წლიდან დღემდე ასაკობრივი მორ-
ფოლოგიის საკითხებზე შესრულებულია 10 საკანდიდატო დისერ-
ტაცია. გერონტოლოგიური ბაზის არ არსებობის გამო უმრავლესობა (9) იძულებული იყო დაეწყო მუშაობა კლინიკური თუ თეო-
რიული მედიცინის სხვადასხვა დაწესებულებებში — არა გერონ-
ტოლოგიის მიმართულებით.

ამგვარად, საქართველოს გერონტოლოგებმა დაკარგეს სპეცია-
ლისტები — კადრები (მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები), ხო-
ლო სხვა დაწესებულებებმა მიიღეს ხარისხის მქონე ექიმები, მაგ-
რამ არაშესაფერისი პროფესიის. ამით დაზარალდა არა მარტო
გერონტოლოგიურა მეცნიერება, არამედ ის სამკურნალო თუ
კვლევითი დაწესებულება, სადაც ისინი მივიდნენ სამუშაოდ. და-
ზარალდნენ თვით მისულნიც, ვინაიდან მათ დასჭირდა გარკვეული
ღრო სპეციალიზაციისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნული ჭანმრ-
თელობის დაცვის ორგანიზაციის წინაშე აყენებს საკითხს სპეცია-
ლისტების გამოყენების უკეთესი ორგანიზაციის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ფაქ-
ტები პირობადებულია სპეციალობათა ნომეკლატურაში გერონ-
ტოლოგია და გერიატრიის არ არსებობით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან
არსებულმა გერონტოლოგიისა და გერიატრიის სამეცნიერო საკორ-
დინაციო საბჭომ თხოვნით მიმართა საქართველოს სსრ მეცნიერე-
ბათა აკადემიის ბიოლოგიის, საზოგადოებრივ-მეცნიერებათა, ქი-
მიის განყოფილებებს და საქართველოს სსრ ჭანმრთელობის დაცვის
სამინისტროს, რათა მის ჭისტემაში შემავალ სამეცნიერო-კვლევით
და სამკურნალო დაწესებულებებს, აგრეთვე სოცუზრუნველყოფის
სამინისტროს წარმოდგენით გერონტოლოგიის პრობლემით მიმდი-
ნარე მუშაობის თემატიკა და მისი გაფართოების პერსპექტივები.
პასუხი მიღებულ იქნა მხოლოდ რამოდენიმე ინსტიტუტიდან. საბ-
ჭოს დიდი მუშაობა დასჭირდა. რათა შეეგროვებინა სათანადო
მასალები. ჩვენ ხელთ არსებული მასალის დაჯგუფებამ გვიჩვენა,
რომ რესპუბლიკაში 1974 წელს სრულდებოდა 59 თემა, ამათგან
ექსპერიმენტული გერონტოლოგიის მიმართულებით (22) 37,7%;
გერიატრიის მიმართულებით (33) 54,1%; სოციალური გერონტო-
ლოგიის მიმართულებით (4) 8,2%; მასალების შესწავლა იძლევა
სათუქველს გამოვთქვით ზოგიერთი მოსაზრება.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი ნერვული მოქმედება საბ-
კოთა ფიზიოლოგიის მიერ საფუძვლიანადაა შესწავლილი, გერონ-
ტოლოგიური მიმართულებით აღნიშნულმა საკითხმა ვერ ნახა სა-
თანადო განვითარება. ამჟამად. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის
ინსტიტუტში აკადემიკოს ა. ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით
გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები დაბერების პროცესში მყოფ
პიროვნების ზოგიერთ ფსიქოლოგიური ფუნქციის შესწავლისათვის.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს თავის ტვინის ქერქის, ქერქ-
ქვეშა სტრუქტურების, ასაკობრივი ცვლილებების მორფოლოგიის,
ფიზიოლოგიის და ბიოქიმიის საკითხებს. რესპუბლიკაში თითქმის
არ შეისწავლება ჰიპოთალამუსი ასაკობრივ თვალთახედვით, არა და
ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზალური სისტემის ურთიერთკავშირები და-
ბერების პროცესში ფრიად საგულისხმოა.

ენდოკრინოლოგიური გამოკვლევები ყოველთვის იპყრობდა
გერონტოლოგთა ყურადღებას. ამჟამად უკვე ექვს არ იწვევს,
რომ დაბერების პროცესში ქსოვილების მგრძობელობა ზოგიერ-
თი ჰორმონის მიმართ მატულობს. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშ-
ნოთ, რომ ასაკობრივი ენდოკრინოლოგიის დარგშიც გარკვეული
ჩამორჩენა გვაქვს.

საქართველოში განსაკუთრებით ფართოდ შეისწავლება გულ-
სისხლძარღვთა სისტემის ასაკობრივი ცვლილებები. ამ ასპექტის
ერთ-ერთი რთული, მაგრამ კვანძოვანი საკითხია გულ-სისხლძარ-
ღვთა სისტემაში ასაკობრივი და პათოლოგიური ცვლილებების დი-
ფერენცირების საკითხი. იმ კომპენსაციურ-შეგუებითი შესაძლებ-
ლობების შესწავლა, რომლებიც აღმოცენდა გულ-სისხლძარღვთა
სისტემაში დაბერების პროცესში.

სათანადო ყურადღება არ ეთმობა სუნთქვის, საჭმლის მომნე-
ლებელი, ძვალსახსროვანი და სხვა სისტემების ასაკობრივ შესწავლას.

როგორც ცნობილია, მთელს მსოფლიოში საქართველო ამიერ-
კავკასიის რესპუბლიკებთან ერთად დღეგრძელობის მაჩვენებლით
მკაფიოდ გამოხატულ ეპიცენტრს წარმოადგენს. ბუნებრივად არსე-
ბობს ძვირფასი გერონტოლოგიური კვლევის ობიექტი ხანგრძლივი,
ლონგიტუდილარული დაკვირვებების წარმოებისათვის, რომელიც
ესოდენ დიდ ინტერესს იწვევს მრავალ უცხოელ მკვლევართათვის.

პრაქტიკული მედიცინისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გერია-
ტრიული მიმართულებით წარმოებულ კვლევას.

დღევანდელ პირობებში ექვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ უფ-
როსი ასაკის ორგანიზმები ხასიათდებიან რიგი თავისებურებებით,

ასაკთან დაკავშირებით ქვეითდება ორგანიზმის სარეზერვო ადაპტაციური შესაძლებლობანი, ქვეითდება მათი რეაქტიულობა, ასაკის მატებასთან ერთად ორგანიზმში ორგანოთა სისტემებში თანდათანობით მატულობს მორფო-ფუნქციური ცვლილებები, იცვლება მეტაბოლიზმური პროცესების რეგულაცია და სხვა. ყოველივე ზემოაღნიშნული საერთო ჯამში განაპირობებს უფროსი ასაკის პირებში დაავადებათა ჩამოყალიბებას კლინიკური სიმპტომატიკის, მიმდინარეობის, მკურნალობის და პროგნოზის თავისებურებას.

გერიატრიული სამსახურის სწორი ორგანიზაცია პირველ რიგში დაკავშირებულია კადრებისა შერჩევასა და მომზადებასთან, ექიმთა ფართო მასებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასთან.

რესპუბლიკაში ამჟამად მოხუცთა და ინვალიდთა 6 სახლია 1000-მდე საწოლით, ადგილების რაოდენობით და სახლ-ინტერნატების კეთილმოწყობით საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა საბჭოთა კავშირში. მოხუცთა სახლებში დაბალია სამედიცინო და სხვა სახის მომსახურების დონეც.

საქართველოში მოხუცთა და ინვალიდთა თავშესაფრების არსებობა მე-10 საუკუნიდანაა ცნობილი. ათონის ივერთა მონასტერში (აშენდა 980—983 წწ.) ექვთიმე ქართველი დიდ ქველმოქმედებას ეწეოდა. ბერძენი ისტორიკოსის კოზმას (1758 წ.) თქმით. „ის ათონზე სხვადასხვა ადგილებში აშენებდა წმინდა ტაძრებს, საავადმყოფოებს და საცხოვრებლებს დავრდომილ მოხუცთათვის“ ასეთივე თავშესაფარი არსებობდა პეტრიწონის ქართველთა მონასტერში (1083 წ.). მ. შენგელიას მონაცემებით, დავით აღმაშენებელმა „თავის სამეფოში მრავალი საავადმყოფო და უძღურთა თავშესაფარი დააარსა“.

საბჭოთა საქართველოს ყოველი ოჯახის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების მზარდი გაუმჯობესება იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხუცმა მშობლებმა შვილებთან ერთად იცხოვრონ, მაგრამ თანამედროვე პირობებში ასეთი სახლები იძენენ ახალ დანიშნულებას და გვეკლინებიან გერიატრიულ დაწესებულებებად, ენიიდან მათში თავს იყრიან ადამიანები, რომლებსაც ძირითადად ესაჭიროებათ ხანგრძლივი მკურნალობა და მეთვალყურეობა. ამგვარად ასეთი სახლები კარგავენ საზოგადოებაში ჯერ კიდევ შეზღოვებული თავშესაფრების მნიშვნელობას.

პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამის შესრულება მოითხოვს შრომითი რესურსების მაქსიმალ-

ლურ გამოყენებას. ამ თვალსაზრისით უფროსი ასაკის მოსახლეობის შრომის გამოყენების საკითხი ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად ისმება. აღნიშნულს ადასტურებს სკკპ ცკ და მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილება (პრავდა, 1973 წ. 29 სექტემბერი № 272).

მოხუცებით პენსიონერთა შრომის გამოყენებას, გარდა ეკონომიურისა, დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც აქვს. ვინაიდან ბერდება არა მარტო ორგანიზმი, არამედ თვით პიროვნება, მისი ფსიქოფიზიკური სფერო, ამიტომ იმის შეგნება, რომ იგი, მოხუცი, საზოგადოებისათვის საჭირო წევრია, რომ მისი ცოდნა და გამოცდილება ჯერ კიდევ სჭირდება საზოგადოებას, ძლიერი „სამკურნალო ელექსირია“ აქტიური დღეგრძელობის მისაღწევად.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ დაავადებათა ნომენკლატურაში ახალა დასახელება „პენსიონერთა დაავადება“, უფროსი ასაკის პირთათვის რჩევის მიცემის დროს დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, საჭიროა დავარწმუნოთ, რომ ნორმირებული მუშაობა ძალების რაციონალური გამოყენება მათი ჯანმრთელობის საწინდარია. მეცნიერულად უნდა დავასაბუთოდ უფროს ასაკის პირის დატვირთვის ნორმები. წინააღმდეგ შემთხვევაში საარგებლობის მაგივრად შეიძლება დაზიანდეს ნერვული, გულ-სისხლძარღვთა და სხვა სისტემები, რომლებიც სიბერით დაკნინების საფუძველი ხდება. ხანშიშესულ პირს უნდა განემარტოს, რომ პენსიაზე გასვლით, სათანადო მოცულობის მუშაობის შესრულებით მას უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია თავის ოჯახისა და სახელმწიფოსათვის.

მეტად მნიშვნელოვანია მოხუცებულობით პენსიონერთა შრომის ეკონომიური ეფექტიურობა. ამჟამად საბჭოთა კავშირში 44 მილიონამდე მოხუცებულობით პენსიონერია, ამათგან მუშაობას აგრძელებს მხოლოდ 15%, ანუ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დანარჩენი 34 მილიონი პენსიონერიდან 50% მაინც შრომისუნარიანია, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სახელმწიფო ყოველწლიურად კარგავს მილიარდობით მანეთის პროდუქციას. მოხუცებულობით პენსიონერების დასაქმება პირველ რიგში მოითხოვს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის განმსაზღვრელი კრიტერიუმის შენუშავებას, მათთვის სამუშაო დროის და მოცულობის გამსაზღვრის მაჩვენებლის დადგენას, დასაქმების დიფერენცირებას და სხვა. ეს საკითხები ფრიად აქტუალურია გერონტოლოგიისათვის.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის დღევანდელ ეპოქაში

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შესწავლა პროგრესის აუცილებელი საწინდარია.

დასმული პრობლემის სწორი და დროული გადაწყვეტა მოითხოვს რესპუბლიკაში გერონტოლოგიისა და გერიატრიას კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი სამკურნალო დაწესებულების ჩამოყალიბებას. ასეთი დაწესებულების შექმნა ხელს შეუწყობს: სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაღრმავებას, ამ პრობლემით განკუთვნილი სახელმწიფო თანხების რაციონალურ გამოყენებას, სპეციალისტთა კადრების მომზადებას და მათ დანიშნულებისამებრ გამოყენებას, უფროსი ასაკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სრულყოფას, მათ ფსიქოლოგიურ მომზადებას პენსიაზე გასასვლელად, მოხუცებულობით პენსიონერთა ხარჯზე შრომითი რესურსის გადიდებას და სხვ.

სიბერე სიცოცხლის გარკვეული ეტაპია, სიბერე არ უნდა იყოს უშინაარსო, იგი შეიძლება და უნდა გავხადოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო ცხოვრების პერიოდად.

თ. ღაბაშვილი, ი. ბაბიშვილი, ლ. შარაშიძე, ს. ლალაშივილი

გიგონტომორფოლოგიის უმეღვომი განვითარების გზები

გერონტომორფოლოგიის უახლოეს. პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს სამამულო და უცხოურ მკვლევართა მიერ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე დადგენილი ფაქტებისა და კანონზომიერებების შეჯამება, ანალიზი და განზოგადოება. მორფოლოგიურ გამოკვლევათა თანამედროვე მეთოდებზე დაყრდნობით როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ გამოვლინებულია დაბერებადი და დაბერებული ორგანიზმებისათვის დამახასიათებელი ძვრები, რომლებმაც შუქი მოჰფინეს დაბერების პროცესის არსის მრავალ მხარეს. ვინაიდან ამ გამოკვლევათა შედეგები, მიღებულია სხვადასხვა პროფილის ლაბორატორიებში და პასუხობენ ცალკეულ მკვლევართა მოთხოვნილებებს, ჩანაფიქრსა და ინტერესებს, ხშირად ხასიათდებიან წინააღმდეგობებით, რის გამო საჭიროებენ ურთიერთდაპირისპირებას, ახსნა-განმარტებას, რომლის დროსაც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული უცხოურ მკვლევართა მეთოდოლოგია, ცალკეულ მეცნიერთა მიერ გამოყენებული მეთოდებისა და მეთოდოლოგიების დონე.

კვლევის მაღალი ეფექტურობის მისაღწევად გერონტომორფოლოგიის დარგში აუცილებელია განხორციელდეს დაბერებადი და დაბერებული ორგანიზმების ანატომიის სისტემატიზებული შესწავლა ფართო გაგებით.

1. აუცილებელია ცოცხალი ადამიანის ანატომიის უფრო ფართოდ კვლევა თანამედროვე რენტგენოლოგიური მეთოდების — ტომოგრაფის, რენტგენო- და ელექტროკომოგრაფიის, ანგიოკარდიოგრაფიისა და სხვა კონტრასტული რენტგენოლოგიური მეთოდების გამოყენებით. ფართოდ უნდა გაიშალოს აგრეთვე სექციური მკაალის რენტგენოლოგიური გამოკვლევები შექმდომი მიკრორენტგენოგრაფიით. დაბერებადი და დაბერებული ორგანიზმების ანატომიურ თავისებურებათა შესწავლისათვის განსაკუთრებულად პერსპექტიულია ელექტროსტერეომიკროსკოპული გამოკვლევები ორგანოების, კანის, ლორწოვანი და სეროზული გარსების, ენდოკარდისა და მსხვილი და წვრილი ყალიბის სისხლის მიღების ინტიმის ზედაპირთა კონსტრუქციის განსაზღვრით. ზემოთ ჩამოთვლილ გამოკვლევათა წარმატებით ჩასატარებლად საჭიროა კვლევის დაგეგმვა შედარებითი ანატომიის ასპექტში ორგანიზმის მთელი ინდივიდური სიცოცხლის განმავლობაში.

II. აუცილებელია გაგრძელდეს დაბერებად და დაბერებულ ორგანიზმების უჯრედთა შიგთავსის, უჯრედშორისი და შუამდებარე ამორფული და ბოჭკოვანი სტრუქტურების ელექტრონულ-მიკროსკოპული გამოკვლევები ავტორადიოგრაფიულ, ციტო- და ჰისტოქიმიურ მეთოდებთან შეუღლებით. საჭიროა შესწავლილ იქნას უჯრედთა გენეტიკური აპარატი, განისაზღვროს მისი თვითგანახლების, აღდგენის, რეპარაციის მორფოლოგიური გამოვლინებანი, დადგინდეს სტრუქტურის მდგომარეობა იმ უბნებისა-ლოკუსებისა, რომლებიც განიცდიან ცვლილებას, „დაზიანებას“, „შეცდომას“ გენეტიკური აპარატის პროგრამის შესრულების მიმდინარეობაში ორგანიზმის ინდივიდუალური სიცოცხლის მთელ მანძილზე. ასეთივე ასპექტში უნდა იქნას შესწავლილი სხვადასხვა ჰისტოგენეზის უჯრედთა კარიოტიპები, რისთვისაც საჭიროა გამოყენებულ იქნას მორფოლოგიური კვლევის ყველა ნატიფი მეთოდი რენტგენოსტრუქტურული ანალიზის ჩათვლით. ინდივიდური სიცოცხლის ყველა ეტაპზე უნდა იქნას შესწავლილი აგრეთვე უჯრედთა მიტოზური აქტივობის დონე სხვადასხვა ქსოვილსა და ორგანოში, რაც გამოავლენს ამ ორგანოების უჯრედული განახლების

რიტმსა და ტემპს და საერთოდ მათ პოტენციურ შესაძლებლობებს დაბერების პროცესის მთელ მანძილზე.

ამოცანათა ამ ჯგუფში შედის, აგრეთვე, ინფორმაციული, სატრანსპორტო და რიბოსომული რნმ-ის შესწავლა; სუბცელულურ სტრუქტურებში მათი განაწილების თავისებურებებთან ერთად შესწავლილი უნდა იყოს რაოდენობრივი ცვლილებანი ტრანსკრიპციის, ტრანსლაციისა და ცილების სინთეზის სხვადასხვა ეტაპზე თანამედროვე მიკროფოტომეტრული, მიკროსპექტროსკოპული და მიკროფლუორომეტრული მეთოდების გამოყენებით. საჭიროა ინდივიდური სიცოცხლის მთელ მანძილზე ისწავლებოდეს სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილში უჯრედთა და უჯრედშუა სუბსტანციის ცილოვანი შემადგენლობა და ცილოვან კომპონენტთა რნმ-თან შეკავშირების თავისებურებანი, რისთვისაც ამინომჟავებისა და ცილების ფუნქციური ჯგუფების გამოვლინებასთან ერთად აუცილებელია რიბონუკლეოპროტეიდული კომპლექსის იზოლექტრული წერტილის განსაზღვრა.

ცილებთან და ნუკლეინის მჟავებთან ერთად აუცილებელია ინდივიდური განვითარების პროცესში სხვადასხვა ჰისტოგენეზის უჯრედებში ისწავლებოდეს აგრეთვე ცხიმოვანი კომპონენტების, ნახშირწყლების, ვიტამინების, ჰორმონების, მიკროელემენტების და მათი კომპლექსური შენაერთების რაოდენობრივი ცვლილებები და იმ უანგვა-აღდგენითი და ჰიდროლიზური ფერმენტების აქტივობის დონე, რომლებიც განსაზღვრავენ უჯრედის ცხოველყოფილობას.

ელექტრონული ჰისტოქიმიის მეთოდების გამოყენება საშუალებას მოგვცემს გამოვლინდეს უჯრედთა და უჯრედგარეშე სუბსტანციის ულტრასტრუქტურების ქიმიური ორგანიზაციის თავისებურებანი, ბირთვული, ციტოპლაზმური და ენდოპლაზმური ბადის, ვეზიკულური აპარატის, ლიზოსომების, მიტოქონდრიებისა და სხვა ორგანოიდების მემბრანებში შემავალ ქიმიურ კომპონენტთა ცვლილებებზე ყურადღების განსაკუთრებული გამახვილებით.

ამოცანათა იგივე ჯგუფი ითვალისწინებს კვლევის მათემატიკური მეთოდების კიდევ უფრო ფართო გამოყენებას ჰორუმეტრული და სტერეომორფომეტრიული გამოკვლევებს განხორციელებაში როგორც სინათლის, ისე ელექტრონულ მიკროსკოპის დონეზე (ციტომეტრია, კარიომეტრია, რაოდენობრივი ელექტრო-

ნული მიკროსკოპია). ასეთი გამოკვლევების საფუძველზე მოხდება ბირათულ-ციტოპლასმური და უჯრედის სხვა ორგანოიდებისა და მატრიქსის ურთიერთშეფარდების მაჩვენებლების დადგენა. შესაძლებელი გახდება სხვადასხვა ბოქკოვან სტრუქტურათა (რეტიკულური, პრეკოლაგენური, კოლაგენური, ელასტიკური) რაოდენობრივი მაჩვენებლების ცვლილების გამოვლინება დაბერების პროცესში. ყოველივე ზემოთაღნიშნული შექმნის პირობას ბირთვის მაკონტროლებელი როლის განსაზღვრისათვის უჯრედის ფუნქციაში, ენერგეტიკული ცენტრების მდგომარეობაში, უჯრედშიდა განახლებისა და თვითმონელების ინტენსივობის ხარისხში და სხვა.

III. სექციური მასალის შესწავლით დადგენილი ფაქტების სწორი შეფასებისა და სიბერითი პროცესისათვის დამახასიათებელ ცვლილებათა მექანიზმების ამოხსნისათვის ორგანოებისა და ქსოვილების მორფოლოგიურ თავისებურებათა შესწავლა ზემოდასახელებული მეთოდებით (ულტრამიკროსკოპია, ავტორადიოგრაფია, ციტო- და ჰისტოქიმია, ციტოსპექტრო-ფლუორომეტრია და სხვ.) უნდა წარმოებდეს ონტოგენეზის ყველა ეტაპზე შედარებითი მორფოლოგიის (ემბრიოლოგიის, ჰისტოლოგიის, ანატომიის, პათოლოგიის) კრილიში. ამასთან ერთად საჭიროა შეისწავლებოდეს არა მარტო ცხოველების, არამედ მცენარეთა უჯრედები და ქსოვილები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ყველა ჩამოთვლილი ობიექტის შესწავლას ქსოვილოვან და ორგანულ კულტურებში. რაც საშუალებას მოგვცემს თვალი ვადევნოთ სხვადასხვა წარმოშობისა და სხვადასხვა ასაკის ორგანიზმიდან გამოყოფილ უჯრედთა მორფოფუნქციურ თავისებურებებს სრულიად სხვადასხვა ზემოქმედებათა პირობებში. საკითხებისადმი ასეთი მიდგომა, ორგანიზმების ცალკეულ სახეთა დაბერებისათვის ჩვეული ძვრების გამოვლინებასთან ერთად, დაგვეხმარება დავადგინოთ იმ მორფოლოგიური ნიშნების კომპლექსი, რომელიც დამახასიათებელი იქნება ცოცხალი ორგანიზმის დაბერებისათვის საერთოდ.

IV. ზემოაღნიშნულ გამოკვლევათა საფუძველზე მიღებული შედეგების შეჯამებისას განხილვასა და განზოგადობას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

1. საკითხი ორგანიზმის ცალკეულ სისტემათა დაბერების ჰეტეროქრონიულობის შესახებ, ანუ საკითხი ცალკეულ ორგანოებსა და სისტემებში ასაკობრივ ცვლილებათა ქრონოლოგიის შესახებ. იმის გამო, რომ ორგანოთა განვითარება, ზრდა და ფუნქცია ურ-

თიერთდაკავშირებულია ორგანიზმის ფორმებისა და მისი ინლივი-
დური სიცოცხლის მთელ მანძილზე, შეიძლება გვეფიქრა, რომ და-
ბერების პროცესი სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში ვითარ-
დება აგრეთვე ურთიერთდაკავშირებულად და სინქრონულად,
თუმცა სხვადასხვა ქსოვილთა განახლების განსხვავებული ფორმე-
ბი — განსხვავებული ტემპი და რიტმი გამოხატული სხვადასხვა გე-
ნეზის უჯრედთა გენეტიკური მასალის სხვადასხვა ინტენსივობის
დატვირთვით შესაძლოა გავლენას ახდენდეს მათი დაბერების პრო-
ცესის ქრონოლოგიაზე მთლიანად. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის შე-
მუშავებული სხვადასხვა ჰისტოგენეზის უჯრედების დაბერებაზე
დროის ფაქტორის გავლენის კრიტერიუმი, ხოლო საკითხის გადა-
წყვეტას ანატომიურად და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებუ-
ლი ორგანოების დაბერების სინქრონულობის შესახებ დიდი მნიშ-
ვნელობა ექნება ორგანიზმის ნაადრევი დაბერების პროფილაქტი-
კურ ღონისძიებათა რაციონალიზაციისათვის.

2. საკითხი ორგანიზმის დაბერების პროცესისათვის სხვადა-
სხვა ორგანოთა სისტემების მნიშვნელობის შესახებ. საკითხის
ასეთი დაყენება გარკვეულწილად ემთხვევა ორგანოთა დაბერების
ქრონოლოგიის საკითხს. მაგრამ ორგანოთა ცალკეული სისტემე-
ბის როლის შესწავლა დაბერების პროცესის ბიოლოგიაში სცილ-
დება მათი „გაცვეთის“ თანმიმდევრულობის დადგენის ფარგლებს
და მან უნდა განსაზღვროს ცალკეულ ორგანოთა ხვედრითი წონა
ორგანიზმის დაბერების ზოგად პროცესში. ცალკეულ ორგანოთა
როლის განსაზღვრას დაბერების პროცესის დაწვებასა და მის შემ-
დგომ გაღრმავებაში აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ექნება ორგანიზ-
მის ნაადრევი დაბერების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავე-
ბაში. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მარე-
გულირებელ სისტემათა შემადგენლობაში შემავალ ორგანოებსა
და ქსოვილებს — ნერვულ და ენდოკრინულ სისტემებს, შემაერ-
თებელი ქსოვილისა და იმუნოკომპეტენტურ ორგანოთა სისტემებს.

3. საკითხი „გაცვეთის“ პროცესების კრიტერიუმების და პირ-
ველი ნიშნების განსაზღვრის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ზედ-
ნიშვნით საინტერესოა ნერვულ-ქსოვილოვანი ურთიერთობის
მორფოლოგიური დახასიათება დაბერების პროცესში. დაბერებად
და დაბერებულ ორგანიზმებში შესწავლა ნერვული სისტემის ყვე-
ლა განყოფილების, გულსისხლმილთა, სუნთქვის, საჭმლის მომნე-
ლებელი, საშარდე, ენდოკრინული, საყრდენ-მამოძრავებელი და

სხვა სისტემების ნატიფი სტრუქტურისა ამ სისტემათა მოქმედების შესუსტების, დაქვეითებისა მორფოლოგიური ექვივალენტის დადგენით.

4. საკითხი შემაერთებელი ქსოვილის სისტემის მდგომარეობის შესახებ. საჭიროა გადაიხედოს გავრცელებული შეხედულება სკლეროზის, ანუ ბოქკოვანი შემაერთებელი ქსოვილის გამრავლება შესახებ დაბერებად და დაბერებული ორგანიზმების ორგანოებში. განომლინარე იქიდან, რომ დაბერების პროცესში დაქვეითებულია ყველა ქსოვილისა და მათ შორის შემაერთებელი ქსოვილის უჯრედული განახლების პოტენცია, არ არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ დაბერების პროცესში იქმნება გარკვეული ბიოლოგიური წინაპირობანი შემაერთებელქსოვილოვანი ელემენტების გამრავლებისათვის. თუმცა ექვს არ იწვევს, რომ დაბერებული ორგანიზმის ორგანოებში შემაერთებელი ქსოვილი ახალგაზრდა ინდივიდუმებთან შედარებით გაცილებით უფრო ჭარბი რაოდენობითაა. ამიტომ საჭიროა გაირკვეს დაბერებული ორგანიზმის ბოქკოვანი შემაერთებელი ქსოვილი, თავისი ფორმითა და ფუნქციური დანიშნულებით ახალგაზრდა ინდივიდუმების ასეთივე ქსოვილის იდენტურობა, თუ იგი წარმოადგენს დაბერებად ორგანიზმში ჩამოყალიბებულ თვისობრივად განსხვავებულ ქსოვილს. აღნიშნული საკითხის გადაჭრა გასაგებს გახდის ფაშარი შემაერთებელი ქსოვილის მორფო-ფუნქციურ მნიშვნელობას დაბერების პროცესში და გადაწყვეტს საკითხს იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს დაბერებული ორგანიზმის ორგანოებში არსებული შემაერთებელი ქსოვილი — სკლეროზის გამოხატვას ამ მცნების უარყოფითი მნიშვნელობით თუ „ფიზიოლოგიურ ფიბროზს“, რომელიც აუცილებელია და დამახასიათებელი დაბერებული ორგანიზმის ჰომეოსტაზისათვის (ჰომეოკინეზისათვის).

5. საკითხი იმუნოგენეზისა და იმუნური მეხსიერების მორფოლოგიური საფუძვლების დადგენის შესახებ. აღნიშნული საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული დაბერებად და დაბერებულ ორგანიზმებში რეტიკულური სისტემის ყველა რგოლის შესწავლასთან, რაც თავის მხრივ გულისხმობს რეტიკულურ უჯრედთა გამრავლებისა და მომწიფების პოტენციურ შესაძლებლობათა გამოვლინებას, მწიფე ფორმების მორფოფუნქციურ თავისებურებათა, კერძოდ მათში დაცვითი ფუნქციების მორფოლოგიურ გამოვლინებათა დაჩასიათებას როგორც „ადგილებზე“ — სისხლმზად ქსოვილებში, ისე პერიფერიულ სისხლში.

6. საკითხი ადაპტაციური და კომპენსაციური პროცესების მორფოლოგიური ექვივალენტების შესახებ, რაც გულისხმობს წინათ არსებულ ადაპტაციურ და კომპენსაციურ პროცესთა დათრგუნვის, გაქრობისა და ახლად წარმოშობილ ასეთვე პროცესთა მორფოლოგიური საფუძვლების შესწავლას.

სველა ზემოაღნიშნული საკითხის განსჯა და გახსოვება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ დაბერება და დაბერებული ორგანიზმების ფიზიოლოგიური სისტემების საიმუდრობა თათოველ ასაკობრივ პერიოდში და ჩატარებული კვლევის შედეგები გამოვიყენოთ თითოველ კონკრეტულ შემთხვევაში უფროსი ასაკის პირის ფსიქოსომატური სტატუსის შემოწმების დროს.

V. გერონტომორფოლოგიის საკითხების შესწავლის შემდგომი გაფართოებისა და გარმაკების გზები ითვალისწინებს ასაკისა და ათეროსკლეროზის ურთიერთკავშირის პრობლემის გადაჭრას. მხედველობაში უნდა იქნას რა მიღებული საყოველთაოდ აღიარებული დებულება ათეროსკლეროზის აღმოცენებისა და განვითარების შესახებ უპირატესად 40 წლის ასაკის შემდეგ, აუცილებელია ჩატარდეს არტერიული სისტემის ყველა ნაწილის სისტემატიზებული შესწავლა ათეროსკლეროზულ დაზიანებათა ხასიათის გამოსავლინებლად დაბერებადი და დაბერებული ორგანიზმების სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდში. საჭიროა განმეორდეს ექსპერიმენტები ათეროსკლეროზის მორფოგენეზის შესწავლისათვის დაბერებად და დაბერებულ ცხოველებში (ყურღლებში) იმ მორფოლოგიური სუბსტრატის გამოვლინების მიზნით, რომელიც წინ უსწრებს სისხლმილთა კედლებში ქოლესტეროლის ინფილტრაციას. ზემოხსენებულ გამოკვლევების შედეგები, რესპუბლიკაში ათეროსკლეროზის გავრცელების — ეპიდემიოლოგიის — მონაცემებთან ერთად ხელს შეუწყობს ასაკისა და ათეროსკლეროზის ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების საკითხების გარკვევას და ღონისძიებათა დასახვას ათეროსკლეროზის აღმოცენების, შემდგომი პროგრესირებისა და გართულებების თავიდან აცილებისათვის და საერთოდ ათეროსკლეროზის მკურნალობისათვის.

VI. შემდგომ სისტემატიზებულ შესწავლას საჭიროებს აგრეთვე საკითხი ჰიპერტონული ავადმყოფობისა და ასაკის ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. არტერიოლოების პათოსტრუქტურულ ცვლილებათა და არტერიოლოლოგიის შედეგების შესწავლა ასაკობრივ კრილში საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ჰიპერტენზიის, გენერალიზებული არტერიოლო

ტენოზის როლი ორგანოთა „გაცვეთაში“ და დაბერების პროცესში ჰოლიანად. საჭიროა განმეორდეს და გაღრმავდეს მორფოლოგიური გამოკვლევები ექსპერიმენტული ჰიპერტენზიის პირობებში არტერიოლების დაზიანებათა დინამიკის თავისებურებათა გამოვლინებისათვის დაბერებად და დაბერებულ ცხოველებში (კურდღლებში). ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ექნება მორფოლოგიურ გამოკვლევებს ექსპერიმენტული ათეროსკლეროზისა და ჰიპერტენზიის შეუღლებული მოდელის პირობებში.

VII. მიუხედავად იმისა, რომ სიმსივნურ დაავადებათა შემთხვევები არ არის იშვიათი სიცოცხლის ყველა ასაკობრივ პერიოდშიც, მაინც არ იწვევს ექვს უპირატესად უფროსი ასაკის პირთა კიბოთი დაავადება. ასაკისა და კიბოს პრობლემის გადაჭრა უსათუოდ ხელს შეუწყობს ერთის მხრივ, სიმსივნური ზრდის აღმოცენების მექანიზმების ამოხსნას და, მეორეს მხრივ, კიბოს მნიშვნელობის გამორკვევას ორგანიზმის დაბერების პროცესის მიმდინარეობისათვის. ამ გამოკვლევებში ციტოგენეტიკური მეთოდების ფართოდ გამოყენება სიცხადეს შეიტანს ისეთ გაურკვეველ საკითხში, როგორც არის სიმსივნურ უჯრედთა დაუბოლოვებელი გამრავლება და უჯრედთა ახალგაზრდა ფორმების წარმოშობის დაუსრულებლობა დაბერებად და დაბერებულ ორგანიზმებში.

VIII. საჭიროა გაგრძელდეს ინფექციურ და არაინფექციურ ავადმყოფობათა, პროფესიულ ავადმყოფობათა და ტრავმით გამოწვეულ დაზიანებათა პათოლოგიური ანატომიის შესწავლა დაბერებად და დაბერებულ ორგანიზმებში დასახელებულ ავადმყოფობათა ზასიათის, მოსალოდნელ გართულებათა ფორმებისა და პროგნოზის განსაზღვრით.

IX. საჭიროა გადაისინჯოს ისეთი ტერმინები და განსაზღვრებანი, როგორცაა „ატროფია“, „მარაზმი“, „ინვოლუცია“ და სხვა, რომლებიც ჯერ კიდევ ფართოდ იხმარება როგორც სპეციალურ მედიკობიოლოგიურ გამოცემებში, ისე პოპულარულ პრესაში დაბერებისათვის დამახასიათებელი ცვლილებების კვალიფიკაციისათვის. გერონტოლოგის მორფოლოგიური საფუძვლების ძხოდ ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას შეუძლია დააყენოს საკითხი იმის შესახებ, რომ ტერმინები, რომლებიც გამოიყენება ათოლოგიური პროცესების კვალიფიკაციისათვის შეიცვალოს სპეციფიური ტერმინებით, რომლებითაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ

დაბერების პროცესისათვის დამახასიათებელი ცვლილებების ასახვა

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ გერონტომორფოლოგიის შემდგომი განვითარების ჩვენს მიერ დაახული გზები სავსებით პასუხობს გერონტოლოგიისა და გერიატრიის თანამედროვე ამოცანებს.

მ. კომახიძე

გერიატრიის ამოცანები და პერსპექტივები

დაბერების ფუნქციონალური არსი ჯერ არ არის საკმარისად შესწავლილი. სიბერე არ არის ორგანიზმის მხოლოდ მოცვეთა, დაქნობა, იგი ადამიანის ცხოვრების გარკვეული პერიოდია. დაბერებისათვის დამახასიათებელია ორგანიზმში მიმდინარე პროცესების, ნივთიერებათა ცვლა, ენგავა-აღდგენა და სხვა სასიცოცხლო ფუნქციების მეტნაკლებად გამოჩატული ცვლილებები. სიბერეში ორგანიზმი უფრო ძნელად ეგუება გარემოს. ეს კი ქმნის ხელსაყრელ პირობებს ხანშიშესულთა და მოხუცთა შორის რიგ დაავადებების უფრო ადვილად განვითარებისათვის.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა ნორმალურად 100—120 წელია. საერთოდ მედიცინის და, კერძოდ, გერონტოლოგიის გადაუდებელი ამოცანაა გაახანგრძლივოს ადამიანის სიცოცხლე მის ფიზიოლოგიურ საზღვრამდე, ჯანმრთელობის და შემოქმედების უნარის შენარჩუნებით. გერონტოლოგიის და გერიატრიის მიზანია არა მარტო შეისწავლოს დაბერების პროცესი, არამედ შეებრძოლოს კიდევ ხანშიშესული ასაკის პათოლოგიას. სიცოცხლის გაახანგრძლივების მიზნით გერონტოლოგია შეიმუშავებს ცხოვრების განსაზღვრულ რეჟიმს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოს უარყოფითი გავლენა.

გარდა დაბერების ბიოლოგიური არსისა, გერონტოლოგია შეისწავლის რიგ სოციოლოგიურ საკითხებს, კერძოდ მოხუცის ადგილის და როლის შენახვებ საზოგადოებაში.

„გერონტოლოგიის არსი ცხოვრებისაღმი განუსაზღვრელი თაყვანისცემია, აღნიშნული დარგი აკეთებს ყველაფერს რათა მუდამ-ჟამს ღირდეს ცხოვრება“; გერიატრიის მიზანია: „ცხოვრებას მიუმატოს წლები, წლებს კი ცხოვრება“.

გერონტოლოგია და გერიატრია ცოდნის შედარებითი ახალი დარგია, მაგრამ მათ საფუძველი ბევრად უფრო ადრე ჩაეყარა და

ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბევრ გამოჩენილ მეცნიერს, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ცნობილი კლინიცისტი ბოტკინი, გამოჩენილი ფიზიოლოგი ი. თარხნიშვილი, ი. მეჩნიკოვი, საბჭოთა გერონტოლოგიის ფუძემდებელი აკადემიკოსი ა. ბოგომოლეცი, სსრკ სამედიც. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი ა. ჩებოტარევი და სხვა.

ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო და სამკურნალო დაწესებულებებში ღრმად შეისწავლება გერონტოლოგიის და გერიატრიის საკითხები. ამ გამოკვლევათა შედეგები მოხსენდა მრავალ კონფერენციას, სიმპოზიუმს, ყრილობას. საქართველოში ჩატარებულია რამოდენიმე სამეცნიერო ფორუმი გერონტოლოგიის და გერიატრიის საკითხებზე, მაგალითად რაიონის ქირურგთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ხანშიშესულთა და მოხუცთა მუცლის ღრუს მწვავე ქირურგიულ დაავადებათა მკურნალობის საკითხზე (თბილისი, 1964), ამიერკავკასიის რესპუბლიკების პირველი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის პროგრამაში შეტანილი იყო გერონტოლოგიის და გერიატრიის საკითხები (თბილისი, 1965). გერონტოლოგთა IX საერთაშორისო კონგრესზე (კიევი, 1972) საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ყველაზე მეტი მოხსენებები საქართველოდან იყო წარმოდგენილი.

გარდა ამისა, შრომები გერონტოლოგიის და გერიატრიის განხრით სისტემატურად იბეჭდება ჟურნალებში, შრომათა კრებულებში, მათი რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება და უკვე რამოდენიმე ათეულს აღწევს.

გერიატრიის მიზანი მხოლოდ ხანშიშესულთა და მოხუცთა დაავადებების შესწავლა კი არ არის, არამედ წინა ასაკების ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გარკვევაც, რათა წინასწარ იყოს მიღებული ზომები მათ წინააღმდეგ და მეტად გახანგრძლივდეს სიცოცხლე და შენარჩუნებული იყოს ხანშიშესულთა და მოხუცთა ჯანმრთელობა. თანამედროვე გერონტოლოგია სავსებით რეალურად თვლის შედარებით ახლო მომავალში სიცოცხლის გახანგრძლივებას 10, 20, 50 წლით.

ორგანიზმი მთლიანად, მისი უჯრედები იმყოფებიან გარემო ფაქტორების — თერმიული, რადიაციული, კვება, ვიტამინები და სხვა ზეგავლენის ქვეშ. ეს ფაქტორები ახდენენ გავლენას არა ნარტო ორგანიზმის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, არამედ თუ მათი ზემოქმედება მუდმივია და თუ განსაკუთრებით ძლიერია, ისინი გავლენას ახდენენ შთამომავლობაზეც.

დაბერება გამოიხატება ქსოვილთა ფუნქციის დარღვევით, ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნერვული, გულის კუნთის, ჰარენჰიმულ ორგანოების ქსოვილებსა და უჭრედებში.

კონი პათოლოგიური სიბერის მაჩვენებლად თვის კოლაგენის მდგომარეობას. ეს გარემოება აყენებს საკითხს დაბერების ქიმიზმის შესწავლის საკიროებაზე, და მართლაც უდაოა კოლაგენის როლი და მნიშვნელობა როგორც ფიზიოლოგიური, ისე პათოლოგიური სიბერის შემთხვევაში.

გარემო ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ორგანიზმზე, ე. ი. აბერებენ მას, ძალიან ბევრია. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ერთი სიტუაცია — სტრესი, რომელიც ხშირად იჩენს თავს და ძლიერ გავლენასაც ახდენს. სიტუაცია, რომელსაც თან ახლავს სპეციფიკური ჰორმონების გამოყოფა, ეს უკანასკნელები კი მნიშვნელოვან ძვრებს იწვევენ ორგანიზმში. შინაგანი სეკრეციის ჭირკვლები (ტვინის დანაშატი, ფარისებრი ჭირკვალი, პანკრეასი, თირკმელზედა ჭირკვალი, სასქესო ჭირკვლები) დიდ გავლენას ახდენენ ჰომეოსტაზზე, მეორეს მხრივ ისინი შეიძლება გახდნენ მისი დარღვევის მიზეზი, რაც ცხადია მნიშვნელოვნად მოქმედებს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებზე.

ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში დიდ როლს თამაშობს იმუნური სისტემა. ანტისხეულების წარმოქმნას უდიდესი დამცველობითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს პროცესი ყოველთვის ერთი ინტენსივობით როდი მიმდინარეობს. იმუნური სისტემა ძალზე აქტიურია ორგანიზმის მომწიფების ასაკში და სუსტდება ასაკის მატებასთან ერთად. იმუნური სისტემა უარყოფით ფაქტორად გადაიქცევა ერთი ცხოველიდან მეორეში ორგანოს გადანერგვის შემთხვევაში. გადანერგულ ორგანოსადმი იგი ისეთ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, როგორც უცხო სხეულისადმი, ცდილობს მოიშოროს, მოიკვეთოს იგი, ანტისხეულების გამომუშავებით.

ამ სიტუაციის გარდა იმუნურმა სისტემამ შეიძლება გარკვეული როლი ითამაშოს „შეცდომით“ ანტისხეულების გამომუშავებაში, რასაც შეიძლება მოჰყვეს გარკვეული სახის უჭრედების დაზიანება, რაც სათანადო გამოხატულებას პოულობს, ე. წ. იმუნური დაავადებების სახით, რომლებიც შეიძლება გახდნენ ნაადრევი დაბერების მიზეზი.

მაკ ინოლანი მოხუცების შედარებით უფრო ხშირ დაავადებას ავთვისებიანი სიმსივნეებით მიაწერს იმუნური სისტემის გაცვეთას.

მეცნიერების და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონე

იძლევა საშუალებას დავინახოთ ცვლილებები უჯრედებში, მათ ცალკეულ წარმონაქმნებში მოლეკულურ დონეზე. ამ დონეზე წარმოებულმა გამოკვლევებმა საინტერესო ფაქტები გამოავლინეს „უჯრედის პირველადი დაბერების“ და „უჯრედის შინაგანი დაბერების“ შესახებ.

ფონ ჰანი უჯრედულ დონეზე პათოლოგიურ დაბერების მიზეზებს შორის ასახელებს სტრესს გაძლიერებულ რადიაციას მკვლევად, ნიკოტირებათა ცვლის პროდუქტების დაჯგოვებია და მათი გამოყოფის დაქვეითების შედეგად ჟანგბადის დიფუზიის შემცირებას.

ცნობილია, რომ სხვადასხვა ორგანოები ერთდროულად არ ბერდებიან, მაგალითად კანის და ლორწოვანების ეპითელიუმში სისტემატურად განახლდება, მაგრამ არის უჯრედები, რომელთა ბირთვები ძალიან ადრე ჰჰარგავენ გაყოფის უნარს. ასეთებია ნერვული უჯრედები, განივზოლიანი კუნთის უჯრედები და სხვა. არის აზრი, რომ შეიძლება შევებრძოლოთ მხოლოდ მეორად დაბერებას, ხოლო პირველად სიბერეზე ვერ მოვახდენთ გავლენას. ჩატარებულმა გამოკვლევებმა უარჰყვეს ეს დებულება, შესაძლებელია ვიქონიოთ გავლენა დაბერების გამომწვევ როგორც პირველად, ისე მეორად ფაქტორებზე.

მეტად საინტერესო მოსახრება წამოაყენა რაიტმა. იგი თვლის, რომ ბიოლოგიური დაბერება არ არის გარდუვალი, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, არ არის სავალდებულო დაბერების პროცესი განუხრელად ღრმავდებოდეს.

სხვადასხვა ინდივიდუუმების სიცოცხლის საათი ერთდროულად არ მუშაობს, ერთ ტემპში არ მუშაობს. სადღეისოდ სიცოცხლის ხანგრძლივობა ცივილიზებულ ქვეყნებში ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე ასი წლის წინათ, ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ქალები საშუალოდ 8 წლით მეტს ცოცხლობენ მამაკაცებზე.

ცხადია ეს პირობადებულია საყოფაცხოვრებო პირობების განუმჯობესებით და მედიცინის მიღწევებით. უკანასკნელ წლებში დანერგილია რიგი დაავადებების მკურნალობის ეფექტური მეთოდები. ეს კი წინ აღუდგა ნადრევე სიბერეს, მაგალითად მოწოდებულია თრომბის გახსნის სამკურნალოწამლო საშუალებანა, რომლებიც ფრიად ეფექტურია სისხლის ძარღვების კედლებში შეკუმბრუნებელი ცვლილებების განვითარებამდე, განხორციელებულია ათეროსკლეროზულად გადაგვარებული სისხლძარღვების ოპერაციული მკურნალობა და სხვა.

თანამედროვე მედიცინის და გერიატიკის გაღაულებელი ამოცანაა გულსისხლძარღვთა დაავადებების და კიბოს მკურნალობა-ნიუგარშენის ვარაუდით, თუ ეს პრობლემები გადაწყდა. სიცოცხლე კიდევ ათი წლით გახანგრძლივდება და შეიძლება მეტი თაც.

გარდა ამისა, რიგი ბიოლოგიური პროცესების შესწავლამ შეიძლება გადაწყვიტოს საკითხი სიცოცხლის უფრო მეტად გახანგრძლივების შესახებ. ბიოლოგიის თანამედროვე მიღწევების შუქზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომავალი ორი ათეული წლის მანძილზე მიღწეული იქნება სიცოცხლის გახანგრძლივება კიდევ 25 წლით, ან მეტი თაც კი. უკვე ტარდება გამოკვლევები სიცოცხლის გახანგრძლივების გენეტიკური კონტროლის მიმართულებით.

გარემო ცვალებადი და მოძრაია, დრო კი მუდმივი და უცვლელი. ერთი წუთი ერთ წუთად რჩება დედამიწის ყველა წერტილში, მაგრამ დროის ერთეულში თუ მეტ მოქმედებას ჩავატევთ, 120 გულის ცემას 75-ის ნაცვლად, ორი დეტალის გამომუშავებას ერთის ნაცვლად და ა. შ., ეს აქსელერაცია გამოიწვევს ნაადრევ გადაღლას და დაბერებას. როდესაც ადამიანი ცხოვრობს და მუშაობს დროის საწინააღმდეგოდ, იგი ვერ უძლებს ცხოვრების ტემპის ხანგრძლივ აჩქარებას, ამასთან ერთად მუდამ დასაქმებული ადამიანი ფაქტიურად მეტს ცხოვრობს და ესეც სიცოცხლის გახანგრძლივების ერთ-ერთი სახეა. ეს გულისხმობს, რომ ადამიანი არ უნდა ჩაიკეტოს თავის „გონებრივ გეტოში“, ადამიანმა იან უნდა მოაწყოს თავისი ცხოვრება, რომ ყოველდღე გაუღოს გული სიძნელებებს და სიხარულსაც.

ადამიანმა ფიზიკური თვალთ უნდა შეხედოს მომავალს, სწორედ ორგანიზებული ცხოვრება საუკეთესო საშუალებაა დაბერების წინააღმდეგ. ყველამ უნდა ისწავლოს ცხოვრების ორგანიზაცია. თუ გარემო სამყარო უკიდურესად, ადამიანის სიცოცხლეს ატყვს ზღვარი, ამიტომ უნდა ვისწავლოთ ყოველი დღის დაგეგმვა, ვისწავლოთ სტრესორული სიტუაციებიდან გამოსვლა, დიდი ხელოვნებაა იცოდე ცხოვრება და დაბერდე ბედნიერად.

მონაცემები ზრდასრული მამაკაცების ასაკობრივი
პერიოდში ფუნქციონირების

ანთროპომორფოლოგიური ნიშნების ასაკობრივი დინამიკა
საქართველოს სსრ მცხოვრებ მამაკაცებში 20-დან--60 წლამდე)

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის
ანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის
განყოფილება. ქ. თბილისი)

შრომში მასალად გამოყენებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის კაბინეტის მიერ 1950—1960 წლებში შეგროვილი მონაცემები. გამოკვლეულია 20-დან 60 წლამდე 5818 ქართველი ადამიანი.

შისალის შეგროვების მეთოდი იყო ანთროპომეტრული და სომატოსკოპიური დამუშავება ვარიაციულ-სტატისტიკური, ანალიზი კორელაციური.

შესწავლილი აღწერითი და გასაზომი ნიშნები საშუალებას იძლევიან შევიქმნათ წარმოდგენა იმ ასაკობრივ ცვლილებებზე, რომლებსაც განიცდიან ქართველი მამაკაცები 20—60 წლამდე: ხდება თვალბისა და თმების ფერის შედარებითი დეპიგმენტაცია, მატულობს წვერისა და გულმკერდის თმოვანი საფარველის სიხშირე, სუსტდება წარბების გამოხატულება, კლებულობს ქუთუთოს ნაოჭი და თვალის ნაპრალის სიგანე, ძლიერდება ცხვირტუჩისა და ფრთების ღარების გამოხატულება, ხდება ცხვირის ფუძისა და წვეტის დაშვება, 33 წლის ასაკამდე მატულობს აბსოლუტური ზომები სხეულის სიგრძის, გრძივი და განივი დიამეტრები თავის, სახის სიგანისა და სიმაღლის და აგრეთვე ცხვირის სიგანის, ხოლო 33 წლის ასაკის შემდეგ გარკვეულად კლებულობს სხეულის სიგრძე, თავის განივი და გრძივი დიამეტრები და ყერიმალთაშუა დიამეტრი, ხოლო სახის მორფოლოგიური სიმაღლე და ცხვირის სიგანე განაგრძობენ მატებას.

ზოგად დებულებებს, რომლებამდეც მიგვიყვანა ჩვენმა დაკვირვებებმა, შეიძლება თავი მოუყაროთ შემდეგში:

1. 20—60 წლის ასაკი, რომელიც საერთოდ ცნობილია ზრდასრულებული ორგანიზმის სტაბილიზაციის პერიოდით, როგორც ჩანს, ხასიათდება მთელი რიგი ნიშნების ასაკობრივი ძვრებით.

2. გასაზომ ნიშანთა ასაკობრივი ცვალებადობა გარკვევით გვიჩვენებს 33—34 წლის ასაკში მომხდარ გარდატეხებს, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს ქართველ ზრდადამთავრებულ მამაკაცთა ასაკობრივი ჯგუფების გამოყოფას. პროვიზორულად შეიძლება I ასაკი მოითვარდოს 20—33 წლით, ხოლო II ასაკი 34—60 წლით. ეს დაყოფა მის მეორე ნახევარში ჯერ კიდევ დასაზუსტებელია.

3. პოპულაციის მორფოლოგიური დახასიათებისას ყურადღება უნდა მიექცეს პოპულაციის არა მარტო ასაკობრივ შედგენილობას, არამედ თვითელი ნიშნის ასაკობრივ დინამიკას, რომელიც შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა პოპულაციაში.

4. ის ძვრები მორფოლოგიურ ნიშნებში, რომლებიც მოხუცებულობის ნიშნებად არიან ცნობილნი, თავს იჩენენ გაცილებით უფრო ადრე მოხუცებულობის დადგომამდე და მოხუცებულობითი ნიშნების ჩამოყალიბების ერთგვარ წინაპირობებს ქმნიან.

6. ბაჭრაძე, მ. მახვილაძე

სინუსის კვანძის სინუსტის ზომიერთი ასაკობრივ-ინვოლუციური კრიტიკრიუმები მიოკარდის ინფარქტის დროს

(აქართველოს სსრ ჯან: დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური იერაპის ინსტიტუტი და საქართველოს ჯან. დაცვის სამინისტროს კარდიო-რემატოლოგიური დისპანსერი, ქ. თბილისი)

შემართებელი ქსოვილის სხვადასხვა კომპონენტის უხვი შემცველობა წარმოადგენს გულის გამტარებელი სისტემის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს.

სტრომულ ელემენტებს უკავიათ გულის გამტარებელი სისტემის კონათა საერთო ფართობის დაახლოებით 20—40%, მაშინ როდესაც გულის კუნთში მათი ხვედრითი წონა არ სცილდება 2—3%. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გამტარებელი სისტემის ბოჭკოები გულის კუნთოვანი ბოჭკოებისაგან განსხვავებით ხასიათდებიან უფრო მეჩხერი განაწილებით.

დადგენილია, რომ გულის გამტარებელი სისტემის სტრომული ელემენტები შედგება არა მარტო კოლაგენური და არგიროფილური, არამედ ელასტიური ბოჭკოებისაგანაც, რომლებიც განსაკუთ-

რებით უხვად აღინიშნება სინუსისა და ატროფენტრიკულურ კვანძებში.

ასაკთან დაკავშირებით სტრომული ელემენტების შემცველობა გამტარებელი სისტემის ბოქკოებში მკვეთრად მატულობს და უკვე 45—55 წლის ასაკში სპეციფიურ ბოქკოებს შორის უხვად აღინიშნება სკლეროზულ შემაერთებელი ქსოვილი. სკლეროზის პარალელურად სტრომაში მნიშვნელოვნად მცირდება სისხლის ძარღვები და ნერვული დაბოლოებანი და ადგილი აქვს სპეციფიური ბოქკოების ატროფიას. სკლეროზული შემაერთებელი ქსოვილი შეინაცვლება ცხიმოვანი ქსოვილით, რაც ხანშიშესულებსა და მოხუცებში გავრცელებულ ხასიათს ატარებს.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მიოკარდის ინფარქტი უხშირესად 45 წლის შემდეგ ვითარდება და სინუსის კვანძის სკლეროზი წარმოადგენს არა მარტო ხანშიშესულ ადამიანთა ზვედრს შეიძლება დავასკვნათ, რომ უმრავლეს შემთხვევაში მიოკარდის ინფარქტი ვითარდება სპეციფიური ბოქკოების სკლეროზისა და ატროფიის ფონზე.

გამტარებელი სისტემის სხვადასხვა ელემენტებიდან სკლეროზი და ატროფია ყველაზე უფრო მკვეთრად არის გამოხატული სინუსისა და წინაგულპარკუჭის კვანძებში.

მიოკარდის ინფარქტის 120 სექციური შემთხვევიდან სინუსის კვანძის სკლეროზი და ატროფია გამოვლინდა 89 შემთხვევაში (74,1%), მათგან 2/3 მიოკარდის ინფარქტი აღმოცენდა სინუსის კვანძის სტრუქტურული ცვლილებების ფონზე.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიოკარდის ინფარქტის დროს სინუსის კვანძში სკლერო-ატროფიული ცვლილებების ფონზე უმნიშვნელო ფაქტორებსაც კი შეუძლიათ გამოიწვიონ სინუსის კვანძის დისფუნქცია და გულის რიტმის დარღვევა. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ წინაგულოვანი არიტმია თითქმის ყოველთვის ვითარდებოდა სინუსის კვანძის სკლეროზული ცვლილებების დროს. არიტმიის სიმძიმე კი შეესაბამებოდა სინუსის კვანძის სკლეროზის სიღრმესა და გავრცელებას.

მიოკარდის ინფარქტის მორფოლოგიური შედარების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს გულის გამტარებელი სისტემის, კერძოდ სინუსის კვანძის მდგომარეობა.

ქვედა ყბის არტერიების ასაკობრივი თავისებურებანი

(თბილისის სახ. საქედიციო ინსტიტუტის ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრა)

ქვედა ყბის არტერიების ასაკობრივი თავისებურებანი შესწავლილია ახალგაზრდა (1—3 თვე), მოზრდილი (12—24 თვე) და ბებერი ასაკის (3—5 წელი) 44 შინშილას ჭიშის ბოცვერში.

ქვედა ყბის არტერიების სისტემა შესწავლილია სუბვიტალური კონტრასტული რენტგენოგრაფიის მეთოდით.

ქვედა ყბის არტერიული სისტემის ჩამოყალიბება ძირითადად ეთავრდება 3 თვის ასაკში. ერთი წლის ბოცვერების ქვედა ყბის არტერიული სისტემა კარგად განვითარებულია, მაგრამ ზოგიერთ ცხოველში ადგილი აქვს წვრილსისხლძარღვოვანი ქსელის გაღარიბებას. გარდა ამისა, ადგილი აქვს საშუალო და მსხვილი სისხლძარღვების კონტრასტული ნივთიერებით არათანაბარ შევსებას. იარი წლის ასაკში უფრო ხშირად გვხვდება სისხლძარღვებით გაღარიბებული უბნები. სისხლძარღვთა ნაწილი დაკლავნილია, ადგილი აქვს მსხვილი და წვრილი სისხლძარღვების უსწორმასწოროდ გაფართოებას და ავასკულიარული არეების წარმოქმნას ქვედა ყბის ძვალში. სამი წლის ასაკის ბოცვერებში ზემოთ აღწერილი ცვლილებების გარდა აღინიშნება მაგისტრალური არტერიების სუსტი შევსება კონტრასტული ნივთიერებით, არტერიების მეტი დაკლავნა, წვრილი სისხლძარღვებით გაღარიბება და დიდი ზომის ავასკულიარული არეების წარმოქმნა.

4—5 წლის ასაკის ბოცვერებში ზემოთ აღწერილი ცვლილებები უფრო მეტადაა გამოხატული: ქვედა ყბის წვრილსისხლძარღვოვანი ქსელი არ ივსება საკონტრასტო ნივთიერებით.

ქვედა ყბის არტერიების ასაკობრივი ცვლილებები ბოცვერებში უფრო ნათლადაა გამოვლინებული ერთი წლის ასაკიდან. ასაკობრივი თავისებურებანი გამოიხატება სისხლძარღვთა დაკლავნილობით, უთანასწორო, კრიალოსნისებური გაფართოებითა და საკონტრასტო ნივთიერებით არა თანაბარი შევსებით, არტერიო-არტერიალური ანასტომოზების რიცხვის შემცირებით, სისხლძარღვთა რაოდენობის შემცირებით და წვრილსისხლძარღვთა ქსელის გაღარიბებით. ქვედა ყბის ძვალში წარმოიქმნება ავასკულიარული არეები. წვრილსისხლძარღვთა ქსელის რედუქცია ალბათ ერთერ-

თი მიზეზია ოსტეოპოროზისა და ქვედა ყბის ძვლის ბუდობრივი რეზორბციისა ზრდის ზონებში, რომლებსაც ადგილი აქვთ ბებერ ბოცვერებში.

ა. გალუაზვილი

ფოსფომონოესთერაზების აქტივობა სხვადასხვა ასაკის გოცვერების თვალის რმრვანაში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტი, ცსკლ)

გამოკვლევის მიზანს შეადგენს პრაქტიკულად ჯანმრთელი ცხოველების თვალის რქოვანაში ფოსფომონოესთერაზების აქტივობის პისტოენზიმური შესწავლა, კერძოდ მუჟვე და ტუტე ფოსფატაზებისა, აგრეთვე მათი ლოკალიზაციის გამოვლენა ასაკობრივ ასპექტში.

გამოკვლევა ჩატარებულია 33 ბოცვერზე. მასალა ფიქსირებულია ბეკერის ხსნარში 24 საათის განმავლობაში. შემდეგ გამყინავ მიკროტომზე მზადდებოდა 8—12 მიკ. სისქის ანათლები, რომლის შეღებვა წარმოებდა გომორის მეთოდით.

მიღებული მონაცემები მოწმობს, რომ სქესობრივად მომწიფებულ ცხოველებში (I ჯგუფი, 1—6 თვე) მუჟვე ფოსფატაზის აქტივობა ვლინდება წვრილი მარცვლების სახით რქოვანას მრავალშრიან ბრტყელ ეპითელურ უჯრედებში, ხოლო საკუთარ ნივთიერებაში მოგრძო ყავისფერი მარცვლების სახით.

ზრდასრულ ცხოველებში (II ჯგუფი, 7—14 თვე) მუჟვე ფოსფატაზა ვლინდება რქოვანას მრავალშრიან ბრტყელ ეპითელში (ენდოთელში) და რქოვანას საკუთარ ნივთიერებაში.

საშუალო ასაკის ცხოველებში (III ჯგუფი, 15—24 თვე) მუჟვე ფოსფატაზის აქტივობა მატულობს მრავალშრიან ბრტყელ ეპითელში, ერთშრიან ბრტყელ ეპითელში (ენდოთელში) და რქოვანას საკუთარ ნივთიერებაში.

მუჟვე ფოსფატაზის აქტივობა ბებერ ცხოველებში (IV ჯგუფი, 30—32 თვე) თვალის რქოვანაში მნიშვნელოვნად იზრდება ყველა შრეში, განსაკუთრებით რქოვანას მრავალშრიან ბრტყელ ეპითელში.

სრულიად საწინააღმდეგო აქტივობა გამოავლინა თვალის რქოვანაში ტუტე ფოსფატაზამ.

I ჯგუფის ცხოველებში ტუტე ფოსფატაზის აქტივობა გამოვლინდა ფონური შეღებვის სახით.

მეორე და მესამე ჯგუფის ცხოველებში ტუტე ფოსფატაზის აქტივობა შეიმჩნეოდა საკუთარ ნივთიერებაში, უპირატესად იმ ზონაში, რომელიც ეკვრის ენდოთელს.

ტუტე ფოსფატაზის აქტივობამ მეოთხე ჯგუფის ცხოველებში მთლიან შესამჩნევად.

მეხუთე ფოსფატაზის აქტივობა სხვადასხვა ასაკის ბოცვერების თვალის რქოვანაში, ასაკთან ერთად მატულობს. სქესობრივად მომწიფებულ და საშუალო ასაკში შედარებით მცირეა. ბებერ ასაკში კი ამ ფერმენტის აქტივობა იზრდება რამოდენიმეჯერ.

ბ. ბაზიძე

თავის ტვინის ქირქის მოტორული ზონის სისხლძარღვების ცვლილებები ზოგადი ჰიპოქსიის დროს სხვადასხვა ასაკის ცხოველებში

(საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის განყოფილება, ქ. თბილისი)

ორგანიზმზე ჟანგბადის ნაკლებობის გავლენის შესწავლას ასაკობრივ ასპექტში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან პიბერეში მნიშვნელოვნად მცირდება ჟანგბადის ტრანსპორტი და მისი ათვისებაც.

კვლევის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა ორგანიზმის ზოგადი ჰიპოქსიის პირობებში თავის ტვინის ქერქის მოტორული ზონის სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა. კვლევა ჩატარებულია სხვადასხვა ასაკის (2, 8, 30 თვის) მამალ ვირთაგვებზე. ცხოველებს ვათავსებდით ჰერმეტულ ჭურჭელში 1, 1, 5, 2 საათით 7—60 დღის განვალბაში. საკონტროლოდ შერჩეული იყო სათანადო ასაკის ცხოველები. თავის ტვინის ქერქის მოტორული ზონის სისხლძარღვთა კაპილარები შეისწავლებოდა ტუშ-ჟელატინის მასით ინექციის მ. კომახიძის მეთოდით ექსპერიმენტის სხვადასხვა ვადებში (7, 14, 30, 60 დღე). ჰემატოქსილინ-ეოზინით შეღებილ პრეპარატებზე შეისწავლებოდა სისხლძარღვების ცვლილებები. შეუღებავ

პრეპარატებზე — კაპალარული ქსელის სიმპიდროვე ვაიბელის მე-
ოოდით (1970).

კვლევის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ორგანიზმის დაბერების პროცესში თავის ტვინის ქერქის მოტორულ ზონის სისხლძარღვეებში ვითარდება სტრუქტურული ცვლილებები, რომლებიც გამოიხატება ინტიმის გასქელებასა და გატლანქებაში, არტერიების კუნთოვანი შრის ატროფიაში, ვენების კედლის გათხელებაში შუა შრის ატროფიის გამო, კაპილადების ბაზალური მემბრანის გასქელებასა და გამკვრივებაში.

ჰიპოქსიის პირობებში მყოფ ყველა ასაკობრივი ჯგუფის ცხოველების თავის ტვინის ქერქის მოტორულ ზონაში ადგილი აქვს ვასკულარიზაციის გაძლიერებას, სანათურის გაგანიერებასა და ინიცირებული კაპილარების რიცხვის მომატების ზარჯზე. ახალგაზრდა ცხოველებში სისხლმომარაგების გაძლიერება აღინიშნება ცდის ყველა ვადაზე, ბებერ ცხოველებში აღნიშნულ მოვლენას ადგილი აქვს ექსპერიმენტის პირველ დღეებში, ხოლო მოგვიანებით ზოგჯერ აღინიშნება სისხლძარღვთა სანათურის შევიწროებაც კი, კონტროლთან შედარებით.

სისხლძარღვების ჰისტოლოგიური სურათის შესწავლამ ახალგაზრდა ცხოველებში გამოავლინა თვალსაჩინო ტროფიკული ცვლილებები, ჰიპერემია და წერტილოვანი სისხლჩაქცევები. ბებერ ცხოველებში გამოვლინდა სისხლის ძარღვების მნიშვნელოვანი დარღვევები — სისხლჩაქცევები, ანგიონეკროზების კერები, შეშუპება და პერივასკულარული სივრცის გაგანიერება, ყველა ეს მოვლენები ლაპარაკობენ სისხლძარღვთა კედლის განვლადობის მომატებაზე.

აღნიშნული ცვლილებების ინტენსივობა და გავრცელება პირდაპირპროპორციულია ჰიპოქსიის ხანგრძლიობისა. ახალგაზრდა ცხოველებს აღნიშნული ცვლილებები უფრო მკაფიოდ აქვთ გამოხატული ხანგრძლივ ჰიპოქსიის დროს (2 საათი), ხოლო ბებერ ცხოველებს ტროფიკული ცვლილებები უვითარდებათ ჰიპოქსიის უფრო ადრეულ ვადებში — უკვე ერთი საათის ჰიპოქსიის შემდეგ.

სისხლისა და შარდის ფონური რადიაქტივობა ნორმასა და ორბანიზმის ზოგიერთი პათოლოგიური მდგომარეობის დროს ასაკობრივ ასპექტში

(ბზილ-სის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ჰიგიენის კათედრა)

ასაკის მატებასთან ერთად ორგანიზმი კარგავს სხვადასხვა პათოლოგიური პროცესებისადმი წინააღმდეგუნარიანობას.

ხანშიშესულთა და მოხუცებულთა ერთ-ერთ მნიშვე დაავადებას წარმოადგენს ავთვისებიანი სიმსივნე.

ცნობილია, რომ მაიონიზებული რადიაცია უჭრედთა ატიპური ზრდისა და გამარჯვლების ერთ-ერთი გამომწვევთაგანია. უჭრედის ატიპური ზრდა შეიძლება გამოიწვიოს როგორც მისმა გარეგანმა დასხივებამ. ასევე იმ ელემენტთა რადიაქტიურმა გარდაქმნამ, რომლებიც თვით უჭრედის შემადგენლობაში შედიან. ორგანიზმი მდიდარია ბუნებრივი რადიაქტიური ელემენტებით. უკანასკნელ წლებში მათ მიემატათ ხელოვნური რადიონუკლიდები, რომლებიც ორგანიზმში ხედებიან გარემოდან, რაც კიდევ უფრო მეტად ადიდებს უჭრედთა ატიპური ზრდისა და გამარჯვლების პოტენციურ საშიშროებას.

შესწავლილია სისხლისა და შარდის ფონური რადიაქტივობა ბეტა-გამოსხივების მიხედვით სხვადასხვა ლოკალიზაციის ავთვისებიანი ზრდის დროს. მიღებული შედეგები გაანალიზებულია ასაკობრივ ასპექტში და შედარებულია ჯანსაღი პირების იგივე მაჩვენებლებთან. გამოკვლევა წარმოებდა წინასწარ დანაცრებული ობიექტების ანალიზით დანადგარ YMF-ზე. შედეგები დამუშავებულია ვარაიაციული სტატისტიკით (ვილკოქსონ-მანი-უიტნის არაპარამეტრული კრიტერიუმში II-ს გამოყენებით).

სისხლის ბეტა-აქტივობის ფონის სტატისტიკურად სარწმუნო ზრდა ხანშიშესულ ასაკში, ხოლო ავთვისებიანი სიმსივნეების დროს მისი დაქვეითება, ბეტა-აქტიური ელემენტების შარდით ექსკრეციის დაქვეითება ჯანმრთელ და ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ ხანშიშესულ პირებში, ლაპარაკობს გამოკვლეული კონტიგენტის ორგანობესა და ქსოვილებში რადიაქტივობის მომატებაზე, რასაც შესაძლებელია ერთგვარი პათოგენეზური კავშირი ჰქონდეს ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარებასთან.

თავის ტვინის ქერძის მოტორული ზონის ნეირონების
 მორფოლოგიური მდგომარეობა სხვადასხვა ასაკის
 ვირთაგვებში ჰიპერბარული ოქსიგენაციის დროს

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახ. ექსპერი-
 მენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის განყოფილება,
 ქ. თბილისი)

კვლევის მიზანს შეადგენდა ვირთაგვების თავის ტვინის ქერ-
 ძის მოტორული ზონის ნეირონების მორფო-ფუნქციური მდგომარეობის შესწავლა ქანგბადის წნევის ერთი ატმოსფეროთი აწევის პირობებში. ცდები ჩატარებულია ორ ასაკობრივ ჯგუფის ვირთაგვებზე: 8—10 და 30—32 თვის. საკონტროლოდ გამოყენებული იყო იმავე ასაკის ვირთაგვები. ჰიპერბარული ოქსიგენაციის პირობებში ცხოველები იმყოფებოდნენ 1 საათს; 1, 5 და 10 დღის განმავლობაში.

მასალა ფიქსირდებოდა 96° სპირტში და კარნუას საფიქსაციო ხსნარში. ანათლები იღებებოდა ნისლის მეთოდით; დნმ-ი ფელგენის მეთოდით, რნმ-ი ბრაშეს მეთოდით (ენზიმოქიმიური შესწავლისათვის ქსოვილი იყინებოდა მშრალი ყინულით 8 μ სისქის ანათლები მზადდებოდა კრიოსტატში $t = -20^{\circ}$ -ზე) ნალ, ნალფ-ლიაფორაზები, სუკცინდეჰიდროგენაზა (სდგ) — ნაზლასის მეთოდით, ლაქტატდეჰიდროგენაზა (ლდგ) — ჰესის მეთოდით.

ახალგაზრდა ვირთაგვების მოტორული ზონის ნეირონებში ექსპერიმენტის ადრეულ ვადებში ქრომატოფილური ნივთიერება ძირითადად ნაწილდება მტვრისებურად, მე-10 დღეს აღინიშნება ამ ნივთიერების რაოდენობის მცირე მომატება და მისი არათანაბარი განაწილება. ექსპერიმენტის მეათე დღეზე ბებერ ცხოველებში ქრომატოფილური ნივთიერების რაოდენობა მცირდება, უჯრედები დეფორმირდება და ბირთვების მოცულობა დიდდება. დაბერებულ ცხოველებში ექსპერიმენტის მე-5 დღეს რნმ-ის რაოდენობა მცირედ მატულობს მაშინ, როდესაც ახალგაზრდა ცხოველებში ამ ვადაზე რნმ-ის რაოდენობა შემცირებულია. მე-10 დღეს აღნიშნული განსახვავება უფრო შესამჩნევი ხდება. დნმ-ის რაოდენობა კონტროლთან შედარებით არ იცვლება.

ბებერ ვირთაგვებში ჰიპერბარული ოქსიგენაციის პირველსავე დღეს აღინიშნებოდა შესწავლილი ფერმენტების მცირე კაპაქტი-

ვება. აქტივაციის დონე შემდგომ ვადებში არ იცვლება. ახალგაზრდა ცხოველებში პირველ დღეს შეიმჩნეოდა ფერმენტული აქტივობის ნაწილობრივი შესუსტება; მე-5 დღეს ფერმენტული აქტივობა ნორმას შეესაბამება, მე-10 დღეს ლდგ-ს აქტივობა უცვლელია, ხოლო დანარჩენი ფერმენტების აქტივობა მნიშვნელოვნად სჭარბობს კონტროლს.

ცდების შედეგები იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ ახალგაზრდა ცხოველებში ექსპერიმენტის ადრეულ ვადებზე ჰიპერბარული ოქსიგენაცია იწვევს თავის ტვინის ნეირონებში ფუნქციური აქტივობის დაქვეითებას, რაც გამოიხატება ნაღ-ნაღფ-დიაფორაზების, სდგ და ლდგ-ს ნაწილობრივ ბლოკირებაში, ექსპერიმენტის მოგვიანებულ ვადებში აღნიშნული ფერმენტების აქტივობა აღდგება და მატულობს კიდევ, რაც მოწმობს ახალგაზრდა ცხოველების ნეირონების ახალ პირობებთან შეგუების დიდ უნარს.

ბებერ ცხოველებში ასაკობრივ ჰიპოქსიის ფონზე ჰიპერბარული ოქსიგენაცია (1 ატ.) განაპირობებს ნეირონებში ზოგიერთი მეტაბოლიზმური პროცესის გაძლიერებას.

6. გოგონია, ნ. დიდუბაშვილი, ა. ნარსია

დასსივებული და ინტექტური მოზრდილი და ბავშვი ნირთავების ოკეაციულად დაზიანებული თირკმელების ჰისტოლოგიისათვის

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის რადიობიოლოგიისა და ავტო-რადიოგრაფიის კაბინეტი, ქ. თბილისი)

შესწავლილია 80 თეთრი ვირთავება ოპერაციულად დაზიანებული თირკმელი. ერთი თირკმლის მთლიანი ამოკვეთის, ხოლო მეორე თირკმლის ქერქოვანი ნივთიერების ნაწილის (ორგანოს წონის 1/3) მოკვეთის შემდეგ 40 ვირთავებაზე ზემოქმედების დამატებით ფაქტორს წარმოადგენდა რენტგენის სხივებით ერთჯერადი ზოგადი დასხივება 300 რ. დოზით. ცდები ჩატარებულია მოზრდილ (180—220 გრ) და ბებერ (350 გრ-ზე მეტი) ვირთავებზე. ჰისტოლოგიური შესწავლისათვის აღებულია მასალა ოპერაციიდან 5 და 15 დღის შემდეგ.

შეისწავლებოდა თირკმლის პარენქიმის უშუალოდ ოპერაცი-

ულ ქრილობასთან მიმდებარე უბანი და ამ უბანთან ახლო მდებარე ქერქოვანი ნივთიერება. ითვლებოდა თირკმლის სხეულაქების რაოდენობა ამ უბანში, 50 მხედველობის არეში (ოკულარი 7, ობიექტივი 8).

დაკვირვების 15-დღიან ვადაზე, შესწავლილ მასალაზე არ გამოვლინდა სარწმუნო სხვაობა ორი ასაკობრივი ჯგუფის ვირთაგვების თირკმლის რეგენერაციის უნარში. აღინიშნება მხოლოდ ზოგიერთი პარამეტრის ერთგვარი ჩამორჩენა დასხივებულ ვირთაგვებში — მილაკთა ზომა ამ ცხოველებში ნაკლებადაა გაზრდილი.

ჰისტოლოგიური სურათი ამ ვადაზე გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ ასაკობრივი განსხვავება დაუსხივებელ ცხოველთა ჯგუფში.

ბებერ ცხოველების ნაწიბუროვან ქსოვილში კოლაგენური ბოჭკოების რაოდენობა მეტია და ისინი უფრო მჭიდროდ ლაგდება, ვიდრე მოზრდილი ასაკის ცხოველთა თირკმლის ოპერირებულ უბანში. ორივე ასაკობრივი ჯგუფის დასხივებულ ცხოველებში ნაწიბური უფრო დიდი და უხეშია, ვიდრე დაუსხივებელ ცხოველებში.

მოზრდილი ნაოპერაციევი ვირთაგვას თირკმლის სხეულაქების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჰარბობს ბებერი ვირთაგვას თირკმლის სხეულაქების რაოდენობას. დასხივების შემდეგ სხვაობა ნიველირდება, რაც განპირობებულია მოზრდილ ცხოველთა თირკმლის სხეულაქების რაოდენობის მნიშვნელოვანი მოკლებით.

თირკმლის სხეულაქების რაოდენობის მატება ანათლის ფართობის ერთეულზე ოპერაციის შემდეგ უნდა აიხსნას მათი უფრო მჭიდრო დალაგებით, იმ ნუფრონების ლიზისისა და რეზორფციის შედეგად, რომელთა კაფსულა მოხვედა თირკმლის რეზეცირებულ ნაკვეთში. აქედან გამომდინარე თირკმლის სხეულაქების აღნიშნული სიჭარბე შედარებით ახალგაზრდა ცხოველებში გამოწვეული უნდა იყოს მათ ორგანიზმში მიმდინარე ორგანიზაციის პროცესების მეტი სისწრაფით.

ორი ასაკობრივი ჯგუფის ცხოველებში დასხივების შემდეგ თირკმლის სხეულაქების რაოდენობრივი განსხვავება აღარ აღინიშნება, ვინაიდან მათონიზირებელი ფაქტორი გარდა აღდგენითი პროცესების შეკავებისა, აფერხებს ორგანიზაციის პროცესებსაც, იწვევს რა ჰემოდინამიკის დარღვევას. ამის სასაზღვებლოდ მეტყველებს ორივე ასაკის დასხივებულ ცხოველთა თირკმლის სხეულაქების რაოდენობის ტოლობა იმავე პარამეტრთან დაუსხივებელ

ბებერ ცხოველებში, რომელთა ორგანიზაციის პროცესები შენელებულია ასაკთან დაკავშირებით.

5-დღიანი დაკვირვების შედეგად მიღებული მასალის შესწავლა არ იძლევა საშუალებას დადგინდეს რაიმე განსხვავება ასაკოვან ჯგუფებსა, ან დასწივებულ და დაუსწივებელ ცხოველებს შორის.

ი. ღავითაია

ადამიანის გულის გვიგზვინოვანი არტერიების ტოტების გამოყოფის კუთხეები და მათი ასაკობრივი თავისებურება

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის განყოფილება, თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრა, ქ. თბილისი).

შესწავლილია სხვადასხვა ასაკის (25—90 წ.) 126 ადამიანის გულის გვიგზვინოვანი არტერიები. მასალა აღებულია სასამართლო სამედიცინო გაკვეთებიდან. გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი გამორიცხული იყო. ხელოვნური თხევადი კაუჩუკით (ნაირიტ—4) ინიცირებული კორონალური არტერიები მუშავდებოდა ნაწილობრივი კოროზიის და პრეპარაციის წესით. ყველა ასაკობრივი ჯგუფი ორივე სქესს მოიცავდა თითქმის თანაბარი რაოდენობით. გაზომილი იყო გვიგზვინოვანი არტერიების 5000-მდე ტოტის გამოყოფის კუთხეები. რიცხობრივი მონაცემები დამუშავდა ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით.

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ მარჯვენა გვიგზვინოვანი არტერიის მთავარი ტოტები გამოიყოფიან უფრო გაშლილი კუთხით. ვიდრე მარცხენა გვიგზვინოვანი არტერიის ღეროები. მარცხენა გვიგზვინოვანი არტერია გამოეყოფა აორტას საშუალოდ $87,2^{\circ} \pm 0,25$ კუთხით, მარჯვენა გვიგზვინოვანი არტერია $90,7^{\circ} \pm 0,76$ კუთხის ქვეშ. წინა პარკუჭთაშუა არტერია $40,1^{\circ} \pm 1,53$ კუთხის ქვეშ. უკანა პარკუჭთაშუა არტერია მარჯვენა გვიგზვინოვანარტერიასთან ქმნის $66,3^{\circ} \pm 0,77$ კუთხეს შემომხვევი ტოტი გამოეყოფა მარცხენა გვიგზვინოვან არტერიას $50,7^{\circ} \pm 1,62$ კუთხის ქვეშ. აღნიშნულ მთავარ ღეროებიდან გამომავალი ტოტების კუთხეებიც მარჯვენა გვიგზვინოვან არტერიაში უფრო გაშლილია, ვიდრე მარცხენაში. შემომხვევ არტერიას ტოტები

წინაგულებისათვის გამოეყოფა საშუალოდ $70,2^{\circ} \pm 1,54$ კუთხის ქვეშ, პარკუჭებისათვის $62,0^{\circ} \pm 1,18$ კუთხით. მარჯვენა გვირგვინოვან არტერიას წინაგულებისათვის გამოეყოფა $79,5^{\circ} \pm 1,12$ კუთხის ქვეშ, პარკუჭებისათვის $73,3^{\circ} \pm 0,76$ კუთხით. წინაგულ-პარკუჭთაშუა ლარებში ორივე არტერია ტოტებს გამოყოფს თითქმის თანაბარი კუთხეებით ($77,9^{\circ} \pm 2,35$ — $77,0^{\circ} \pm 1,58$). წინა პარკუჭთაშუა არტერიას ტოტები მარჯვენა პარკუჭისათვის გამოეყოფა $69,8^{\circ} \pm 2,54$ კუთხის ქვეშ, პარკუჭთაშუა ძგიდეში $70,1^{\circ} \pm 0,93$ კუთხით, მარცხენა პარკუჭისათვის $68,8^{\circ} \pm 0,14$ კუთხით. უკანა პარკუჭთაშუა არტერიას მარჯვენა პარკუჭისათვის $70,3^{\circ} \pm 1,56$ კუთხის ქვეშ, ძგიდეში $76,2^{\circ} \pm 1,71$ კუთხით, მარცხენა პარკუჭისათვის $62,6^{\circ} \pm 2,24$ კუთხით.

კუთხეთა შედარებებიდან ჩანს, რომ ტოტები ორივე გვირგვინოვან არტერიებიდან გულის მარჯვენა ნახევარში (როგორც წინაგულებზე, ისე პარკუჭებზე) მიემართებიან უფრო გაშლილი კუთხით, ვიდრე მარცხენა ნახევარში წინაგულებზე უფრო დიდი კუთხით, ვიდრე პარკუჭებზე.

გვირგვინოვანი არტერიების ტოტების გამოყოფის კუთხეების ასაკობრივი შესწავლით ირკვევა, რომ დაბერების პროცესში მათი ზომები როგორც ცალკეულ ტოტებში, ისე საერთოდ, შესამჩნევ ასაკობრივ ცვლილებებს არ განიცდიან.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილიდან ჩანს, რომ გვირგვინოვანი არტერიების ტოტების მ(მთლიანად) გამოყოფის საშუალო კუთხეები სხვადასხვა ასაკის ადამიანის გულებში თითქმის ერთნაირია.

ასაკი	შესწავლილი მასალის რაოდენობა		გვირგვ. არტ. ტოტების (მთლიანად) გამოყოფის კუთხეების საშ. სიღრმე
	გულები	არტ. ტოტები	
25—35 წ.	36	1308	$71,0^{\circ} \pm 0,68$
45—59 წ.	32	1220	$70,9^{\circ} \pm 0,84$
60—74 წ.	32	1094	$70,3^{\circ} \pm 0,83$
75—89 წ.	26	940	$70,7^{\circ} \pm 1,01$

სხვადასხვა ასაკის ვირთაგვების თავის ტვინის ჭირის
ნერვული უჯრედების ულტრასტრუქტურა ზოგადი
ჰიპოქსიის პირობებში

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის განყოფილება, ქ. თბილისი)

ორგანიზმის ასაკობრივი ცვლილებების და დაბერების პროცესზე რიგი ფაქტორების ზემოქმედების შესწავლა თანამედროვე გერონტომორფოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებათაგანია.

კვლევის მიზანს შეადგენდა ორგანიზმის ზოგადი ჰიპოქსიის გავლენის შესწავლა, სხვადასხვა ასაკის ვირთაგვების თავის ტვინის ქერქის მოტორული ზონის ნეირონების და გლიური უჯრედების მორფო-ფუნქციურ მდგომარეობაზე.

ექსპერიმენტი ჩატარებულია სხვადასხვა ასაკის (2, 8 და 30 თვე) მამალ ვირთაგვებზე. ზოგად ჰიპოქსიას ვიწვევდით ცხოველების მოთავსებით ჰერმეტიულ ჰურჰელში, ყოველდღიურად ერთი საათით. 1, 7, 15, 30 და 60 დღის განმავლობაში. მასალა ფიქსირდებოდა პალადეს წესით 1% ოსმიუმის მეთაში, ყალიბდებოდა არალდიდში, ანათლები მზადდებოდა რეცხერტის ულტრატომზე. კონტრასტირება ხდებოდა ტყვიით და შეისწავლებოდა Tesla BS 242 ელექტრონულ მიკროსკოპში.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ვირთაგვების თავის ტვინის მოტორული ზონის ნეირონებსა და გლიურ უჯრედებში ასაკის მატებასთან ერთად აღინიშნება ულტრასტრუქტურის ცვლილებები. ბირთვების კონტურები არასწორი ხდება და ხშირად წარმოქმნის შვერილებს ციტოპლაზმაში. კარიოპლაზმაში ქრომატოფილური ნივთიერება ლავდება სხვადასხვა ზომის კონგლომერატების სახით. ენდოპლაზმური ბადის ცისტერნები ძლიერ ფართოვდება, მემბრანები ჰკარგავენ მათთვის დამახასიათებელ გრანულარულ აღნაგობას, მცირდება პოლისომებისა და რიბოსომების რაოდენობა. საკმაოდ ხშირად ციტოპლაზმაში ჩნდება ვაკუოლიზირებული უბნები. ადგილი აქვს გოლჯის აპარატის თავისებურ გადაკეთებას — ბუშტუკების მოცულობა იზრდება, ზოგიერთში აღინიშნება პიგმენტის ჩალაგება, რომელიც არც ისე იშვიათად იკავებს ციტოპლაზმის მნიშვნელოვან უბანს.

ნერვული უჯრედის დაბერების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მიტოქონდრიების ცვლილებები, რომელიც გამოიხატება შეუშუპებაში. მატრიქსის გამჭვირვალებაში, კრისტების რიცხვის შემცირებაში. კრისტების დესტრუქცია და ფრაგმენტაცია იწყება მიტოქონდრიების ცენტრიდან და ვრცელდება პერიფერიისაკენ.

ასაკობრივი ცვლილებები გლიურ უჯრედებში ნეირონების იდენტუზია. ამასთან ერთად ულტრასტრუქტურის ცვლილებები არაერთნაირია არა მარტო სხვადასხვა უჯრედში, არამედ ერთი და იგივე უჯრედის სხვადასხვა ორგანოებშიც კი.

ცხოველების ერთჯერადმა მოთავსებამ ჰიპოქსიურ არეში გამოავლინა მიკროსკოპული ცვლილებების სხვადასხვა სურათი. ნეირონებისა და გლიური უჯრედების ერთ ჯგუფში გამოვლინდა ფუნქციური აქტივობის მომატების ნიშნები, მეორეში დაქვეითება, ხოლო მესამე ჯგუფის უჯრედებში ცვლილებები არ აღინიშნა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

ხანგრძლივი (მრავალჯერადი) ჰიპოქსიური მდგომარეობა კიდევ უფრო აღრმავებს ულტრასტრუქტურის „ასაკობრივ“ ცვლილებებს. ხაზი უნდა გაესვას, რომ ულტრასტრუქტურის დისტროფიულ ცვრებთან ერთად თავს იჩენს კომპენსაციურ-შეგუებითი ცვლილებებიც, რომლებიც ახალგაზრდა ცხოველებში მკაფიოდ ვლინდებიან ცდის მე-7—15 დღეს, ხოლო ბებერ ცხოველებში 30-ე დღეს.

მიღებული მორფოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ ნეირონებსა და გლიურ უჯრედებს მაღალ მგრძობიარობასთან ერთად გააჩნიათ გარკვეული მდგრადობაც ჰიპოქსიისადმი. უკანასკნელი დამოკიდებულია მომქმედ ფაქტორის ხანგრძლიობაზე, აგრეთვე როგორც უჯრედის, ისე მთლიანად ორგანიზმის საწყის მდგომარეობაზე.

ე. ლეჟურია, ნ. კოჯლოვა

ბირთვისა და ნიტოქონდრიის ურთიერქმედების ასაკობრივი ცვლილებები

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის განვითარების ბიოლოგიის განყოფილება, ქ. თბილისი)

შესწავლილი იყო ბირთვული ექსტრაქტის გავლენა მიტოქონდრიების სუნთქვის ჯაჭვზე და ჟანგვით ფოსფორირებაზე ასაკთან.

დაკავშირებით. გამოყენებულია 2 ასაკის ვირთაგვები: ახალგაზრდა, სქესობრივად მოუმწიფებელი (100—120 გ) და ბებერი (250—300 გ).

ცდები დაყოფილი იყო ოთხ სერიად. პირველ სერიაში გამოკვლეულია სქესობრივად მოუმწიფებელი, ახალგაზრდა ვირთაგვების ღვიძლის ბირთვული ექსტრაქტის გავლენა ახალგაზრდა ვირთაგვების ღვიძლის მიტოქონდრიებზე. მეორეში — ბირთვული ექსტრაქტი მიღებული იყო ახალგაზრდა ვირთაგვების ღვიძლიდან, ხოლო მიტოქონდრიები ბებერი ვირთაგვების ღვიძლიდან. მესამეში — ექსტრაქტი მიღებულია დაბერებული ვირთაგვას ღვიძლის ბირთვულიდან, მიტოქონდრიები კი ახალგაზრდებიდან, ხოლო მეოთხე სერიაში — ექსტრაქტიც და მიტოქონდრიებიც მიღებულია ბებერი ვირთაგვების ღვიძლიდან.

ბირთვული ექსტრაქტი არ ცვლის მიტოქონდრიების სუნთქვის სიჩქარეს 4 მდგომარეობაში. ეს ნიშნავს, რომ ის არ არის უანგვითი ფოსფორილირების გამაჩქარებელი.

ახალგაზრდა ვირთაგვას ღვიძლის ბირთვული ექსტრაქტი ახდენს ახალგაზრდა ვირთაგვების ღვიძლის მიტოქონდრიების სუნთქვის სიჩქარის ინჰიბირებას 3 მდგომარეობაში, როგორც უშუალოდ დამატებისთანავე, ასევე მეორე ფოსფორილირების დროს, ამასთან მეორე ფოსფორილირებისას ინჰიბირება უფრო ძლიერად ხდება. მაჩვენებელი ADP/O არ იცვლება. ხოლო ფოსფორილირების სიჩქარე ეცემა. როგორც ჩანს, ბირთვული ექსტრაქტი არის ელექტრონების გადაცემის ინჰიბიტორი.

მეორე სერიაში — მაჩვენებელი ADP/O , აგრეთვე ფოსფორილირების სიჩქარე უცვლელი რჩება. ექსტრაქტის შიერ სუნთქვის სიჩქარის ინჰიბირება 3 მდგომარეობაში გაცილებით სუსტადაა განხატული.

ახალგაზრდა და ბებერი ვირთაგვას ღვიძლის მიტოქონდრიებს განსხვავებული რეაქცია ალბათ დამოკიდებულია მიტოქონდრიალური მემბრანის ასაკობრივ ცვლილებებზე. როგორც ჩანს, ასაკის მომატებასთან ერთად შიგნითა მემბრანის განვლადობა კლებულობს და ბირთვული ექსტრაქტი ვერ აღწევს უანგვისა და ფოსფორილირების პუნქტებში.

მესამე სერიაში სუნთქვის სიჩქარე 3 მდგომარეობაში უმნიშვნელოდ ეცემა, ფოსფორილირების სიჩქარე არ იცვლება, ხოლო მაჩვენებელი ADP/O იზრდება. ამ სერიის ცდებიდან შეიძლება

გაკეთდეს დასკვნა, რომ ბირთვული ექსტრაქტის ინჰიბიტორული გავლენა ცხოველის ასაკის მომატებასთან ერთად მნიშვნელოვნად სუსტდება. დაბერებული ვირთაგვას ღვიძლის ბირთვული ექსტრაქტი გავლენას ახდენს მხოლოდ თავისუფალ ჟანგვაზე.

შეოთხე სერიაში შეიმჩნევა 3 ზღვომარეობაში ელექტრონების გადაცემის კარგად გამოხატული ინჰიბირება, ხოლო სხვა მაჩვენებლები უცვლელი რჩება. შესაძლებელია, ამ შემთხვევაში აღგილი აქვს ორგანიზმის ასაკობრივ შეგუებას, ბებერი ვირთაგვას მიტოქონდრიების მემბრანა ხდება კომპლემენტარული დაბერებული ვირთაგვას ბირთვული ექსტრაქტის მოლეკულებისადმი.

რ. თაბუკაშვილი

ონტოგენეზში კატაპსინების საერთო აქტივობა ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა ნაწილებში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ბიოქიმიის კათედრა)

ინდივიდუალური განვითარების პროცესში მნიშვნელოვნად იცვლება ცენტრალური ნერვული სისტემის ქიმიური შემადგენლობა და ნივთიერებათა ცვლა. განსაკუთრებით საინტერესოა იმ ნივთიერებათა შესწავლა, რომელთა გარდაქმნა დაკავშირებულია ტვინში მიმდინარე ძირითად პროცესებთან.

ასეთ ნივთიერებათა რიცხვს მიეკუთვნება ლიზოსომებში არსებული საერთო კატეპსინების ფერმენტული სისტემა.

შრომის მიზანს შეადგენდა სხვადასხვა ასაკის ცხოველების ცენტრალურ ნერვულ სისტემაში საერთო კატეპსინების აქტივობის ცვლილების შესწავლა. ცდები ჩატარებულია მოზრდილ და ბებერ ვირთაგვებზე, რომლებიც ერთნაირად იკვებებოდნენ.

დეკაპიტაციის შემდეგ სწრაფად ამოკვეთავდით თავის ტვინს და ვათავსებდით ყინულზე 0,32M სახაროზას ხსნარში. გამოვყოფდით დიდი ტვინის ჰემისფეროებს, ნათხემს და მოგრძო ტვინს. თვითეული ნაწილის აწონვის შემდეგ ვამზადებდით ჰომოგენატებს. ანსონის მეთოდით ვიკვლევდით საერთო კატეპსინების თავისუფალ, საერთო და დაულექავ აქტივობას. თავისუფალ აქტივობას ვსაზღვრავდით პირდაპირ ჰომოგენატში. საერთო აქტივობას ვიკვლევდით ჰომოგენატზე ტრიტონ X—100-ის დამატების შემდეგ, საბოლოო კონცენტრაციით 0,1%. დაულექავ აქტივობას ვიკვლევ-

ღით სუპერნატანტში, რომელსაც ვიღებდით ჰომოგენატის ცენტრიფუგირებით 1 საათის განმავლობაში 2700 გ. სუბსტრატად გამოყენებული იყო მსხვილი რქოსანი საქონლის სისხლიდან დამზადებული ჰემოგლობინი. ფერმენტული აქტივობა გამოხატულია ფერმენტულ ერთეულებში.

დიდი ტვინის ჰემისფეროებში საერთო კატეპსინების საერთო აქტივობა საშუალო ასაკის ვირთაგვებისათვის უდრის 0,051, ხოლო ბებრებში — 0,044, თავისუფალი აქტივობა შესაბამისად არის 0,082 და 0,015, ხოლო დაულექავი აქტივობა — 0,041 და 0,030.

ნათხემში კატეპსინების საერთო აქტივობა საშუალო ასაკის ვირთაგვებისათვის უდრის 0,030, ხოლო ბებრებისათვის 0,018, თავისუფალი აქტივობა შესაბამისად არის — 0,52 და 0,021, ხოლო დაულექავი აქტივობა შესაბამისად — 0,014 და 0,031.

მოგრძო ტვინში კატეპსინების საერთო აქტივობა საშუალო ასაკის ვირთაგვებისათვის არის — 0,080, ხოლო ბებრებისათვის — 0,016; თავისუფალი აქტივობა შესაბამისად არის — 0,035 და 0,018, ხოლო დაულექავი აქტივობა შესაბამისად — 0,027 და 0,038.

მიღებული შედეგები გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ასაკის მომატებასთან ერთად კატეპსინების ფერმენტული სისტემის აქტივობა ქვეითდება.

ზ. თოიბა, ზ. ჰავანიშვილი, მ. ლანელიანი, მ. ხაჩინაშვილი,
ბ. ყიფიანი, ნ. გოცირიძე, თ. კოვირიძე

გოზრდელი ადამიანის ღვიძლის შიდა ნალვლის სადინარების ზოგიერთი ასაკობრივი თავისებურებანი

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის რეპრაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრა)

ნალვლის გზების ასაკობრივ თავისებურებათა დადგენა მნიშვნელოვანია როგორც ასაკობრივი მორფოლოგიის თვალსაზრისით, ისე ბილიარული პათოლოგიის რიგი საკითხების გაშუქებისათვის.

ღვიძლის შიდა ნალვლის სადინარების კალაბრისა და მათი კალაპოტის რელიეფის ასაკობრივი თავისებურებანი შესწავლილია ნალვლის გზების ლატექსით ინექციის შემდეგ დამზადებულ კოროზიულ პრეპარატებზე. სულ გამოკვლეულია 100 პრეპარატი. მასა-

ლა ასაკის მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: 18-დან 44 წლამდე — 27, 45-დან 50 წლამდე — 23, 60-დან 74 წლამდე—37, 75-დან 98 წლამდე—13.

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ნაღვლის სადინარების სანათურის ფართის $a \frac{AB}{4}$ საშუალო ოდენობის შედარებით გამოიკვამ,

რომ სადინარების კალიბრი ასაკთან ერთად განუხრელად მატულობს. განსაკუთრებით განიერდება მთავარი სადინარები, ხოლო წვრილი სადინარების დიამეტრი მნიშვნელოვნად არ იცვლება. მაგალითად ღვიძლის წილების სადინარების სანათურის საშუალო ფართი ახალგაზრდა და საშუალო ასაკში აღემატება V რიგის ტოტების სანათურის საშუალო ფართს 14-ჯერ, ხანშიშესულთა ასაკში --17-ჯერ, მოხუცთა ასაკში—16-ჯერ.

ასაკთან ერთად შესამჩნევად იცვლება აგრეთვე ნაღვლის სადინარების კალაპოტის რელიეფი. ახალგაზრდა და საშუალო ასაკში სადინარების სანათური, დასაწყისიდან გაყოფამდე ჩვეულებრივ ერთნაირია, ხოლო ხანშიშესულებსა და მოხუცებში ხშირად არათანაბარზომიერია, აღინიშნება სანათურის ალაგალაგ გაგანიერება, გვერდითი გამობერილობა.

ყველა ასაკობრივ ჯგუფში სადინარების სანათური დასაწყისში, არაიშვიათად, შევიწროებულია, მაგრამ ახალგაზრდებში ეს შევიწროვებანი ჩვეულებრივ, მკვეთრად არ არის გამოხატული და უპირატესად აღინიშნება I—II რიგის ტოტებზე. სიცოცხლის მეორე ნახევარში კი შევიწროება უფრო თვალსაჩინოა და ხშირად გამოხატულია III და IV რიგის ტოტებზეც.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ნაღვლის სადინარების ჯირკვლების ასაკობრივი ცვლილებები. ახალგაზრდა და საშუალო ასაკში კოროზიულ პრეპარატებზე ნაღვლის სადინარების ჯირკვლების ტვიფარი წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმის გამობერილობის სახით. წილების, სექტორებისა და სეგმენტების სადინართა ჯირკვლების სიგრძე არაიშვიათად 30—40 მმ აღწევს. ზოგიერთი მათგანი დაკავშირებულია ერთმანეთთან ანასტომოზებით. ხანშიშესულებსა და მოხუცებში ჯირკვლების სიგრძე მცირდება. ღვიძლის საერთო სადინარის ჯირკვლები გაგანიერებულია, პოლიმორფიზმი ნაკლებმესამჩნევია, სექტორებისა და სეგმენტების სადინართა ჯირკვლების რაოდენობა შემცირებულია, ანასტომოზები ჯირკვლებს შორის იშვიათად გვხვდება.

ჩატარებული გამოკვლევა ადაქტურებს მოსაზრებას, რომ *vasa aberrantia* ასაკის მომატებასთან ერთად მატულობს. ამასთან, ხანშიშესულებსა და განსაკუთრებით, მოხუცებში ისინი ზოგჯერ გვხვდება აგრეთვე ღვიძლის შუასაძგიდის ზედაპირზეც ნეკნთა რკალების შეხების მიდამოში.

უნდა აღინიშნოს, რომ ღვიძლის შიდა ნაღვლის სადინარების აღწერილი თავისებურებანი ყოველთვის არ შეესატყვისება ასაკს. ზოგჯერ მოხუცებს აქვთ ახალგაზრდისათვის დამახასიათებელი ნიშნები და პირაქით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ასაკობრივი ცვლილებები კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს.

6. კალანდაძე, ი. ანთაძე

კბილის პულპის სტრუქტურულ-ჰისტოქიმიური თავისებურებანი დაბერების პროცესში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრა და ექიმთა დახელოვნების თბილისის სახ. ინსტიტუტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრა)

შესწავლილია ადამიანის კბილის პულპის მიკრომეტრიული, ჰისტოლოგიური და ჰისტოქიმიური თავსებურებანი დაბერების პროცესში.

13—89 წლის ასაკის პირთა 103 კბილის (50 მიღებულია ოპერაციული გზით, 53 სექციური მასალიდან) ზემოაღნიშნული მეთოდებით შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ ადამიანის ორგანიზმის დაბერების პროცესში კბილის პულპაში ვითარდება ცვლილებათა კომპლექსი, რომელიც გამოიხატება: პულპის სიგრძისა და სიგანის, ოდონტობლასტების შრის რიცხვის შემცირებით, ოდონტობლასტების, სუბოდონტობლასტების, ფიბრობლასტებისა და პოხიერი უჯრედების რიცხვის შემცირებით, პიკნოზურბაროფიანი უჯრედების რიცხვის მომატებით, ძირითად ნივთიერებაში მუკოპოლისაქარიდების რაოდენობის შემცირებით, კოლაგენურ ბოქვების განბოქვებით, ჰომოგენიზაციით, ფუქსინოფილობის დაქვეითებით.

აღნიშნული ცვლილებები გამოვლინებას იწყებს საშუალო ასაკის მეორე ნახევარში, შემდეგ ხანშიშესულ ასაკში განიცდის პროგრესს, ხოლო მაქსიმუმს აღწევს მოხუცებულობის ასაკის დასაწყისში. დაბერების პროცესში პირველადია გერმინატიული უჯრედე-

ბის. ზოლო მეორადია ბოჭკოვანი სტრუქტურებისა და მთელი შუამდებარე კონსტრუქციების ცვლილებანი.

პულპის, როგორც მაღალი პლასტიური და რეაქტიული თვისების მქონე ფაზარი შემაერთებელი ქსოვილის, ხსენებული თავი-ღებურებანი დაგვეხმარება მასში მიმდინარე ასაკობრივ და პათოლოგიურ ცვლილებათა სადიფერენციაციოდ. უფროსი ასაკის ადამიანებში პულპიტების რაციონალური მკურნალობისათვის პულპისა და მთლიანად კბილის ცხოველყოფელობის შენარჩუნების მიზნით აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას მისი ასაკობრივი ნორფო-ფუნქციური თავისებურებანი.

6. კალანდაძე, ე. მოკოპირიძე

ყბების ალვეოლური მორჩის კლინიკურ-მორფოლოგიური თავისებურებანი ასაკობრივ ასპექტში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრა და ექიმთა დახელოვნების თბილისის სახ. ინსტიტუტის ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრა)

შესწავლილია ყბების ალვეოლური კლინიკურ-რენტგენოლოგიური, ჰისტოლოგიური და ჰისტოქიმიური თავისებურებანი დაბე-რების პროცესში.

200 ჯანმრთელი 70—79 წლის ასაკის პირის ალვეოლური მორჩის კლინიკურ-რენტგენოლოგიური შესწავლისა და მძიმე მექანიკური ტრავმის დროს მომკვდარი 38 15—79 წლის ასაკის პრაქტიკულად ჯანმრთელი პირის (სასამართლო-მედიკური შემთხვევები) ალვეოლური მორჩის მიკრომეტრიული ჰისტოლოგიური და ჰისტოქიმიური გამოკვლევის შედეგად დადგენილ იქნა, რომ ხანშიშესული ასაკის მეორე ნახევრიდან რენტგენოლოგიურად აღინიშნება ალვეოლური მორჩის კიდის ატროფია, მისი სიმადლეში დაკლება და კბილთაშუა ძვიდის განლევა კორტიკალური შრის შენარჩუნებით. მკვეთრად გამოხატული დიფუზური ოსტეოპოროზის ფონზე აღინიშნება სიბერის ასაკში პერიოდონტური ნაპრალის გაგანიერება, ჰისტოლოგიურად დადგენილია ძვლოვან ქსოვილში ოსტეოციტების რიცხვის შემცირება, ჰავერსის მილაკებისა და ძვალოვანი ხარისხების სიგანის შემცირება, ხარისხებს შორის სივრცეების სიგრძისა და სიგანის მომატება და მათში ბოჭკოვანი ქსოვილის გაძრავლება. ჰისტოქიმიურად ადგილი აქვს ძვლის ნივთიერე-

ბაში ნეიტრალურ მუკოპოლისაქარიდების რაოდენობის მომატებას უპირატესად ჰავერსის მილაკების კედლებზეა და ოსტეონებში და მკავე მუკოპოლისაქარიდების რაოდენობის მკვეთრ შემცირებას.

კვლევის ზემოწარმოდგენილი შედეგების საფუძველზე შესაძლებელი იქნება ყბების ძვლების ალვეოლური მორჩების ასაკობრივ ცვლილებათა დროული გამოვლინება და მათი დიფერენცია-ცია პათოლოგიური პროცესებისაგან, რომლებიც პირსახის დასახელებულ ნაწილებში უვითარდებათ უფროსი ასაკის პირებს.

ლ. კიკნაძე

ფოსფომონოესთერაზების აქტივობის თავისებურებანი თირკმლებში დაბერების პროცესში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტი, ც ს კ ლ)

თირკმლებში ფოსფომონოესთერაზების აქტივობის ცვლილებების ხასიათი დაბერების პროცესში დღემდე შესწავლილი არ არის. დასახელებული ფერმენტის აქტივობის ხარისხის მიხედვით შეიძლება მსჯელობა თირკმლის ფუნქციის მდგომარეობის შესახებ.

დაკვირვება ნაწარმოებია შინშილას ჯიშის 6-, 14-, 24-36 თვის კურდღლებზე. ანათლები შედეგებშია გამოორის წესით, ტუტე და მკავე ფოსფატაზების აქტივობის გამოვლინებისათვის.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად გამოირკვა, რომ 6 თვის ასაკის კურდღლების თირკმლებში მაღალია როგორც ტუტე, ისე მკავე ფოსფატაზების აქტივობა. ტუტე ფოსფატაზის მაღალი აქტივობა ვლინდება I და II რიგის კლაკნილი მილაკის და ჰენლეს მარყუჟის ძირითად მემბრანებში და მილაკების გამომდენი ეპითელური უჯრედების ციტოპლაზმაში, აგრეთვე მალპიგის გორგლების კაპილართა ძირითად მემბრანაში და მათი ენდოთელური უჯრედების ციტოპლაზმაში. ვარდა აღნიშნულისა, ტუტე ფოსფატაზის მაღალი აქტივობა ვლინდება როგორც ქერქოვან, ისე ტვინოვან ნივთიერებაში არსებულ ყველა ყალიბის სისწლის ძარღვების კედლებში — უჯრედებს შორის და უჯრედთა ციტოპლაზმაში. მკავე ფოსფატაზის აქტივობა მაღალია ქერქოვან და ტვინოვან ნივთიერების ყველა ყალიბის სისწლძარღვების კედლებში არსებულ უჯრედთა ბირთვებში, მალპიგის გორგლის ზოგიერთი ენდოთელური უჯრედის ბირთვებში და შემკრები მილაკების გამომდენ ეპითელურ უჯრედთა ბირთვებსა და ციტოპლაზმაში.

14 და 24 თვის ცხოველების თირკმლებში ტუტე და მჟავე ფოსფატაზების აქტივობა ისევე მაღალია, როგორც 6 თვის ცხოველების თირკმლებში. განსხვავება იმაშია, რომ 14 თვის ცხოველების შემკრებ საშარდე მილაკებში უფრო ხშირია ეპითელური უჯრედები ციტოპლაზმაში მჟავე ფოსფატაზის მაღალი აქტივობით, ხოლო 24 თვის ცხოველების შემკრებ საშარდე მილაკების გამომდენი ზოგიერთი ეპითელური უჯრედის ციტოპლაზმაში ვლინდება ტუტე ფოსფატაზის საშუალო ინტენსივობის აქტივობა.

36 თვის კურდღლების თირკმლებში დაბალია როგორც ტუტე, ისე მჟავე ფოსფატაზების აქტივობა. ტუტე ფოსფატაზის აქტივობა დაბალია I და II რივის კლაკნილი მილაკის და ჰენლეს მარყუჟის ძირითად მემბრანებში, ხოლო მათ გამომდენ ეპითელურ ციტოპლაზმაში სრულებით არ ვლინდება, ან ვლინდება ძალიან დაბალი აქტივობით. მალპიგის გორგლების კაპილართა მემბრანაში და ენდოთელური უჯრედების ციტოპლაზმაში ტუტე ფოსფატაზა ვლინდება დაბალი აქტივობით; არის მალპიგის გორგლები, რომლებშიც ტუტე ფოსფატაზის აქტივობა სრულიად არ ვლინდება. ტუტე ფოსფატაზის აქტივობა დაბალია აგრეთვე ქერქოვან და ტვინოვან ნივთიერების ყველა ყალიბის სისხლძარღვების კედლებში: ზოგიერთი სისხლის ძარღვის კედელში დასახელებული ფერმენტი სრულიად არ გამოვლინდა. მჟავე ფოსფატაზის საკმაოდ მაღალი აქტივობა ვლინდება ზემოთ დასახელებული სისხლძარღვების კედლებში არსებულ უჯრედთა ბირთვებში. მალპიგის გორგლების ენდოთელურ უჯრედთა ბირთვებში და შემკრები მილაკების ეპითელურ უჯრედთა ბირთვებსა ან ციტოპლაზმაში ფოსფატაზის აქტივობა არ ვლინდება.

ჩატარებულ გამოკვლევათა საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ შინშილას ჯიშის კურდღლების დაბერების პროცესში თირკმლებში კლებულობს ფოსფომონოსთერაზების აქტივობა. აღნიშნული გამოხატავს თირკმლებში ენერგეტიკული ბალანსის დეფიციტს, რაც დაბერების პროცესში თირკმლების ფუნქციის დაქვეითების (შესუსტების) ექვივალენტი უნდა იყოს.

ჰრომოსომათა ცვალებადობის სპონტანური დონე 80—114 წლის ასაკის პირებში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის მსკლ გენეტიკის განყოფილება, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის განყოფილება, ქ. თბილისი)

შესწავლილია ქრომოსომთა ცვალებადობის სპონტანური დონე 80—114 წლის ასაკის ორივე სქესის 40 კლინიკურად ჯანმრთელი ადამიანის პერაფერიული სისხლის ლეიკოციტების 40 კულტურის 1121 კარიოტიპში.

კარიოტიპების გაანალიზების შედეგად დადგინდა:

1. ადამიანის პერიფერიული სისხლის ლეიკოციტებში ანეუბლოიდურ უჯრედთა რიცხვი ასაკთან დაკავშირებით იზრდება 6,99%-დან — 14—48 წლის ასაკობრივ ჯგუფში, 10,08%-მდე — 80—114 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

2. ქრომოსომული დარღვევების შემცველ უჯრედთა სიხშირე და აბერანტულ ქრომოსომათა რიცხვი ასაკთან დაკავშირებით მატულობს 0,90%, 1,06%-დან — 14—48 წლის ასაკობრივ ჯგუფში, 4,10%, 5,44%-მდე — 80—114 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

6. ლოპიძე

გვირგვინოვანი არტერიების კელეზის ასაკობრივი თავისებურებანი

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, ნორმალური ანატომიის განყოფილება, ქ. თბილისი)

შესწავლილია უფროსი ასაკობრივი ჯგუფის პრაქტიკულად ჯანმრთელი 60 პირის, რომლებიც მოკვდნენ ტრავმის (სასამართლო-სამედიცინო შემთხვევები) ან არა გულსისხლმილთა სისტემის პათოლოგიის გამო გვირგვინოვანი არტერიების კედლის შენება.

ასაკობრივი ცვლილებების დადგენა ხელს შეუწყობს მოხუცებულ და ზანშიშესულ ასაკში გვირგვინოვან არტერიებში ათეროსკლეროზული ფოლაქების არჩევითი ლოკალიზაციის მიზეზების გარკვევას.

გამოკვლევული იყო მარცხენა და მარჯვენა გვირგვინოვანი

არტერიების და მათი ტოტების, წინა და უკანა პარკუქთაშუა არტერიების სხვადასხვა უბანი. მასალა აღებული იყო არა უგვიანეს 3 საათისა სიკვდილის შემდეგ, ფიქსირდებოდა 10% ფორმალინში, ტარდებოდა აღმავალი სიმაგრის სპირტებში, ყალიბდებოდა პარაფინში. 10μ სისქის ანათლები შეღებილი იყო ჰემატოქსილინ-ეოზინით, ვან-გიზონით, იმპრეგნირებული იყო ვერცხლით არგოროფილური ბოჭკოების გამოსავლინებლად.

საშუალო ასაკის (45—59 წლის) პირების გვირგვინოვანი არტერიების კედლის ყველა შესწავლილ მონაკვეთში კუნთოვანი შრე კარგადაა განვითარებული და აღწევს საკმაო სისქეს. კომპლექსურად განლაგებულ გლუვკუნთოვან ბოჭკოებს შორის აღინიშნება პარალელურად მდებარე მცირერიცხოვანი ელასტიკური ბოჭკოები. შემაერთებელქსოვილოვანი გარსის (ადვენტიციის) სისქე უმნიშვნელოა.

ხანშიშესულ ასაკში (60—74 წელი) საშუალო ასაკის პირებისაგან განსხვავებით კუნთოვანი ბოჭკოების რაოდენობა შემცირებულია. ამავე დროს აღინიშნება მედიაში განლაგებული შემაერთებელქსოვილოვანი ელემენტების რაოდენობის მატება, რომელთა შორის, ისევე, როგორც ინტიმაში განლაგებულ ბოჭკოებს შორის, ჩნდება ნაპრალეები. აღნიშნული ნაპრალეები ამოვსებულია კომპლექსური მასით, აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში არტერიების კედლები გასქელებულია უმთავრესად ინტიმის ხარჯზე.

მოხუცებულთა ასაკში (75—89 წელი) უფრო მკაფიოდ ვიდრე ხანშიშესულ ასაკში აღინიშნება გვირგვინოვანი არტერიების კედლებში კუნთოვანი ბოჭკოების რაოდენობის შემცირება. ამავე დროს ადგილი აქვს შემაერთებელქსოვილოვანი ელემენტების რაოდენობის მომატებას, რაც იწვევს არტერიების კედლების სისქის ზრდას.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე უფროს ასაკობრივი ჯგუფის პირთათვის დამახასიათებელია გულის გვირგვინოვანი არტერიების კედლებში გლუვკუნთოვანი ბოჭკოების რაოდენობის შემცირება, შემაერთებელქსოვილოვანი კომპონენტების რაოდენობის მატება და ბოჭკოვანი სტრუქტურების უფრო ფაშარი განლაგება, მათ შორის ნაპრალეების გაჩენით.

სათესლე ჯირკვლების რაოდენობრივი, მიკრომეტრიული
და ზოგიერთი ჰისტოქიმიური თავისებურებანი
ორბანიზმის დაბერების პროცესში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრა
და საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის ინსტიტუტის
პათომორფოლოგიური განყოფილება)

გამოკვლევით მიზანს შეადგენდა ადამიანის დაბერების პროცესში სათესლე ჯირკვლების პარენქიმის უჩრდული შედგენილობის დახასიათება, ბირთვულ და ციტოპლაზმურ ნუკლეინის შეავათა ციტოქიმიურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

მასალა იღებოდა 30—105 წლის (ახალგაზრდა ასაკი — 30—44—4 დაკვირვება, საშუალო ასაკი—45—59—10 დაკვირვება, ხანშიშესულთა ასაკი—60—74—10 დაკვირვება, მოხუცებულთა ასაკი 75—89—10 დაკვირვება; დღეგრძელთა ასაკი 90 წელი და მეტი 7 — დაკვირვება) პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანთა გვამებიდან, რომელთა სიკვდილის მიზეზს მძიმე მექანიკური ტრავმა წარმოადგენდა.

დაბერების პროცესში სპერმატოგენური ეპითელისა და სხვა ჰორმონწარმომქმნელი უჯრედების ჰიატოქიმიური, რაოდენობრივი და მეტრიული თავისებურებების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ადამიანის სიცოცხლის უფროს ასაკობრივ პერიოდებში დასახელებული ჯირკვლების პარენქიმა განიცდის რიგ დამახასიათებელ ცვლილებებს.

ხანშიშესულთა ასაკში ახალგაზრდა ასაკთან შედარებით სპერმატოგონიების რაოდენობა შეშვირებულია 17%-ით, მოხუცებულთა ასაკში 44%-ით, ხოლო დღეგრძელთა ასაკში 69%/ით. სპერმატოგონიების მკვეთრი უკმარისობა იწყება მოხუცებულთა ასაკში და პროგრესირებს შემდგომში.

დაბერების პროცესში მიტოზური კოეფიციენტის განსაზღვრამ სპერმატოგონიებში, გვიჩვენა რომ აღნიშნული ინდექსის მაჩვენებლის შემცირება იწყება ხანშიშესულთა ასაკიდან.

დნპ-ის და რნპ-ის რაოდენობრივმა განსაზღვრამ გვიჩვენა, რომ 70 წლამდე დნპ და რნპ ისეთივეა, როგორც ახალგაზრდა და საშუალო ასაკში, 70 წლის შემდგომი ასაკიდან ხდება რნპ-ის რაოდენობრივი შემცირება და მისი შესაღები არის გამოვლენის გადანაცვლება PH-ის უფრო მაღალი მნიშვნელობისაკენ.

სერტოლის უჯრედთა რაოდენობრივი ცვლილება ხასიათდება განსაზღვრული ციკლით, რაც მდგომარეობს მისი რაოდენობის ნკვეთ — ორჯერად გადიდებაში ხანშიშესულთა ასაკში, ხოლო მოხუცებულთა ასაკში ადგილი აქვს მისი რაოდენობის განახევრებას. დღეგრძელთა ასაკში კვლავ ადგილი აქვს სერტოლის უჯრედთა რაოდენობის მკვეთრ მომატებას. ჰისტოქიმიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ხანშიშესულთა ასაკში სერტოლის უჯრედებში ადგილი აქვს ციტოპლანზმური რნპ-ის შემცირებას. ასაკის მატებასთან ერთად პროგრესირებს რნპ-ის რაოდენობის შემცირება და მისი გამოვლინების იზოელექტრული წერტილის გადახრა ტუტე არისაკენ.

ლეიდიგის უჯრედების რაოდენობრივმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდა ასაკთან შედარებით ხანშიშესულთა ასაკიდან იწყება აღნიშნული უჯრედების შემცირება (20%-ით), რომელიც შემდგომ ასაკობრივ ჯგუფებში პროგრესირებს — მოხუცებულთა ასაკში 75%-ით, დღეგრძელთა ასაკში 88%/0-ით.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ სათესლე ჯირკვლების სპერმატოგენეტიკური ფუნქციის დაქვეითებას თან ახლავს სპერმატოგენური ეპითელის, სერტოლის, ლეიდიგის უჯრედების, რნპ-სა და რნპ-ს ფიზიკო-ქიმიურ თავისებურებათა ცვლილებები და სპერმატოზოიდების დეფიციტი. აღნიშნული ცვლილებები იწყება მოხუცებულთა ასაკიდან, აქვე საკიროა აღინიშნოს, რომ შემდგომ ასაკობრივ ჯგუფებში, მიუხედავად აღწერილი ცვლილებების გაღრმავებისა, სპერმატოზოიდების წარმოქმნის პროცესი კი არ წყდება. არამედ ადგილი აქვს მათი წარმოქმნის ინტენსივობის შემცირებას.

ო. ნემსაძე, ჯ. მაჰარაშვილი, ც. ნაღირაშვილი

სპილენძის, მანგანუმის, თუთიისა და ტყვიის უმცველოზა ყუბების ძვლების მოტახილოგიით დაავადებულთა სისხლში
ასაკთან დაკავშირებით

(ექიმთა დახელოვნების თბილისის სახ. ინსტიტუტის ქირურგიული
სტომატოლოგიის კათედრა)

მიკროელემენტების შემცველობას აქვს გარკვეული მნიშვნელობა ძვლოვანი ქსოვილის რეგენერაციის პროცესში.

შესწავლილია სპილენძის, მანგანუმის, ცინკის და ტყვიის რაოდენობა

დენობრივი შემცველობა სხვადასხვა ასაკის ჯანმრთელ პირებში და ყბების ძვლების მოტეხილობის შემთხვევაში.

გამოსაკვლევ პირებს უზმოზე ვენიდან ვუღებდით 10 მლ სისხლს, ვანაცრებდით მუდმივ წონამდე მუფელის ღუმელში 480° ტემპერატურაზე. ნაცარში მიკროელემენტებს ვიკვლევდით სპექტროგრაფზე. მასალა გადაანგარიშებულია მგ%-ებში ნაცრის წონაზე და დამუშავებულია ვარიაციული სტატისტიკით.

ცხრილში მოცემულია სპილენძის, მანგანუმის, ცინკის და ტყვიის შემცველობა (n — გამოკვლეულთა რაოდენობა).

ცხრილიდან ჩანს, რომ შესწავლილი მიკროელემენტების რაოდენობა ჯანმრთელ პირთა სისხლში ასაკთან დაკავშირებით არ იცვლება. არსებული მცირე განსხვავება სტატისტიკურად არასარწმუნოა.

ყბის ძვლის მოტეხილობის დროს ავადმყოფებიდან სისხლს ვღებდით ასევე უზმოზე, ტრავმის მიღების მომენტიდან პირველი ორი დღის განმავლობაში.

აღმოჩნდა, რომ ყბების ძვლების ტრავმული დაზიანების პირველ ორ დღეს ადამიანის სისხლში მკვეთრად მატულობს სპილენძის რაოდენობა (2-ჯერ და მეტად). მომატებულია ცინკისა და ტყვიის რაოდენობა. უმნიშვნელოდ იცვლება მანგანუმის რაოდენობა.

მიღებულ შედეგებს აქვთ გარკვეული მნიშვნელობა. მიკროელემენტები, სპილენძი, მარგანეცი, ცინკი და ტყვია ითვლებიან ოსტეოტროფულ ნივთიერებებად, რომლებიც უზრუნველყოფენ ძვლოვანი ქსოვილის წარმოშობასა და ჩამოყალიბებას.

	ასაკი	n	Cu	Mn	Zn	Pb
ნორმა	20—29	6	7,5±0,3	0,32±0,03	150,0±10,0	1,5±0,10
	30—39	6	7,6±0,2	0,35±0,02	145,0±12,0	1,2±0,15
	40—49	5	7,3±0,3	0,30±0,03	152,0±15,0	1,5±0,12
	50—60	5	7,0±0,5	0,32±0,04	140,0±10,0	1,6±0,15
ავადმყოფი	20—29	7	18,5±3,1	0,35±0,01	190,0±20,0	4,0±0,5
	30—39	6	19,4±2,3	0,33±0,01	198,0±25,0	4,3±0,6
	40—49	5	18,8±3,0	0,35±0,02	194,0±22,0	4,2±0,5
	50—60	5	17,5±2,6	0,33±0,01	200,0±20,0	4,4±0,7

შესწავლილი მიკროელემენტების მომატება უნდა ჩაითვალოს ორგანიზმის რეაქციად, რომელიც ხელს უწყობს მოტეხილი ძვლების შეხორცებას.

ალოქსანის დიაბეტის განვითარება სხვადასხვა ასაკის ცხოველებში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტი, ცსკლ)

ექსპერიმენტული ალოქსანური დიაბეტის მექანიზმების შესწავლის მიზნით ასაკობრივ ასპექტში გამოყენებული იყო 70 ბოცვერი — შინშილა, რომლებიც დაყოფილ იქნა 3 ასაკობრივ ჯგუფად. ცხოველები იმყოფებოდნენ ჩვეულებრივ კვებით რაციონზე. ალოქსანი შეეკვავდა ინტრავენურად, ახლადმომზადებული 5%-იანი ხსნარი — 150 მგ/კგ წონაზე. შაქრის რაოდენობა სისხლში ისაზღვრებოდა ჰაგედორნ-იენსენის მეთოდით. შარდში ექსპრესქიმიური მეთოდით.

საპასუხო რეაქცია ალოქსანზე თითოეულ ცხოველთა ჯგუფში სხვადასხვა აღმოჩნდა.

სქესობრივად მოუმწიფებელი და 14 თვის ბოცვერები ალოქსანიისადმი უფრო რეზისტენტულები აღმოჩნდნენ. ამ ასაკის ცხოველებში განვითარებული დიაბეტი მიმდინარეობს მძიმედ, სისხლში შაქრის რაოდენობის მკვეთრი მომატებით 400—425 მგ%-მდე. ცხოველთა უმრავლესობა დაიღუპა დაავადებიდან მე-5—6 დღეზე. აღნიშნულ ასაკის ცხოველებთან შედარებით, საშუალო და ბებერი ასაკის ბოცვერებში ალოქსანის დიაბეტი მიმდინარეობს ქრონიკულად, სისხლში შაქრის რაოდენობის 200—260 მგ%-ის ფონზე და ცხოველები ადვილად იბრუნებენ დაავადებამდე არსებულ წონას. საშუალო ასაკის ჯგუფებში ხშირად ადგილი აქვს გაჯანსაღებას.

მიღებული შედეგების (ჰისტოენზიმური და ბიოქიმიური) საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ ალოქსანის დიაბეტი იწვევს ახალგაზრდა ასაკის ცხოველებში არსებით ცვლილებებს ყველა სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ორგანოებში, მაშინ როდესაც საშუალო და ბებერი ასაკის ცხოველებში ალოქსანის მოქმედება შერჩევითად ტოქსიურია ენდოკრინული სისტემისათვის და დეტალობის ნაკლებ პროცენტს იძლევა.

ლიპიდების შემცველობა სხვადასხვა ასაკის ძალღების საჯღომ ნერვში მისი გადაკვეთის შემდეგ

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლ. ნათიშვილის სახელობის ექსპერი-
მენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის განყოფილება,
ქ. თბილისი)

ვალერის გადაგვარება საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. არსებული ლიტერატურის მიხედვით ნერვის გადაკვეთის შემდეგ როგორც პერიფერიულ, ისე ცენტრალური ნაწილის ნერვულ ბოქ-
კოებში ვითარდება დესტრუქციული ცვლილებები.

კვლევის მიზანს შეადგენდა ლიპიდების შემცველობის შესწავ-
ლა პროქსიმალურ და დისტალურ მონაკვეთებში საჯღომი ნერვის
გადაკვეთის შემდეგ. მასალას ვიღებდით ნერვის გადაკვეთიდან 15,
20, 45, 60, 75, 90 და 180 დღის შემდეგ ნერვის პროქსიმალურ და
დისტალურ მონაკვეთიდან, ზურგის ტვინის შესაბამის სეგმენტიდან
და კონტრალატერალური ნერვიდან. ექსპერიმენტი ჩატარებულია
სხვადასხვა ასაკის (2—4, 10—12 წელი) ძაღლებზე. აღებული მას-
ალა ფიქსირდებოდა 12% ნეიტრალურ ფორმალინში. ანათლეს
ვიღებდით გამყინავ მიკროტომზე. პრეპარატები იღებებოდა სუდან
[II]-ით და ნისლის მეთოდით. საკონტროლოდ ყოველ ექსპერი-
მენტულ ვადაში გამოყენებულია სათანადო ასაკის ინტაქტური ძა-
ღები და კონტრალატერალური ნერვები.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ დეგენერაციუ-
ლი პროცესის განვითარებასთან ერთად გადაკვეთილი ნერვის
ბოქკოებში ლიპიდების რაოდენობა მცირდება. ლიპიდების მოკ-
ლება განსაკუთრებით გამოხატულია ცდის პირველი თვის მანძილ-
ზე. მიეღინის დაშლილი ნაწილაკების ალაგებაში აქტიურად მო-
ნაწილეობენ შვანის უჯრედები, რომლებიც შემდეგ თავისუფლ-
დებიან დაშლის პროდუქტებისაგან. ხოლო ცხიმის წერილი წვეთე-
ბი ენდონერვიუმის უჯრედებში გროვდება. ეს მოვლენა ნერვის
გადაკვეთიდან 45—60 დღის შემდეგ კარგადაა გამოხატული. 180
დღის შემდეგ ლიპიდების საერთო რაოდენობა გადაკვეთილი ნერ-
ვის პერიფერიულ მონაკვეთში მკვეთრად შემცირებულია.

გადაკვეთილი ნერვის პროქსიმალურ მონაკვეთში, პირველი
ორი კვირის განმავლობაში ადგილი აქვს ლიპიდების საერთო რაო-
დენობის უმნიშვნელო შემცირებას. ხოლო შემდეგ, რეგენერაცი-
ის დაწყებასთან ერთად, ადგილი აქვს ლიპიდების რაოდენობის მა-

ტებას, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ახლად წარმოქმნილი ნერვული ბოკოების მიეღინიზაციასთან. ზურგის ტვინის როგორც მოტორულ, ისე სენსორულ ნეირონებში თვალსაჩინო ცვლილებები ნახული არ იყო. ასევე არ იყო ნახული ლიპიდების რაოდენობის ცვლილებები კონტრალატერალურ ნერვშიც.

ასაკობრივი ჯგუფების მონაცემების დაპირისპირებამ გვიჩვენა, რომ უფროსი ასაკის ძაღლებში როგორც დეგენერაციის, ისე რეგენერაციის გამოაშკარავების ვადები პერიფერიულ და პროქსიმალურ მონაკვეთში არ ემთხვევა ახალგაზრდა ცხოველის სათანადო ვადებს. კერძოდ, ბებერ ცხოველებში ლიპიდების საერთო რაოდენობის დაკლება განსაკუთრებით შეაამჩნევია პირველი კვირის უანჰაელობაში. ცხიმის წვეთების ენდონევრალური განლაგება და შვანის უჯრედების მონაწილეობა მიეღინის დაშლილი ნაწილაკების ალაგებაში ვლინდება 75—90 დღეს. ბებერი ძაღლების გადაკვეთილი ნერვის პროქსიმალურ მიდამოში ექსპერიმენტის მე-30 დღეზეც ლიპიდების საერთო რაოდენობა მცირეა, აღნიშნული ფაქტი მიუთითებს ამ ვადაში მიეღინიზაციის პროცესის დაქვეითებაზე.

6. ონიაზვილი

ზოგიერთი ფიზიკო-ქიმიური თავისებურებანი ასაკობრივ ცხოველთა ღვიძლიდან გამოყოფილი გლიკოგენის ასკეტიში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტი, ც ს კ ლ)

შესწავლილია შინშილას ჯიში 3—48 თვის ასაკის ინტაქტურა: ბოცვერების ღვიძლიდან გამოყოფილი გლიკოგენის შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრები და იოდის რიცხვი. შთანთქმის აპექტრები გადაღებული იყო ცეისის ფორმის ინფრაწითელ სპექტრომეტრზე UR—10 400—4000 სმ⁻¹ უბანში. მიღებული შედეგების საფუძველზე ირკვევა, რომ სხვადასხვა ასაკის ბოცვერებში გლიკოგენის ინფრაწითელი სპექტრები ძირითადად იდენტურია.

გლიკოგენისათვის დამახასიათებელია მოწითალო-მოიისფერო შეფერილობა: იოდის დამატების შედეგად ეს რეაქცია განპირობებულია იოდთან არამდგრადი ადსორბციული ნაერთის წარმოქმნით. სხვადასხვა ასაკის ცხოველთა ღვიძლიდან გამოყოფილი გლიკოგენისათვის ვსაზღვრავდით ე. წ. იოდის რიცხვს, რომელიც გვიჩვენ-

ნებს 100 გ გამოსაკვლევ გლიკოგენთან მიერთებული იოდის რაოდენობას. რაც უფრო მაღალია იოდის რიცხვი, მით უფრო მეტია გლიკოგენის განშტოების ხარისხი და აქედან გამომდინარე, გამოსაკვლევ სხნარის შეფერილობის ინტენსიობა.

სამი წლის და მეტი ხნის ბოცვერებს გლიკოგენის იოდის რიცხვი უმცირდებათ, სქესობრივად მოუმწიფებელ და ახალგაზრდა ცხოველებთან შედარებით, რაც ალბათ, დაკავშირებულია დაბერებულ ცხოველებში გლიკოგენის განშტოების სტრუქტურის ცვლილებასთან.

ბ. პატარაია

სხვადასხვა კონფიგურაციისა და სირთულის ოლიგოსახარიდების გამოვლენა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ცხოველების გულის კუნთში ასაკობრივ ასპექტში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტი, ცსკლ)

მასალად გამოკვლევებისათვის გამოყენებული იყო სხვადასხვა ევოლუციურ საფეხურზე მდგომ ცხოველთა გულის პარკუჭები (იხ. ცხრილი). საკვლევ მეთოდები გამანაწილებელი ქრომატოგრაფია ექსტინქციურ ინტეგრატორზე შემდგომი ანალიზით, ინფრაწითელი სპექტრალური ანალიზი და სხვა თანამედროვე მეთოდები.

მიოკარდში გამოვლინდა ტრანსგლიკოზილაზების აქტივობა, რომელთაც აქვთ თვისება გლიკოლიზური ნაშთების ტრანსფერირებისა მოქმედების ფართო დიაპაზონში.

მიოკარდიუმის ოლიგოსაქარიდების სინთეზში ასევე აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ფერმენტული სისტემები, რომლებიც ახდენენ მალტოზის ჰიდროლიზს. მათი მოქმედების ოპტიმუმი იმყოფება სხვადასხვა pH-ზე, ერთნი pH 4,8—5,0, მეორენი pH 6,8—7,0. მალტაზა pH-ის ოპტიმუმით 4,8 ახორციელებს ძირითადად ოლიგოსაქარიდების სინთეზს α —1,4 კავშირით. რაც შეეხება ფერმენტს, რომელსაც აქვს მოქმედების ოპტიმუმი pH—6,8. უნდა ვივარაუდოთ, რომ მონაწილეობს დატოტვილ კავშირების ჰიდროლიზში.

გამოვლენილი ოლიგოსაქარიდები მარჯვენა და მარცხენა პარკუჭის მიოკარდში ვლინდება სხვადასხვა კონცენტრაციით. ეს გან-

საკუთრებით ნიშანდობლივია ასაკობრივ ასპექტში, როდესაც ცხრილიდან გამომდინარე მკაფიოდ ვლინდება ასაკის ზრდასთან ერთად გლიკოგენის კონცენტრაციის ზრდაც განსაკუთრებით მარჯვენა პარკუჭში. დადგენილია, რომ გამოკვლეული ორიგოსაქარიდები ლებულობენ მონაწილეობას გლიკოგენის სინთეზში, ამ უკანასკნელის წარმოქმნისას ოლიგოსაქარიდები ასრულებენ საწყის მოლეკულებს ე. ი. მათი მეშვეობით ხორციელდება გლიკოგენის რესინთეზი. დადგენილია, რომ პოლიგლუკოზიდების სინთეზი გულის კუნთში მიმდინარეობს ოლიგოსაქარიდების წარმოქმნის სტადიის გავლით.

ცხრილი

№ საკვლევი ობიექტი	გლიკოგენი გულის პარკუჭებში მგ %						
	მარცხენა პარკუჭში			პარკუჭ- ბი. ენთის	მარჯვენა პარკუჭში		
	I ჯგ.	II ჯგ.	III ჯგ.		I ჯგ.	II ჯგ.	III ჯგ.
1. ძალი	346	580,8	615		501	710,2	907
2. კურღლი	138	210,1	445		200	323,2	633
3. ზღვის გოჭი		303,5				351,5	
4. თეთრი თაგვი		420,8				482,7	
5. მტრელი				765,0			
6. ბაყაყი				1010,8			
7. თევზი				1890,7			

6. სალამაბინა

მოზარდი და ზრდასრული ვირთაბვეების თირკმლის ჰომოგენატის ბირთვული და ციტოპლაზმური ფრაქციების მოქმედება მოზარდი ვირთაბვეების თირკმლის ზრდის სიჩქარეზე ცალმხრივი ნეფრემატომიის დროს

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის განვითარების ბიოლოგიის განყოფილება, ქ. თბილისი)

შესწავლილია ვირთაგვის ბირთვის და ციტოპლაზმური ფრაქციების მოქმედება უჯრედების გამრავლების სიჩქარეზე დარჩენილ თირკმელში ცალმხრივი ნეფრემატომიის დროს. გამოყენებულა: იყო თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვები „ვისტარის“ ჯიშისა. პირველ ვარიანტში რეციპიენტები და დონორები იყვნენ მოზარდი ცხოველები, წონით 80—90 გრამი. მეორე ვარიანტში რეციპიენ-

ტებად გამოყენებული იყვნენ მოზარდი ვირთაგვები, ხოლო დონორებად ზრდასრული ვირთაგვები წონით 200—250 გრ. ცდების როგორც პირველ, ისე მეორე ვარიანტში ნეფრექტომირებულ ვირთაგვებში შეგვყავდა 0,3 მლ ბიოვული და 0,3 ციტოპლაზმური ფრაქციები. კონტროლად გამოყენებული იყო ნეფრექტომირებული ვირთაგვები, რომლებშიც არ შეგვყავდა 0,3 მლ 0,25 მ სახაროზა (ჰომოგენატის ფრაქციონირება მიმდინარეობდა ჰაქაროზაზე). ცხოველებს ვკლავდით ნეფრექტომირების 24, 48, 72 სთ. შემდეგ ჩვეულებრივი ჰისტოლოგიური დამუშავების შემდეგ მასალას ვაყალიბებდით პარაფინში. მიღებული ბლოკებიდან ვამზადებდით 5μ ანთალს, რომლებსაც ვღებავდით ჰემატოქსილინ-ეოზინით.

თირკმელში ზრდის ინტენსივობას ვაფასებდით მიტოზური ინდექსის მიხედვით.

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, მოზარდი და ზრდასრული ვირთაგვების თირკმლის ჰომოგენატის ბირთვული და ციტოპლაზმური ფრაქციები სხვადასხვანაირად მოქმედებენ მიტოზურ აქტივობაზე თირკმელში. ცდების ორივე ვარიანტში ნეფრექტომირების 24 სთ.-ის შემდეგ არ აღინიშნება არავითარი ცვლილება მიტოზურ აქტივობაში. ცდის პირველ ვარიანტში ციტოპლაზმური ფრაქციის მოქმედების დროს 48 საათის შემდეგ მიტოზური ინდექსი კონტროლთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირდება. 72 საათის შემდეგ მიტოზური ინდექსი მატულობს 54%-ით. ვირთაგვიან თირკმლის ჰომოგენატის ბირთვული ფრაქცია იწვევს მიტოზური აქტივობის მკვეთრ შეკავებას ცდის ყველა ვადაზე.

ცდის მეორე ვარიანტში ვირთაგვის თირკმლის ციტოპლაზმური ფრაქციის შეყვანა იწვევდა 48 საათზე მიტოზური აქტივობის გაზრდას 50%-ით. ციტოპლაზმური ფრაქციის მასტიმულირებელი მოქმედება აღინიშნება ცდის 72 საათზე. თირკმლის ჰომოგენატის ბირთვული ფრაქცია იწვევს მიტოზური აქტივობის მკვეთრ შეკავებას ცდის ყველა ვადაზე. განსაკუთრებით ძლიერი შეკავება აღინიშნება ცდის 72-ე საათზე.

ამგვარად, მოზარდი და ზრდასრული ვირთაგვების თირკმლის ჰომოგენატის ციტოპლაზმური ფრაქცია იწვევს უჯრედების გამრავლების სტიმულირებას დარჩენილ თირკმელში, მაგრამ მოზარდი ვირთაგვების თირკმლის ჰომოგენატის ციტოპლაზმური ფრაქცია უფრო მოგვიანებით ამქლავნებს მოქმედებას, ვიდრე ზრდასრული ვირთაგვების თირკმლის ჰომოგენატის ციტოპლაზმური ფრაქცია.

ბირთვული და ციტოპლაზმური ფრაქციების მოქმედების გან-

საზღვრისას უჯრელების გამრავლების სიჩქარეზე მხედველობაში უნდა იყოს მიღებული საცდელი ცხოველის ასაკი.

პ. სტაპანოვი

კანაშვეზა უმამართებელქსოვილოვანი წარმონაქმნების ფუნქციური და სტრუქტურული ცვლილებების მემანიჭებები

(საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფ. დაავადებათა ინსტიტუტი, ქ. თბილისი)

მოხუცებულ და ღლეგრძელ ასაკში (გამოკვლეულია 90—100 წლის ასაკის 275 პირი, ამათგან 148 ღლეგრძელი) კანის ფუნქციის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ კანის საფარი დაბალ წინააღმდეგობას უწყევს გაჭიმვას, ხოლო მაღალ წინააღმდეგობას იჩენს ზედაპირული დაჭიმულობის შენარჩუნებისათვის, კანის ფუნქციების ასეთი დისოციაცია არის მისი ელასტიობის დაქვეითებისა ან დაკარგვის შედეგი. 100—109 წლის ასაკის პირებში — ღლეგრძელებში ადგილი აქვს კანის ნაოქიანობის შეცვლას. კერძოდ ღლეგრძელებში ქრება, სწორდება წვრილი ნაოქები, ან ჩნდება გადასწორებულ ადგილებს შორის ღრმა ღარები. ელექტრომიკროსკოპული გამოკვლევის შედეგად გამოირკვა, რომ კანის ზედაპირის ასეთი ცვლილება შედეგი არის კოლაგენურ ბოჭკოთა მიერ ახალი თვისებების შექმნისა, მათი ფიბრილების ერთმანეთთან მჭიდროდ ჯალაგებისა და მათ შორის ე. წ. მაცემენტირებელი ნივთიერების გამკვრივების და მათთვის ჩვეული დაკლავის გაქრობის.

როგორც ჩანს, კანის ჩვენს მიერ ნახული ე. წ. სენილური ელასტოზი არის დერმის კოლაგენურ ბოჭკოთა დესტრუქციის შედეგი, დაბერების დროს კანში ჩვენს მიერ გამოვლინებული ცვლილებანი წარმოადგენს მისი ფუნქციური აქტივობის დაქვეითების გამოხატულებას.

ც. ტაბატაძე

ლიპიდების უმცულოზა ადამიანის ჰეპატოციტებში დაბერების პროცესში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის პისტოლოგიის კათედრა)

ჰეპატოციტებში ლიპიდების უმცულობის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ღვიძლის მორფოფუნქციურ მდგომარეობაზე დაბერების პროცესში.

გამოკვლევებისათვის მასალა აღებულია ტრავმის გ.პო სწრაფად გარდაცვლილ (სასამართლო მედიკური შემთხვევები) 31—105 წლის პრაქტიკულად ჯანმრთელ პირთა გვამებიდან. გაყინული ანათლე-ბი შეღებულია სუდან III-ით, შავი სუდანითა და წითელი შარ-ლახით.

ხანშიშესულთა ასაკის მეორე ნახევრიდან (68 წელი) ჰეპა-ტოციტებში გამოვლინდა შავი სუდანით შეღებილი ცხიმოვანი ჩა-ნართები, ანუ ფოსფოლიპიდები უფრო დიდი რაოდენობით, ვიდრე წინა ასაკებში. მოხუცებულთა ასაკის დასაწყისში (75 წელი) ჰეპატოციტებში მატულობს სუდან III-ითა და წითელი შარლახით გამოვლინებული ცხიმების, ანუ ცხიმოვანი მჟავებ-სა და ნეიტ-რალური ცხიმების რაოდენობა. მოხუცებულთა ასაკის ბოლოსა (85—89 წელი) და ღლეგრძელთა ასაკ-ს დასაწყისში (90—95 წელი) ჰეპატოციტებში ვლინდება ყველა დასაზღვრული ნივთიე-რებებით შეღებილი ცხიმების დიდი რაოდენობა. 90—105 წლის ასაკში ჰეპატოციტებში ცხიმების რაოდენობა ისეთივეა, როგორც ღლეგრძელთა ასაკის დასაწყისში.

ჩატარებული გამოკვლევები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დაბერების პროცესში ადამიანის ჰეპატოციტებში თადარიგუ-ლად გამოვლინდება უჯრედის ცალკეულ ორგანოდთა მემბრანების დეკომპოზიციის ნიშნები, რის შედეგადაც მათ ციტოპლაზმაში გამო-ვარდება ფოსფოლიპიდები. ხოლო შემდეგ დეკომპოზიციისა და რთუ-ლი ცხიმების სინთეზის დაქვეითების გამო აუთვისებელი რჩება ცხი-მოვანი მჟავები და რთული ცილები, რომლებიც დიდი რაოდენობით გამოვლინდება ჰეპატოციტებში. აღნიშნული მოსაზრება იმითაც დასტურდება, რომ დეკომპოზიციას უჯრედის სხვა ორგანოდებ-თან ერთად განიცდიან მიტოქონდრიებიც: კლებულობს მათი მო-ცულობა, მათში კრისტების რაოდენობა, რის გამო უჯრედში ქვე-ითდება ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობა საერთოდ და, კერძოდ, ცხიმების ცვლა. ბუნებრივია დაუშვათ. რომ ენერჯის წარმოქ-მნელი პროცესების შექცევასთან ერთად მცირდება რთული ცხი-მების სინთეზი და ცხიმების სინთეზისათვის განკუთვნილი პლას-ტიკური მასალა ცხიმოვანი მჟავებისა და ნეიტრალური ცხიმების სახით გროვდება ჰეპატოციტების ციტოპლაზმაში. აღნიშნულს დასტურებს ჰეპატოციტების ციტოპლაზმაში ლიპოფუსინის დაგ-როვება, რაც თანხვედრილია დროში დეკომპოზიციასთან, ე. ი. გა-მოვლინებასთან.

დაბერების პროცესში ჰეპატოციტებში ცხიმოვანი მჟავებისა და ნეიტრალური ცხიმების რაოდენობის მომატების ფაქტი მიუთითებს ღვიძლის ლიპიდოგენური ფუნქციის შესუსტებაზე, ხოლო ჰეპატოციტებში ფოსფოლიპიდების რაოდენობის მომატება მიუთითებს ჰეპატოციტების ორგანოიდების დეკომპოზიციაზე, რაც მოასწავებს ღვიძლის მორფოფუნქციური მდგომარეობის შეცვლას.

რ. პარხახაძე, მ. ტყეშელაშვილი, ზ. შამყულაშვილი

ენერგეტიკული და ლიპიდური ცვლის კომპონენტები ექსპერიმენტული არტირიული ჰიპერტენზიის დროს სხვადასხვა ასაკში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტი, ცსკლ, ბიოქიმიის განყოფილება)

შესწავლილია ენერგეტიკული და ლიპიდური ცვლის მდგომარეობა დაბერების პროცესში ექსპერიმენტული ჰიპერტენზიის დროს.

ექსპერიმენტები ჩატარებულია სხვადასხვა ასაკის კურდღლებსა და ძაღლებზე. ჰიპერტენზია გამოწვეულია პიტუიტარინის ყოველდღიური შეყვანით ვენაში (0,2 ერთეული კგ ცოცხალ წონაზე). 3მ დღის განმავლობაში. არტერიული წნევა იზომებოდა, წინასწარ კანქვეშ მარყუჟის სახით გამოტანილ საძილე არტერიაზე. გულის კუნთის მიტოქონდრიების სუნთქვაში მომხდარი ცვლილებები შესწავლილია დაჟანგვის სუბსტრატის სახით ადფ-ის და მალატ-პირუვატის დამატების შემდეგ. ჩატარებულია ლიპიდური ცვლის კომპონენტების რაოდენობის განსაზღვრა სისხლის შრატში.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ ექსპერიმენტული ჰიპერტენზიის დროს დაბერებულ კურდღლებში ე.წ. „აქტიურ“ მდგომარეობაში სუნთქვის სიჩქარე სარწმუნოდ მატულობს, რაც გამოიხატება სუნთქვის კონტროლის მაჩვენებლის სარწმუნო მომატებით — იგი 5,8 აღწევს — ფოსფორილირების კოეფიციენტისა და ეფექტიურობის შემცირებით.

ლიპიდური ცვლის კომპონენტების რაოდენობის განსაზღვრამ გამოავლინა, რომ ექსპერიმენტული ჰიპერტენზიის დროს დაბერებული ძაღლების სისხლის შრატში სარწმუნოდ მატულობს საერთო ლიპიდების, არაეთერიფიცირებული ცხიმოვანი მჟავების, საერთო და დაკავშირებული ქოლესტერინის β-ლიპოპროტეიდების

შეცულობა და სარწმუნოდ კლებულობს ტრიგლოცერიდების და თა-
ვისუფალი ქოლესტერინის შეცულობა.

პიტუიტრინის გავლენა არტერიულ წნევაზე და აგრეთვე ლიპი-
დური ცვლის დაზღვევა, უფრო მკვეთრად აქვთ გამოხატული და-
ბერებულ ცხოველებს, ვიდრე ახალგაზრდებს.

3. ავლივიკი

საკვერცხის ფოლიკულების თეკა და გრანულოზური უჯრედების ზოგიერთი ჰისტოქიმიური თავისებურებების შესახებ ორბანიზმის დაბერების პროცესში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაქულტეტის მეანობა-
გინეკოლოგიის კათედრა)

კვლევის მასალად გამოყენებული იყო „ვისტარის“ ჯიშის ვირ-
თაგვის საკვერცხეები: ახალშობილის 2 კვირის, 1, 2, 3, 4, 5, 6, 12,
18, 24, 30 და 36 თვის ასაკისა. საკვერცხეების ფიქსაცია ხდებოდა
12% ნეიტრალურ ფორმალინში. ლიპიდების გამოსავლინებლად გამ-
ყინავ მიკროტომზე. მიღებული ანათომები იღებებოდა სუდან III-
ით, ლიპიდების რაოდენობა განისაზღვრებოდა ვიზუალურად. დე-
ქსირიზონუკლეინის მჟავების (დნმ) გამოსავლინებლად საკვერცხეე-
ბის ფიქსაცია ხდებოდა კარნუას სითხეში, პარაფინიანი ანათომები
იღებებოდა ფელგენის მეთოდით. დნმ რაოდენობა მოზარდი ფო-
ლიკულების გრანულოზურ და თეკა უჯრედებში ისაზღვრებოდა
ე. ბროდსკის (1956) მეთოდით. ციტოფოტომეტრიას ვაწარმოებ-
დით პ. ალექსანდროვის, ი. გრიბანოვსკის და ა. ჩერნუხის (1965)
სამამულო მიკროფოტომეტრის (MF—4) პრინციპზე კონსტრუირე-
ბულ ციტოფოტომეტრზე.

გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ „ვისტარის“ ჯიშის
ვირთაგვის დაბერების პროცესში საკვერცხის მოზარდი ფოლიკუ-
ლების თეკა და გრანულოზურ უჯრედებში ზდება სუდანოფილური
ნივთიერებების და დნმ-ის რაოდენობრივი ცვლილებები. ლიპიდე-
ბის მაქსიმალური რაოდენობა გამოვლინდა 3—12 თვის ასაკის ვირ-
თაგვის საკვერცხის მოზარდი და გრანულოზური ფოლიკულების შიდა თე-
კაში, 18 თვის ასაკიდან ლიპიდების რაოდენობა თანდათან მცირე-
დება მოზარდი ფოლიკულების თეკა უჯრედებში.

პირდაპირმა ციტოფოტომეტრიამ გვიჩვენა, რომ 3—12 თვის
ასაკში მოზარდი ფოლიკულების გრანულოზურ უჯრედებში დნმ-ის

რაოდენობა უფრო მაღალია, ვიდრე 3 თვემდე ასაკში და შეადგენს $4,30 \pm 0,16$ — $4,60 \pm 0,28$ ჰ. ე. 12 თვის ასაკიდან ღმ-ის რაოდენობა იწყებს შემცირებას და 30 თვის ასაკში ხასიათდება დაბალი მაჩვენებლით $2,53 \pm 0,3$ ჰ. ე. ღმ-ის რაოდენობის ასაკობრივი ცვლილებების დინამიკა აქვს უჯრედებში ზოგადად ისეთივეა, როგორც გრანულოზურ უჯრედებში.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაბერების პროცესი ხასიათდება ლიპიდების და ღმ-ის რაოდენობის შემცირებით საკვერცხის მოზარდი ფოლიკულების თეკა და გრანულოზურ უჯრედებში

ბ. ყიფიანი

წინაგულთა არტერიების ასაკობრივი თავისებურებანი

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრა)

წინაგულთა არტერიების ასაკობრივ თავისებურებათა შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სხვადასხვა ასაკის პირთა გულის სისხლის ძარღვების დახასიათებისათვის, ისე კორონალური აათოლოგიის ზოგიერთი საკითხის გაშუქებისათვის.

გამოკვლევა ჩატარებულია სხვადასხვა ასაკის (20-დან 89 წლამდე) ადამიანის 90 იზოლირებულ გულის პრეპარატზე. ასაკის მიხედვით მაქალა განაწილებულია შემდეგნაირად: 44 წლამდე—32; 45—59 წლამდე—26; 60—74 წლამდე—15; 75—89 წლამდე—17.

წინაგულთა არტერიები შესწავლილია კორონარ-პრეპარატის მეთოდით გულის სისხლძარღვებში სინთეზური თხევადი კაჟიუკის ინექციის შემდეგ. მიღებული მონაცემები დამუშავებულია ვარჯიშიანი სტატისტიკის მეთოდით.

ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით წინაგულთა არტერიების კალიბრი მაქსიმალურ ოდენობას აღწევს 20—44 წლის ასაკში.

45 წლის შემდეგ სისხლძარღვთა დიამეტრი თანდათანობით მცირდება. შესაბამისად კლებულობს წინაგულთა არტერიების სანათურთა საერთო ფართობი. მაგალითად, 20-დან 44 წლამდე წინაგულთა არტერიების სანათურთა საერთო ფართობი შეადგენს $5,02 \pm 0,1$ მმ; 45-ან 59 წლამდე— $4,75 \pm 0,09$ მმ; 60-დან 74 წლამდე— $3,91 \pm 0,08$ მმ 75-დან 89 წლამდე— $3,34 \pm 0,036$ მმ. აბ-

ტერიების სანათურის შევიწროვება განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული მოხუცთა ასაკში.

ახალგაზრდა ასაკში წინაგულთა მთავარი არტერიების კალიბრი შედარებით თანაბარზომიერია. ხანშიშესულებსა და მოხუცებში კი ხშირად გვხვდება სისხლის ძარღვთა ალაგალაგ შევიწროვებები.

წინაგულთა არტერიების რაოდენობა ასაკთან დაკავშირებით არ იცვლება მაშინ. როცა მათი პირველი რიგის ტოტების რაოდენობა 45 წლის შემდეგ თანდათან კლებულობს. მაგალითად, ორივე წინაგულის მთავარი არტერიების ტოტების საერთო რაოდენობა 20-დან 44 წლამდე შეადგენს $73,2 \pm 0,78$; 45-დან 59 წლამდე — $68 \pm 1,2$; 60-დან 74 წლამდე — $61 \pm 1,02$; 75-დან 89 წლამდე — $45 \pm 1,2$.

წინაგულთა წინა არტერიების გამოყოფის კუთხეები ასაკთან ერთად მატულობს.

წინაგულთა წინა არტერიების დასაწყისი ნაწილებისათვის დამახასიათებელი მოხრილობანი თანდათან მატულობს, რის შედეგადაც სისხლის ძარღვთა ღეროები სარეცელიდან გამოდიან. არტერიების პერიფერიულ მონაკვეთებში კლაკნილობა უფრო მკვეთრია.

წინაგულთა არტერიების ტიპების რაოდენობრივი შეფარდება ასაკთან დაკავშირებით არ იცვლება. ყველა ასაკობრივ ჯგუფში უფრო ხშირად გვხვდება არტერიების მარჯვენამხრივი ტიპი.

ასაკთან ერთად წინაგულთა არტერიების კალისბრისა და მათი ტოტების რაოდენობის შემცირება უნდა ჩაითვალოს წინაგულთა კედლების კვების გაუარესების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად.

ბ. შამყულაშვილი, რ. ძარჩხაძე

ბულის კუნთის მიტოქონდრიაში ზოგიერთ ფერმენტულ პროცესთა ურთიერთკავშირი დაბერების პირობებში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტი, ცსკლ ბიოქიმიური განყოფილება)

ენერგეტიკული ცვლის ასაკობრივ თავისებურებათა შესწავლა, ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა დაბერების მექანიზმის კვლევაში.

შესწავლილია მიტოქონდრიაში ენერგეტიკული პროცესების აქტივობა ცხოველის დაბერების პროცესში. მიტოქონდრიაში სუს-

პენზიაში, რომელიც მიიღებოდა ახალგაზრდა (6—8 თვის) და დაბერებული (27—30 თვის) კურდღლების გულის კუნთიდან, ეანგკიაი ფოსფორილირების პარამეტრთა რეგისტრაცია წარმოებდა მეთოდით, რომელიც საშუალებას იძლევა ერთდროულად განისაზღვროს ეანგბადის მოხმარება და პროტონთა კონცენტრაციის მცირე ცვლილება.

სხვადასხვა სუბსტრატის დამატება მიტოქონდრიის სუსპენზიაში იწვევს დაბერების პროცესში მათი დაჟანგვის ინტენსივობის ცვლილებას. გამოირკვა, რომ ასაკთან ერთად ნაღ-დამოკიდებულ სუბსტრატთა დაჟანგვისას სუნთქვითი კონტროლი პრაქტიკულად არ იცვლება, ხოლო ქარვის მქავეს სუნთქვის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად მცირდება, რაც დაბერებულ ცხოველთა მიტოქონდრებში სუნთქვის პროცესზე ადფ-ის ნაკლებ — მასტიმულირებელ გავლენისა და სუნთქვის მე-4 ეტაპის მაჩვენებელია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სუნთქვა, როგორც უაქცეპტორო არეში, ასევე 2,4 — დინიტროფენოლის ასრებობისას მატულობს კდეც.

სწორედ ადფ-ის წარმოქმნის ატფ-აზური რეაქციები (შეკუენვა, იონთა აქტიური ტრანსპორტი, სხვადასხვა შენაერთი და სინთეზი). წარმოებენ დაბერებული კურდღლის მიტოქონდრებში სუნთქვის რეგულაციას, უნდა ვივარაუდოთ, რომ დაჟანგვის შესუსტება დასახელებულ ცხოველებში განპირობებულია ატფ-აზური რეაქციების გაძლიერებით.

ატფ-ის შეტანა ახალგაზრდა ცხოველთა მიტოქონდრიების სუსპენზიაში არ იძლევა საინკუბაციო არის შემყავებას, რაც გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ე. წ. „მტკიცედ შეუღლებულ“ მიტოქონდრებთან. Mg-ის დამატება იძლევა ატფ-ის დაშლის მკვეთრ სტიმულირებას (იგი აღწევს $0,27 \text{ MgH}^+$ -იონს წთ/მგ ცილა).

დნფ დამატება იწვევს ატფ-ის აქტივობის ორჯერ ნაკლებ სტიმულირებას Mg-თან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ დაბერებული ცხოველების მიტოქონდრებში არსებობს ენდოგენური წარმოშობის ატფ-აზური აქტივობა ($0,060 \text{ MgH}^+$ იონი წთ/მგ ცილაზე). ეს ფაქტი ადვილად შეიძლება აიხსნას მიტოქონდრებში Mg-ის დიდი რაოდენობის არსებობით, რომელიც ადვილად გამონთავისუფლდება მიტოქონდრიათა დაზიანების დროს.

ადამიანის თავის ტვინის ღეროს მიკროვასკულარიზაციის ზოგიერთი ასაკობრივი თავისებურება

(საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის პათომორფოლოგიური ლაბორატორია, ქ. თბილისი)

ტვინის ღეროს ვასკულარიზაციის ასაკობრივი თავისებურებებში შეისწავლებოდა ადამიანის სექციური მასალის 51 ობიექტზე. ღეროს სერიული, ვერცხლით იმპრეგნირებული, ტოტალური პრეპარატების მიხედვით განისაზღვრებოდა სისხლძარღვთა რაოდენობა და დიამეტრი, კაპილარული ქსელის სიმჭიდროვე, მარყუქთა ფორმა და ზომები. ციფრობრივი მონაცემები დამუშავებულია ვარჯციული სტატისტიკის მეთოდით. მასალა დაყოფილია შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებად: 1 — ახალშობილები, 2 — ბავშვთა (1—7 წლები), 3 — მოზარდთა (8—15 წ.), 4 — ახალგაზრდა (16—25 წ.), 5 — ზრდასრული (26—40 წ.), 6 — საშუალო (45—59 წ.), 7 — ხანშიშესული (60—74 წ.), 8 — მოხუცებულების (75—89).

შეისწავლილი პარამეტრების ასაკობრივი დინამიკის ანალიზში გვიჩვენა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები ღეროს ყველა წარმონაქმნებში აღინიშნება პირველ ოთხ ასაკობრივ ჯგუფში, ორპელთაც პირობითად ვუწოდებთ პირველი ასაკობრივი პერიოდი. ამ პერიოდში, როგორც წესი, აღინიშნება სისხლძარღვთა დიამეტრის მაქსიმალური მატება — 28,0; 40,9; 42,0; 42,0 (ციფრობრივი მონაცემები მოცემულია თვალისმომკრავებელი ნერვების ბირთვების მიხედვით) აღინიშნულია აგრეთვე კაპილარული ქსელის მარყუქთა განზომილებათა ცვლილება $(38,25 \pm 1,19 \times 27,50 \pm 0,88; 41,50 = 0,88 \times 30,78 \pm 1,71;$

$42,54 \pm 1,13 \times 31,45 \pm 0,66; 52,55 \pm 1,13 \times 31,53 \pm 1,52)$.

კაპილარული ქსელის სიმჭიდროვე სტატისტიკურად სარწმუნოდ კლებულობს $(362,40 \pm 3,31; 359,20 \pm 5,35; 358,50 \pm 7,27; 346,50 \pm 7,39)$, მაშინ, როდესაც ზოგიერთ სხვა წარმონაქმნში, მაგალითად ენისქვეშა ნერვების ბირთვებში, პირიქით ეს მაჩვენებელი სტატისტიკურად სარწმუნოდ მატულობს — $346,64 \pm 2,80$ -დან (ახალშობილებში) — $365,50 \pm 2,93$ -მდე (მე-4 ჯგ). ორივე შემთხვევაში კაპილარული ქსელის სიმჭიდროვის ცვლილებები მთავრდება პირველ ასაკობრივ პერიოდში. კაპილარული ქსელის სიმ-

ქედროვის ეს ძვრები უნდა განვიხილოთ როგორც შეფარდებითი მოვლენა, გაპრობებული პარენქიმის შესატყვისი ზრდით.

შეჰდეგ ორ ასაკობრივ ჯგუფში (26-დან 60 წლამდე), რომლებიც გავაერთიანეთ მეორე ასაკობრივ პერიოდად, აღინიშნებოდა სისხლძარღვების და კაპილარული ქსელის ყველა პარამეტრის სტაბილობა (სისხლძარღვთა დიამეტრი— $56,0; 56,0$ მკ; მარყუჟთა ზომები— $42,60 \pm 0,68 \times 31,64 \pm 0,82; 42,39 \pm 0,66 \times 31,85 \pm 0,76$ მკ; კაპილარული ქსელის სიმჭიდროვე— $351,45 \pm 3,10$).

მესამე ასაკობრივ პერიოდში (61-დან 89 წლამდე), რომელიც შორცავს მე-7 და მე-8 ასაკობრივ ჯგუფებს, აღინიშნება სისხლძარღვთა დიამეტრების ზრდა ($56,0—70,0$ მკ), მათი დაკლავნილობა, ფორმის შეცვლა, სისხლის ძარღვებზე კეროვან გამობერილობათა გაჩენა. ასევე ვაუხეშებულია და ფორმაშეცვლილია კაპილარები. ადგილი აქვს მარყუჟთა ოდენობის ($41, 74 \pm 0,52 \times 31,34 \pm 0,76; 40,56 \pm 0,3 \times 29,44 \pm 0,91$) და კაპილარული ქსელის სიმჭიდროვის ($345,60 \pm 1,81; 333,80 \pm 18,04$ მმ) შემცირებას. კაპილარული მარყუჟების ზომების შემცირების ტენდენცია ალბათ უნდა განიხილებოდეს როგორც რეგრესიული მოვლენა.

ა. ჩუბინიძე, თ. აურთიოვილი-ვახაძე, ლ. გურდულიაძე

ადამიანის თავის ტვინის ძირძველი მიდამოს ზოგიერთი ასაკობრივი ანბიოგრაფიკული ტონიკული ტავისებურობა

(საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის პათოფიზიოლოგიური ლაბორატორია, ქ. თბილისი)

ტვინში სისხლისმიმოქცევის მოშლა სხვადასხვა ეტიო-პათოგენეზურ ფაქტორებთანაა დაკავშირებული. მათ შორის მნიშვნელოვანია ასაკობრივი ფაქტორი. განხილული თავის ტვინის სისხლძარღვებისა და კაპილარების სტრუქტურული ძვრების ასპექტში. სისხლის მიმოქცევის მოშლის არჩევითი ლოკალიზაცია ქერქვეშა ბირთვების მიდამოში განსაკუთრებულ ინტერპრეტაციას მოითხოვს ფუნქციონალური და ანატომიური თავისებურებათა გათვალისწინებით. საფიქრებელია, რომ ასაკთან ერთად ზდება სტრუქტურული გარდაქმნები არა მხოლოდ სისხლძარღვებისა და კაპილარების კედლებში, არამედ ადგილი აქვს გარკვეულ არქიტექტონიკულ ძვრებს მთელს მიკროცირკულატორულ სისტემაში. ეს საკითხი ადამიანის

მასალაზე უნდა შეისწავლებოდეს. ვერცხლით იმპრეგნირებულ ტოტალურ ანათლებზე შეისწავლებოდა შემდეგი მაჩვენებლები: 1. ინტრაცერებული სისხლძარღვების რიცხვი, ყალიბი, დატოტიანება და მიმართულება, 2. სისხლძარღვებს შორის არსებული ემპარიტი ანასტომოზები, 3. კაპილარული მარყუყუების ფორმა და ზომა, 4. კაპილარული ქსელის სიმკიდროვე. ციფრობრივი მასალა დამუშავებულ იქნა ვარაიაციული სტატისტიკის მეთოდით. მთელი მასალა (60 შემთხვევა) დაყოფილია 6 ასაკობრივ ჯგუფად: ახალშობილები — 8, 1—15 წელი — 8, 16—44 წელი — 13, 45—59 წელი — 12, 60—74 წელი — 11 და 75 წელზე მეტი — 8. შესწავლილ იქნა ქერქქვეშა ბირთვები (მხედველობის ბორცვი, სტრიოპალიდუმი, ნუსესებური ბირთვი, ზღუდე) და მინდებარე თეთრი ნივთიერება (შიგნითა, გარეთა და განაპირა კაუსულები).

ასაკთან ერთად იცვლება სისხლძარღვების ფორმა და დიამეტრი. ასე, მაგ., ახალშობილთა ჩენჩოში სისხლძარღვების მაქსიმალური დიამეტრი 1050 მკ ტოლია, 16 წლის ასაკში იგი აღწევს 1085 მკ., ხოლო 44 წლის ასაკში — 1100 მკ. მოხუცებულ ასაკში სისხლძარღვების დიამეტრი არაერთგვაროვანი ხდება, ჩნდება კეროვანი ან დიფუზური გამობერილობა-შევიწროვებანი.

ასაკთან ერთად იზრდება კაპილარების დიამეტრი როგორც ქერქქვეშა ბირთვებში (ახალშობილებში ის უდრის $4,73 \pm 0,74$ მკ., ხოლო 1—15 წ. — $5,8 \pm 0,68$ მკ). ისე მიმდებარე გამტარებელ გზებში ($5,8 \pm 0,55$ მკ და $6,69 \pm 0,73$ მკ). ასაკთან ერთად 16 წლამდე ადგილი აქვს კაპილარების მარყუყუთა ზომების ზრდას, 16-დან 60 წლამდე ადგილი აქვს უმნიშვნელო ცვლილებებს, ხოლო ხანშიშესულ და მოხუცებულობით ასაკში შეიმჩნევა მარყუყუების ზომების ერთგვარი შემცირება. ასე, მაგ. ჩენჩოში ახალშობილთა ასაკში მარყუყუთა საშუალო ზომებია $57,63 \pm 8,53 \times 35,5 \pm 6,55$ მკ, 1-დან 16 წლამდე ასაკში — $67,88 \pm 9,01 \times 50,00 \pm 7,89$ მკ, ხოლო მოხუცებულობის ასაკში — $64,38 \pm 9,14 \times 49,53 \pm 7,9$ მკ.

არარეგულარულად იცვლება კაპილარული ქსელის სიმკიდროვე. მაგ., კუდიან ბირთვში ახალშობილებში იგი უდრის $363,5 \pm 75,41$ მმ 1 მმ³-ში, 1-დან 15 წლამდე — $333,25 \pm 47,58$ მმ, 16-დან 44 წლამდე — $340,7 \pm 51,64$ მმ, 45-დან 59 წლამდე — $373,16 \times 62,09$ მმ, 60-დან 74 წლამდე — $362,72 \pm 82,79$ მმ, 75 წლის ზემოთ — $324,00 \pm 76,53$ 1 მმ³-ში. კაპილარული ქსელის სიმკიდროვის მაჩვენებლების დაახლოებით ასეთივე დინამიკა სხვა ბირთვებშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ კაპილარული ქსელის სიმკიდროვე,

მარყუეთა ფორმა და ზომები, სისხლძარღვთა დიამეტრი და ა. შ. ზედმიწევნით განახვევებულია ცალკეულ ქერქქვეშა ბირთვებში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ მაჩვენებლების განსხვავება რუხ ბირთვებსა და მიმდებარე თეთრ ნივთიერებას შორის. ასე, მაგ., აპილარული ქსელის სიმჭიდროვე ჩენჩოში უდრის $369 \pm 83,93$ მმ 1 მმ³-ში. ზღუდეში $353 \pm 48,16$ მმ, ნუშისებურ ბირთვში — $243.38 \pm 40,5$ მმ, მკრთალ ბირთვში — $224,46 \pm 65,86$ მმ, ზოლო შივნითა კაფსულაში — $84,15 \pm 10,84$ მმ 1 მმ³-ში.

5. ჩხოლარია

სქესობრივად მოუფიფიგებელი და მოზრდილი თაგვიანის თიფოსის ლიმფოიდური უჯრედების პროლიფერაციული პროცესების შედარებითი დახასიათება

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ჰისტოლოგიის განყოფილება, ქ. თბილისი)

დღემდე სადაოა საკითხი ინარჩუნებს თუ არა თიმუსი ფუნქციონალურ აქტივობას ინვოლუციის პროცესში.

შესწავლილია თიმუსის ლიმფოიდური უჯრედების პროლიფერაციული აქტივობა ორ ასაკობრივ ჯგუფში: სქესობრივად მოუფიფიგებელ თაგვებში (21—23 დღე) — მზარდი თიმუსი და მოზრდილ თაგვებში (9—12 თვე) — ინვოლირებული თიმუსი. შეისწავლეს ზოდა თიმუსის სუბკაპსულარული, ქერქოვანი და ტვინოვანი ზონების ლიმფოიდური უჯრედები. ყოველი ასაკობრივი ჯგუფის ზემოაღნიშნულ ზონებში განიარსებებოდა მიტოზური კოეფიციენტი (მკ⁰/ა), და დნმ-ის რაოდენობა ინტერფაზულ ბირთვებში. მკ განსაზღვრასთან ერთად ვადგენდით მიტოზების განაწილების ჰისტოტოპოგრაფებს თიმუსის ანათლებზე. ციტოფოტომეტრია წარმოებდა ცალკეულ უჯრედ-ანაბეჭდებზე, რომლებიც იღებებოდა ფელგენის მეთოდით. დნმ-ის რაოდენობას ვსაზღვრავდით ფოტოგრაფიული ციტოფოტომეტრიის მეთოდით. ნეგატივების ფოტომეტრიას ვაწარმოებდით ერთტალღიანი ხერხით მიკროფოტომეტრზე მფ-4.

მიღებული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში

თავის ასაკი	თიმუსის ზოგები	მიტოზური კოეფიციენტი (%)	პლოიდობა	
			2n	2n-4n
სქესობრივად მოუწიფებელი (21—23 დღე)	სუბკაპსულარული	$4,7 \pm 0,5$	50,2	40,8
	ქერქოვანი	$2,1 \pm 0,2$	91,0	9,0
	ტეხოვანი	$0,8 \pm 0,2$	92,6	7,4
მოზრდილი (9—12 თვე)	სუბკაპსულარული	$2,1 \pm 0,2$	81,6	18,4
	ქერქოვანი	$1,1 \pm 0,2$	99,0	1,0
	ტეხოვანი	$0,2 \pm 0,07$	97,9	2,1

მიღებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოზრდილ თავგებში, სქესობრივად მოუწიფებელთან შედარებით, აღინიშნება თიმუსის ლიმფოიდური უჯრედების პროლიფერაციული აქტივობის დაქვეითება, რაზედაც ნათლად მიგვიჩვენებს მკ და დნმ-ის მასინთეზირებელი უჯრედების შემცირება. მკ გამოთვლის საფუძველზე მიღებული მონაცემების დადასტურებაა თავის თიმუსის ანათლებზე მიტოზების ლოკალიზაციის ჰისტოტოპოგრამები, რომლებზედაც ნათლად ჩანს მიტოზურად მამრავლი უჯრედების როდენობის შემცირება ასაკის მომატებასთან ერთად. მიუხედავად პროლიფერაციული პროცესების აშკარა დაქვეითებისა, მოზრდილ თავგებში ეს პროცესები მთლიანად არ წყდება, რაზეც მიგვიჩვენებს მკ და დნმ-ის მასინთეზირებელი უჯრედების არსებობა ამ ასაკში. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს სუბკაპსულარულ ზონაში, რომელიც მოზრდილი თავგების, ისევე როგორც სქესობრივად მოუწიფებელი თავგების „თიმუსში“ ლიმფოპოეზის ძირითადი კერაა.

ზ. ცაბარელი, მ. კურნოსანაო. ქ. ჯანდიარი, მ. ლგობაძე

ქანგბადის მაღალი წნევის გავლენა სხვადასხვა ასაკის ცხოველების ჰიპოქსირებული გიოკარდიუმის ულტრასტრუქტურაზე

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ციტოლოგიის განყოფილება, ქ. თბილისი)

ჰიპოქსიის დროს, დაუქანგავი ტოქსიური ნივთიერებების დაგროვებისა და ენერგეტიკული დეფიციტის შედეგად, იზღვევა უჯ-

რედის სტრუქტურა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ცხოველების მიოკარდიუმის ულტრასტრუქტურულ თავისებურებათა შესწავლა ჰიპოქსიისა და ჟანგბადის გადიდებულ წნევის ზემოქმედების პირობებში.

ექსპერიმენტები ჩატარებულია ორ სერიად: პირველ სერიაში ცხოველები იმყოფებოდნენ ზოგადი ჰიპოქსიის მდგომარეობაში 2—2 საათს 10—15 დღის განმავლობაში, ცდების მეორე სერიაში ჰიპოქსიის შემდეგ ვირთაგვებში განიცდიდნენ ჟანგბადის გადიდებული წნევის ზემოქმედებას (ჰბო) ექსპოზიციის დრო 2 საათი, ჟანგბადის წნევა 2 ატმ. ცლისათვის გამოყენებული იყო 2 ასაკის ვირთაგვები: 14-თვიანი და 30-თვიანი.

მასალა ფიქსირდებოდა პალადეს წესით. ანათლები იღებოდა Reynold-ის მეთოდით და შეისწავლებოდა ელექტრონულ მიკროსკოპში Tesla BS-500.

ზრდასრული ვირთაგვების მიოკარდიუმის ელექტრონულ-მიკროსკოპულმა შესწავლამ (1 სერია) გვიჩვენა, რომ ირღვევა გულის კუნთის უჯრედთა სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაცია: ნიტოქონდრიები მნიშვნელოვნად დიდდება, მათი ტიხარები განიცდის ფრაგმენტაციას. შეცვლილია სარკოპლაზმური რეტიკულუმი, ბირთვის გარსი ქმნის ღრმა ინვაგინაციებს.

ხანდაზმული ცხოველების მიოკარდიუმში ცდების ამავე სერიაში ვითარდება შეუქცევადი ცვლილებები: მიტოქონდრიების მატრიქსი გამკვრივებულია, გარეთა მემბრანის მთლიანობა ირღვევა, აღინიშნება მიოფიბრილების ფრაგმენტაცია და სარკოპლაზმური რეტიკულუმის ვაკუოლიზაცია.

ცდების მე-2 სერიაში აღინიშნებოდა ზრდასრული ვირთაგვების მიოკარდის ულტრასტრუქტურული ორგანიზაციის ნაწილობრივი აღდგენა. ამ სერიის გამოკვლევების შედეგები საფუძველს კვაძლევენ დავასკვნათ, რომ ჰბო აზდენს დადებით გავლენას ზრდასრული ვირთაგვების დაზიანებული მიოკარდის სტრუქტურაზე.

ხანდაზმული ვირთაგვების მიოკარდიუმის უჯრედების სტრუქტურაში აღდგენითი მოვლენები უმნიშვნელოდ იყო გამოხატული. მკვეთრი შემუშებისა და დაშლილი მიტოქონდრიების ფონზე აღინიშნებოდა უჯრედის ზოგიერთი სტრუქტურის ორგანიზაციის სუსტი ნიშნები.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ორგანიზმზე ზოგადი ჰიპოქსიის მოქმედებით გამოწვე-

ული ცვლილებები მიოკარდიუმის უჯრედებში, ხშირად შეუქცევადი ჩასიათისაა. ზოგადი ჰიპოქსიის მდგომარეობაში მყოფი ცხოველების მიოკარდიულ უჯრედებზე ქანკბალის გადიდებული წნევის ზეგავლენა ნაწილობრივ აღადგენს მათ ულტრასტრუქტურას აბალგაზრდა ზრდასრულ ვირთაგვებში, და არ ახდენს არსებით დამცველ გავლენას ხანდაზმული ვირთაგვების მიოკარდის ულტრასტრუქტურაზე.

ა. ცინცაჟი

ზოგიერთი შინაგანი ორგანოების წონის შეფარდება ახალგაზრდა, მოზრდილი და ბებერი ბოცვერების სხეულის წონასთან

(საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს თერაპიის, კლინიკურა და ექსპერიმენტული თერაპიის ინსტიტუტის პათო-ფიზიოლოგიის განყოფილება, ქ. რბილისი)

შინაგან ორგანოთა ინტეგრაციის პრობლემა აყენებს საკითხს ცალკეული ორგანოების წონის სხეულის წონასთან შეფარდების შესასწავლად.

შეისწავლებოდა სხეულის წონა, შინაგანი ორგანოების წონა და წონის შეფარდება სხეულის წონასთან ახალგაზრდა (6 თვის), მოზრდილ (12 თვის) და ბებერ (4 წლის) ბოცვერებში.

ასაკის მატებასთან ერთად ბოცვერების სხეულის წონა იზრდება. ასე, ახალგაზრდებში იგი საშუალოდ უდრის 1715 ± 66 გ; მოზრდილებში— 2107 ± 44 გ ($p < 0,01$); ბებერ ბოცვერებში— 2932 ± 290 გ ($p < 0,001$). ღვიძლას აბსოლუტური წონა ასევე მატულობს ასაკთან დაკავშირებით და საშუალოდ ახალგაზრდებში უდრის 68 ± 3 გ; მოზრდილებში— 63 ± 4 გ. ($p < 0,02$), ხოლო ბებერ ბოცვერებში— 116 ± 8 გ. ($p < 0,01$). ღვიძლის წონის შეფარდება სხეულის წონასთან ასაკთან დაკავშირებით არ იცვლება, საშუალოდ შეადგენს ახალგაზრდებში $4,04 \pm 0,25\%$ -ს, მოზრდილებში— $3,95 \pm 0,19\%$ -ს და ბებერ ბოცვერებში— $4,04 \pm 0,35\%$ -ს ($p < 0,8-0,9$). ანალოგიურად იზრდება ფილტვების აბსოლუტური წონაც ასაკთან დაკავშირებით; ახალგაზრდა ასაკში საშუალოდ შეადგენს $6,7 \pm 0,5$ გ. მოზრდილებში— $8,6 \pm 0,48$ გ ($p < 0,05$), ბებერ ბოცვერებში $11 \pm 0,74$ გ ($p < 0,02$). ფილტვების წონის შეფარდება სხეულის წონასთან ასაკთან დაკავშირებით არ იცვლება.

გულსა და აორტის წონა მატულობს მხოლოდ ბებერ ბოცვერებში. ახალგაზრდა და მოზრდილებთან შედარებით. მათი აბსოლუტური წონა ახალგაზრდა ბოცვერებში საშუალოდ შეადგენს $3,6 \pm 0,36$ გ, მოზრდილებში — $6 \pm 0,13$ გ ($p < 0,4$), ბებერ ბოცვერებში $8,2 \pm 0,54$ გ. ($p < 0,01$), ამასთანავე გულის და აორტის წონის შეფარდება სხეულის წონასთან არ იცვლება. თირკმელების წონა მომატებულია მხოლოდ ბებერ ბოცვერებში, ახალგაზრდა და მოზრდილ ასაკთან შედარებით და უდრის $10,3 \pm 0,5$ გ ახალგაზრდებში, $9,8 \pm 0,7$ გ. მოზრდილებში ($p = 0,7$) და $13,4 \pm 0,8$ გ, ბებერ ბოცვერებში ($p < 0,02$), ხოლო თირკმელების წონის შეფარდება სხეულის წონასთან ასაკთან დაკავშირებით კლებულობს.

თირკმელზედა ჯირკვლების აბსოლუტური წონა მატულობს მხოლოდ ბებერ ბოცვერებში, ახალგაზრდები საშუალოდ შეადგენს $0,26 \pm 0,05$ გ, მოზრდილებში — $0,26 \pm 0,04$ გ ($p = 1$) და ბებერ ბოცვერებში — $0,56 \pm 0,18$ გ ($p < 0,02$). თირკმელზედა ჯირკვლების წონის შეფარდება სხეულის წონასთან ახალგაზრდა ბოცვერებში საშუალოდ შეადგენს $0,015 \pm 0,0025\%$; მოზრდილებში — $0,013 \pm 0,0015\%$ -ს, ხოლო ბებერ ბოცვერებში — $0,04 \pm 0,012\%$ -ს ($p < 0,05$). ელენთის წონა ასაკთან დაკავშირებით არ იცვლება.

ი. ააოზია, ლ. ჭამთარაძე, მ. მავაპარიანი, ა. გიორგაძე ლ. ლონლაძე

ბარძაყის ყელის მოტეხილობა ჰერიატრიულ ასკეტიკში

(საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედის ს/კ ინსტიტუტი, ქ. თბილისი)

ბარძაყის ყელის მოტეხილობა, ხანდაზმულ და მოხუც ასაკში, თანამედროვე ტრავმატოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 463 ავადმყოფი ბარძაყის ყელის მოტეხილობით: ასაკის მიხედვით: 60—74 წლამდე — 412, 75—89-მდე — 47, და 90—96-მდე. — 4;

მოხუცებში ბარძაყის ყელის მოტეხილობათა ხელშემწყობი მიზეზების გამოსავლინებლად ჩატარებული იყო კლინიკორენტგენოლოგიური გამოკვლევა და შესწავლილ იქნა მორფოპისტოქიმიურად იმ პირთა ბარძაყის ძვლის თავი და ყელი, რომელთა სიკვდილი არ იყო დაკავშირებული საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაზიანებასთან.

გამორკვეა, რომ მოტეხილობის ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს: ყელ-დიაფრიზის კუთხის შემცირება, კუნთთა ტონუსის დაქვეითება, მკავე მუკოპოლისაქარიდების პროგრესული შემცირება, უპირატესად არასულფატური მუკოპოლისაქარიდებისა, აგრეთვე ქონდროიტინსულფატების A და C კერატოსულფატების მომატება ძვლის საზრდელას ბოქკოვან ელემენტებში და სუბპერიოსტალური ზონის ძირითად ნივთიერებაში (40%-მდე). სხვა კომპონენტებთან ერთად, მკავე მუკოპოლისაქარიდების შემცირება იწვევს ბოქკოვანი სტრუქტურების სიმტკიცის დაქვეითებას, რაც განაპირობებს ძვლის ქსოვილში ბზარებისა და მიკრომოტეხილობების წარმოქმნას. ბარძაყის მიდამოში ძვლის-საზრდელას კამბიალური შრის უარსებობა აქვეითებს მის რეპარაციულ შესაძლებლობებს, რაც ხელს უწყობს მოტეხილობას, განსაკუთრებით ხანშიშესულ ასაკში.

კერატოსულფატების დაგროვება (რომელთაც უპირატესად ნექანიკური ფუნქცია აქვთ) და ვერტიკალური ხარიხების ჰიპერტროფია, კომპენსატორული, გამოვლინება მიმართულია ამ უბნის არასრულფასოვანი ძვლოვანი სტრუქტურის შესავსებად და სტატიკო-დინამიური დატვირთვის დასაძლევად. სხვადასხვა პირობებში კერატოსულფატების განსხვავებული რაოდენობა ლაპარაკობს კომპენსატორული შესაძლებლობის ინდივიდუალობაზე.

ნაოპერაციევ ავადმყოფთა უმრავლესობას აღენიშნება ათეროსკლეროზის მოვლენები, ჰიპერტონიული დაავადება, დიაბეტი და სხვა დაავადებანი.

მკურნალობის არჩევის მეთოდია დახურული ოსტეოსინთეზი, სამფრთიანი ლურსმნით პეტროვ-იასნოვის მიმმართველის გამოყენებით, წინასწარი (6—7 დღე) ჩონჩხოვანი დაქიმვით. ამ წესით ჩატარებული მკურნალობის შედეგი კარგი იყო 282 ავადმყოფზე, დამაკმაყოფილებელი — 172, არადამაკმაყოფილებელი — 9 ავადმყოფზე. ოპერაციის წინააღმდეგ ჩვენებას წარმოადგენს მოხუცებულობითი დემენცია, გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადება.

მოხუცებულ ასაკში ბარძაყის ყელის მოტეხილობების შედეგად გართულებების პროფილაქტიკის ძირითად საშუალებას წარმოადგენს ძირითადი ცვლის მოწესრიგება ძვლოვანი ქსოვილის პლასტიურობის გაძლიერებისათვის და ნაკლებად ტრავმული ოპერაციის დროული ჩატარება.

ჰიპერტონიით დაავადებულთა სისხლის
ლიპოპროტეინული სპექტრი ასაკობრივ ასპექტში
პოლიაკრილამიდის ველში ელექტროფორეზის
მონაცემებით

(თბილისის ს.ხ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრა)

ლიპიდური ცვლის დაზღვევა არტერიულ ჰიპერტონიასთან ერთად, წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს ათეროსკლეროზის პათოგენეზში. ამიტომ გარკვეულ თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს ჰიპერლიპოპროტეინემიის სიხშირის დადგენა ჰიპერტონული დაავადების გაურთულებული ფორმის დროს.

სტაციონარის პირობებში გამოკვლეულია 97 ავადმყოფი (51 ქალი და 46 მამაკაცი). მასალა ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფილია ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად (კიევი, 1963 წ.).

სისხლს ვილებდით დილის საათებში, 10—12 საათის შიმშილის შემდეგ. ლიპოპროტეინულ სპექტრს ვსაზღვრავდით პოლიაკრილამიდის ველში ელექტროფორეზით ველენგებრის მეთოდით, მაგრაჩევის მოდიფიკაციაში; ქოლესტერინი ისაზღვრებოდა აბელის მეთოდით, ტრიგლიცერიდები-კარლსონის, უგოლვეის და თანავეტორების მოდიფიკაციაში; საერთო ლიპიდები — სენანის მეთოდით, ბაუმანის მოდიფიკაციაში. ჰიპერლიპოპროტეინემიის (ჰლპ) ტიპების კლასიფიკაციას ვაზღვნიდით ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციის შესაბამისად (1970 წ.).

გამოკვლეულ ავადმყოფებში არ გამოვლინდა პირველი, მესამე და მეხუთე ტიპის ჰლპ. II-ა, II-ბ და IV ტიპების სიხშირე ქალებსა და მამაკაცებში ერთგვარი იყო. 45 წლამდე ასაკში II-ა ტიპი აღმოჩნდა ავადმყოფთა 18%, 45—59 წლის ავადმყოფთა — 25,8%, 60—74 წლის ავადმყოფთა — 21%, მოხუცებში (75—89 წ.) — 35%. მეორე „ბ“ ტიპი შესაბამისად იყო ახალგაზრდებში 18%, საშუალო ასაკში — 32%, ხანშიშესულებში — 37%. მოხუცებში II-ბ ტიპი არ გამოვლენილა. მეოთხე ტიპი: ახალგაზრდებში დადგინდა შემთხვევათა 27%, საშუალო ასაკში — 22%, ხანდაზმულებში — 31%, მოხუცებულებში — 33%.

ნორმალური ლიპოპროტეინოგრამა ყველა ასაკში გამოვლინდა

უფრო ხშირად გამოკვლეულთა პირველ და მეოთხე ასაკობრივ ჯგუფში, შესაბამისად 36% და 33%. საშუალო ასაკში — 17%, 9,8% — ხანშიშესულებში.

ნორმალური ლიპიდური სპექტრის მაღალი სიხშირე პირველ და მეორე ასაკობრივ ჯგუფში შეიძლება იყოს დაკავშირებული გამოკვლეულ ავადმყოფთა მცირე რაოდენობასთან.

ჰიპერტონიული დაავადების ყველა შემთხვევაში საჭიროა ლიპიდური სპექტრის გამოკვლევა ათეროგენული ტიპის ჰიპერლიპოპროტეინემიის (II-ა, II-ბ და IV) დადგენის შემთხვევაში საჭიროა შესაბამისი დიეტის დანიშვნა და ჰიპოლიპემიური მკურნალობის ჩატარება.

3. ბაბუხაძია, პ. ზუზარაძე

ჰიდრონეფროზის ორგანოს უმენახველი მკურნალობის მიზანშეწონილობა ხანშიშესულ ასაკში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის უროლოგიის კათედრა)

ჰიდრონეფროზული თირკმლის დანზოგველი ოპერაციის ეფექტურობის საკითხს ხანშიშესულ ასაკში (60—75 წ.) თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

სადღეისოდ გაბატონებულია აზრი, რომ ჰიდრონეფროზის მკურნალობის ერთადერთ არჩევით მეთოდს, 50 წლის ასაკის შემდეგ, წარმოადგენს ნეფრექტომია (Greevy, Hefenbolt, 1956; ЯН Кырера, 1963 და სხვ.)

აღნიშნული შეხედულება არ შეიძლება ეგუებოდეს მეცნიერების დღევანდელ დონეს და ქირურგიული პერიატრიის თვალსაზრისით გადასინჯვას მოითხოვს.

გამოკვლეულია 21 ხანშიშესული (60—74 წ.) ავადმყოფი, რომლებსაც 2—3 წლის წინ ცალმხრივი თუ ორმხრივი ჰიდრონეფროზის გამო გაუკეთდა გეგმიური ან იძულებითი თირკმლის დანზოგველი ოპერაცია.

ქალი იყო — 9, მამაკაცი — 12. მენჯ-შარდსაწვეთის სეგმენტის რეკონსტრუქციული ოპერაცია გაუკეთდა 12 ავადმყოფს (მენჯ-შარდსაწვეთის სეგმენტის რეზექცია პირდაპირი შერთულით — 2, Fenger-ით — 2, თირკმლის დამატებითი სისხლძარღვის რეზექცია — 8), 6 შემთხვევაში ოპერაციული გზით ამოღებულია კენჭი ზემო

საშარდე გზებიდან, რომელიც განაპირობებდა უროდინამიკის მოშლას. 2 ავადმყოფს გაუყეთდა ნეფროსტომია, როგორც იძულებითი ოპერაცია ორმხრივი ჰიდრონეფროზის გამო. ერთადერთი დარჩენილი ჰიდრონეფროზული თირკმლის შარდსაწვეთის დრენირება — ერთ ავადმყოფს.

შორეული შედეგების შესწავლით 15 ავადმყოფს ჰიდრონეფროზული თირკმლის ძირითადი ფუნქციური მაჩვენებლები ნორმალისებული აღმოაჩნდა, ამათგან 12 — სრული ნორმალისაცია: 3-ს ნაწილობრივი. 6 ავადმყოფს, რომელთაც კალკულოზური ეთიოლოგიის ჰიდრონეფროზი გართულებული ჰქონდათ პიელონეფრიტით, თირკმლის ფუნქციურ მაჩვენებლებში არსებითი გაუმჯობესება არ აღენიშნათ.

როგორც ამ დაკვირვებებიდან ჩანს, ჰიდრონეფროზის დროს პათოგენეზური ოპერაციული მკურნალობის შემდეგ, თირკმელი ზახშიშესულ ასაკშიც უმეტეს შემთხვევაში ინარჩუნებს რეპარაციისა და კომპენსაციის უნარს და ვლინდება როგორც მუშა ორგანო.

აქედან გამომდინარე, ჰიდრონეფროზული თირკმლის მოცილების საკითხი უნდა განისაზღვროს თირკმლის მორფო-ფუნქციური ხასიათის ცვლილებების ხარისხის მიხედვით და არა ავადმყოფის ასაკით.

ბ. ბახტაძე, ა. ჭურჭული, ნ. გოგიბერიძე, ა. მჟავაბიფილი, მ. არეშიძე, ა. ჭისტაური, ბ. წინამძღვრიფილი

შაქრიანი დიაბეტის მიმდინარეობის ასაკობრივი თავისებურებები

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრა)

შაქრიანი დიაბეტით ავადდებიან ყველა ასაკის ადამიანები, მაგრამ იგი სხვადასხვა ასაკში თავისებურად მიმდინარეობს (ს. გენესი, 1972, ე. ვასიუკოვა, ე. კასატკინა, 1972, ვ. ბარანოვი, ლ. ორკოდაშვილი, ზ. ზარიპოვა და თანავეტ., 1973, Uhry, Duncan 1955 და სხ.). მნიშვნელობა აქვს როგორც ასაკს — როდესაც გამოვლინდა დაავადება, ისე დაავადების ხანგრძლივობას, სიმძიმეს და სხვ.

განალიზებულია ამიერკავკ. რ/კ ნ. კახიანის სახ. ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს III თერაპიული განყოფილების 500 ავადმყოფობის ისტორია. ავადმყოფთა რაოდენობა ასაკის მიხედვით: 39 წლამდე (ახალგაზრდები) — 30 ავადმყოფი, 40—59 წლამდე (საშუალო ასაკი) — 180, 60 წლის და ზევით (ხანდაზმულები) — 290 ავადმყოფი. მამაკაცებისა და ქალების საერთო რაოდენობა ყველა ასაკობრივ ჯგუფში თითქმის თანაბარია. ავადმყოფების უმრავლესობას შეადგენდნენ ხანდაზმულები, რომელთა დაავადების ხანგრძლივობა (კლინიკური გამოვლინებიდან) მერყეობს რამოდენიმე კვირიდან 25 წლამდე.

ავადმყოფობის კლინიკური ნიშნები სხვადასხვა ასაკის ჯგუფებში ერთნაირი არ არის. პირის სიმშრალე, ძლიერი წყურვილი, პოლიურია, წონაში დაკლება ახასიათებდა ყველა ასაკობრივი ჯგუფის ავადმყოფთა უმრავლესობას (55%). ქავილი, პოლიფაგია და შეშუპებები კი უფრო მეტად ხანდაზმულ ავადმყოფებს.

ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ავადმყოფთა უმრავლესობას კლინიკური ნიშნები კარგად ჰქონდა გამოხატული. ხანდაზმულებში კი დაავადება შედარებით „წყნარად“ მიმდინარეობდა და ჭარბობდა შაქრიანი დიაბეტის გართულებებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

შესწავლილი ავადმყოფების უმრავლესობას (73,2%) აღნიშნებოდა სხვადასხვა გართულება. ყველაზე ხშირად გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ — 49%. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რეტინოპათიას — 15%, ნეიროპათიას — 28%, და ცხიმოვან ჰეპატოზს — 20%, აგრეთვე გართულებებს თირკმლებისა და საშარდე სისტემის მხრივ — 10%, სუნთქვის ორგანოთა სისტემის მხრივ — 16%. აღნიშნულ გართულებათა სიხშირე მატულობს ასაკისა და დაავადების ხანგრძლივობის პარალელურად, მაგრამ ზუსტი შესატყვისობა დაავადების ხანგრძლივობასა და გართულებათა სიმძიმეს შორის არ დადგინდა.

ხანდაზმულ ავადმყოფებში ძირითადად (52%) გვხვდება მსუბუქი და საშუალო სიმძიმის დიაბეტი. უმრავლეს შემთხვევაში (89%) ამ ჯგუფის ავადმყოფებში მკურნალობა ეფექტურია როგორც ინსულინით, ასევე სულფანილმარლოვანას პრეპარატებითა და ბიგუანიდებით. ხანდაზმულებში მცირეა ინსულინორეზისტენტულ ავადმყოფთა რიცხვი.

თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლის ასაკობრივ თავისებურებათა კლინიკო-პათოფიზიოლოგიური დახასიათება

(ქართულის სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი, ქ. თბილისი)

თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლათა ასაკობრივ დაზარალების გაფართოება ორივე მიმართულებით გამოიწვია აღნიშნული ნოზოლოგიის ორი კლინიკო-პათოგენეზური ნაირსახეობის გამოყვანა: ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა ახალგაზრდებში და ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა ხანშიშესულთა და მოხუცებულთა ასაკში.

შესწავლილია თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით შეზღუდული 350 ავადმყოფის კლინიკო-პათოფიზიოლოგიურ თავისებურებათა ასაკობრივი განსხვავებანი. ახალგაზრდა ავადმყოფებში (45 წლამდე) დომინირებდა ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლის ჰემორაგიული ტიპი. საშუალო ასაკის ავადმყოფებში (45—59) ქარბობდა ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლის გარდამავალი ფორმა.

ხანშიშესულ ასაკში (60—74 წ.) წამყვანია იშემიური ინსულტი, მოხუცებულ ასაკში (75—89 წ.) აღარ დიაგნოსტიკურდება სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა.

ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ავადმყოფებში ეტიოლოგიურ მომენტთა შორის უზშირესად აღინიშნებოდა მემკვიდრეობითი დატვირთვა სისხლძარღვოვანი დაავადებით, ინტრაკრანიალური ანევრიზმი, რევმატიზმი, ვასკულიტები, არტერიული ჰიპერტონია ავთვისებიანი მიმდინარეობით. ხანდაზმულებსა და მოხუცებში — მიზეზობრივ ფაქტორად წარმოდგენილი იყო ათეროსკლეროზი და არტერიული ჰიპერტონია ათეროსკლეროზთან კომბინაციაში.

ცერებრული სისხლმიმოქცევის მოშლის მწვავე ფორმების კლინიკური სურათი და გამოსავალი 60 წლამდე და მის შემოთავალსაზივად განსხვავდება.

ახალგაზრდა და საშუალო ასაკში ცერებრული ინსულტი შედარებით მძიმედ მიმდინარეობს, მაგრამ ლეტალობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე 60 წელს გადაცილებულ ავადმყოფებში, რაც აიხსნება ხანშიშესულთა შორის მეორად სომატურ გართულებათა ნა-

ადრევი განვითარებით. ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ავად-
მყოფებს ლიქვორ-ჰემოციტულაციის მოშლის გამო უფრო მკვე-
თრად აქვთ გამოხატული ზოგადცერებრული მოვლენები, ხანში-
შესულებსა და მოხუცებს კი მეტად აქვთ გამოკვეთილი კეროვანი
სიმპტომატიკა. ცერებრული სისხლმიმოქცევის მოშლის იშემიური
და ჰემორაგიული ფორმების დიფერენციაციის დროს, ახალგაზრ-
დებში შედარებით ხშირად იყო შეცდომით ნავარაუდები ჰემორა-
გიული პროცესი, ხანშიშესულებსა და მოხუცებში კი პირიქით —
იშემიური.

ახალგაზრდებში გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს ტვინის
ანთებითი პროცესის გამოჩენა, ხოლო 60 წელს გადაცილებულ
ავადმყოფებში საჭიროა გამოირიცხოს ტვინის სიმსიენე.

ანვიოგრაფიის, ელექტრო და რეოენცეფალოგრაფიის მონაცემე-
ბის ანალიზი საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ტვინის მწვავე
სისხლძარღვოვანი პათოლოგიის კლინიკისა და დინამიკის გამოვლი-
ნებულნი ასაკობრივი სხვაობის პათოფიზიოლოგიური სუბსტრატის
ერთ-ერთ წამყვან ელემენტს წარმოადგენს ვაზომოტორული რეაქ-
ტიულობის სხვადასხვა ზარისხი, ასაკის შესაბამისად.

ა. გამყრალიძე

ინვოლუციური ფსიქოზის დროს დეპრესიულ- იპოქონდრიული სინდრომის ფსიქოფარმაკოთერაპიის შესახებ

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრა)

ხანდაზმულ ასაკში ფსიქონერვულ აშლილობათა ეტიოპათო-
გენეზური მექანიზმების სირთულე, რომელთაც თან ერთვის კენტ-
რალური ნერვული სისტემის და სომატური პათოლოგია (პარკელ
რიგში გულ-სისხლძარღვთა სისტემის) გარკვეულად ართულებს
ფსიქოფარმაკოლოგიური პრეპარატების შერჩევასა და დოზირებას.

ინვოლუციური ფსიქოზის დეპრესიულ-იპოქონდრიული სინდ-
რომის ფსიქოპათოლოგიური სტრუქტურა ზასაათდება სიმპტომა-
ტოლოგიური სირთულით, ხოლო ფსიქოტროპული პრეპარატების
მიმართ გარკვეული სიმყარით და რეზისტენტობით.

ნესწავლილია დეპრესიულ-იპოქონდრიული სინდრომით მიმ-
დინარე ინვოლუციური ფსიქოზით დაავადებული 14 პირი 8 ავად-
მყოფი საშუალო (45—59 წლის). 6 კი ხანშიშესული ასაკისა (60—
74 წლის).

კლინიკურ სურათში წამყვანი იყო დეპრესია; პოლიმორფული შინაარსის იპოქონდრიული ჩივილები, შფოთვა, მოუსვენრობა, ზეზღურბლოვანი შიშა საკუთარ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ავადმყოფთა პრემორბიდი ძირითადად ხასიათდებოდა ექსტრავერტულობით და ემოციური ლაბილობით. დაავადების ხანგრძლივობა 2-დან 15 წლამდე.

ფსიქოსედაციური პრეპარატებით (ამინაზინი, რეზერპინი) მკურნალობა ამ შემთხვევაში დადებით თერაპიულ ეფექტს არ იძლევა, ვინაიდან განგამისა და შიშის რედუცირებასთან ერთად არაიშვიათად ღრმავდება სინდრომის დეპრესიული კომპონენტი და ეს უკანასკნელი განაპირობებს დეპრესიული შინაარსის ბოლდვითი სტრუქტურის ექსტერიერიზაციას, დადებით თერაპიულ ეფექტს ვერ უზრუნველყოფს, აგრეთვე, თიმოანალეფსიური პრეპარატი იმიპრამინი (მელიპრამინი). ამ უკანასკნელს შეუძლია ვააძლიეროს შფოთვა და იპოქონდრიული მოვლენანი.

დადებითი თერაპიული შედეგები მიღებულია ფსიქოლეფსიური (ნეიროლეფსიური), ფსიქოანალეფსიური (ანტიდეპრესანტები) და ანქსიოლოზური (ტრანკვილიზატორები) აქტივობის პრეპარატთა კომბინირებული მკურნალობით გულ-სისხლძარღვთა სისტემის მატონიზირებელ და მარეგულირებელ საშუალებებთან ერთად.

მასალის ანალიზი იძლევა საშუალებას ხანდაზმულ ასაკში განვითარებული დეპრესიულ-იპოქონდრიულ მდგომარეობათა სამკურნალოდ (ინვოლუციური ფსიქოზის ფარგლებში) რეკომენდირებული ფსიქოლეფსიური პრეპარატების (ტიზერცინი, მელერლი, ქლორპროტიქსენი) საშუალო დოზები, რომელთაც გააჩნიათ ფაკულტატიური თიმოლეფსიური მოქმედება და ფსიქოანალეფსიური პრეპარატები (ტრიპტიზოლი, ფტორაციზინი, აზათენი), რომელთაც აქვთ სედაციური მოქმედება. გულ-სისხლ-ძარღვთა და ვეგეტაციურ ნერვულ სისტემის მატონიზირებელ და მარეგულირებელ პრეპარატებთან კომბინაციაში.

დეპრესიულ-იპოქონდრიული სინდრომის სიმყარე და ავრავიული რეზისტენტობა განაპირობებს ხანგრძლივი განმამტკიცებელი მკურნალობის გატარებას, სოციალური რეაბილიტაციაა მეთოდობრივად ერთად. ასეთი კომბინირებული ღონისძიებების გარეშე ზმირია ავადმყოფური მდგომარეობის გამწვავება და რეციდივები.

ხანდაზმულ ასაკის ავადმყოფთა ფსიქოტროპული პრეპარატებით მკურნალობის საკითხისათვის

(საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ინსტიტუტი, ქ. თბილისი)

ხანდაზმულ ასაკში ფსიქონევრულ აშლილობათა ეთიოპათოგენეზში ადგილი აქვს ენდოგენურ, ეგზოგენურ და ფსიქოგენურ ფაქტორთა კონსტელაციას, რომელიც შერწყმულია ამ ასაკისთვის დამახასიათებელ ულისსხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემის პათოლოგიურ ცვლილებებთან.

ხანდაზმულ ასაკისათვის დამახასიათებელ ანატომო-ფიზიოლოგიურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებების გამო ფსიქოფარმაკოთერაპია არსებითად განსხვავებულია. ამ შემთხვევაში საჭიროა ფსიქოტროპული პრეპარატები გამოყენებულ იქნეს გულისა და ვეგეტოტროპულ საშუალებებთან ერთად, რომლებიც აუმჯობესებენ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევას. აღნიშნული თავისებურებანი უნდა იყოს გათვალისწინებული სამკურნალო საშუალებების შერჩევის და დოზირების დროს.

უკანასკნელ თორმეტი წლის მანძილზე ფსიქიატრიის ინსტიტუტში გატარებულ 3940 ხანდაზმული ასაკის ავადმყოფიდან საშუალო ასაკის იყო 2825, ხოლო ხანშიშესული ასაკის — 1115 ავადმყოფი. მასალის ანალიზი მიუთითებს, რომ ხანდაზმული ასაკის ფსიქოტროპული პრეპარატებით მკურნალობაში ფსიქოფარმაკოთერაპიამ წამყვანი ადგილი დაიკავა და მკვეთრად შემცირდა ე. წ. „აქტიური პათოლოგიური მეთოდების“ ხვედრითი წონა

დაავადების მწვავე სტადიაში ფსიქომოტორულ ავზნების კუპირების დღეებში თერაპიულ ეფექტს იძლევა ე. წ. „რბილად“ მომქმედებელი ნეროლეფსიური პრეპარატები (პროპანოლი, ტიზერციმი, ქლორპროტექსენი და ა. შ.). აქტიური ნეიროლეფსიული პრეპარატი ამინაზინი მკვეთრად ამცირებს მშფოთვარე მდგომარეობას და ავზნებადობას, მაგრამ ხშირად იწვევს ექსტრაპირამიდულ ნევროლოგიურ გართულებას, რითაც შეიძლება გადრმაგდეს ფსიქოზის სტრუქტურაში არსებული დეპრესია და გაუარესდეს ავადმყოფის საერთო მდგომარეობა.

საერთო მოუსვენრობის, მშფოთვარე მდგომარეობის და შიშების ხალიკვიდაციოდ (განსაკუთრებით ღამის სათებში) კარგი

თერაპიული შედეგია მიღებული ბენზოდიაზეპინის (ელენიუმი, სედექსენი, ტახეპამი, რადედორმი და ა. შ.) პრეპარატების გამოყენებით.

მშფოთვარე დეპრესიის მკურნალობაში დადებითი შედეგები მიღებულია ამიტრიპტილინით (ტრიპტიზოლი). საიმედო წინასწარ მონაცემებს იძლევა ე. წ. „ფართო დიაპაზონის მოქმედების“ ანტიდეპრესიულ პრეპარატებით მკურნალობა (აზაფენი, საპილენტი, ორიგენი, პირაზიდოლი და სხვა). ისინი აერთიანებენ ერთდროულად ანტიდეპრესიულ და ფსიქოსედატიურ აქტივობას და ამით ხელს უწყობენ აუტირებელი დეპრესიის რედუცირებას.

ხანდაზმული ასაკის ფსიქოზს ზშირად თან სდევს ხასიათობრივი ცვრები (ადვილად აგზნებადობა, სიჭიუტე, ჭირვეულობა და ა. შ.) მკიდროვ დაკავშირებული აფექტიური სფეროს აშლილობასთან (შიშები, მშფოთვარე მდგომარეობა, გუნებაგანწყობის დაქვეითება და ა. შ.). ამ დროს დადებით თერაპიულ ზემოქმედებას ახდენს ე. წ. „ფართო დიაპაზონის“ ფსიქოტროპული აქტივობის მქონე პრეპარატი თიორიდაზინი (მელლერილი, სონოპაქსი) ზომიერ დოზებში (50—100 მგ) დღეში.

ბ. ბალახიანი, ი. ჯაფანი

‘მრატის ცილების შესწავლა დისკ-ელექტროფორეზის მეთოდით ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზის დროს ხანშიშესულ და მოხუცებულ ასაკში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრა)

პოლიაკრილამიდური გელის დიდი გამყოფუნარიანობა (18—25 ფრაქცია) შესაძლებლობას იძლევა ზუსტად შევისწავლოთ მრატის ცილების ცილოვანი სპექტრი. ცილოვანი ცვლის შესწავლას ათეროსკლეროზის პათომექანიზმში გარკვეული ადგილი უჭირავს. შესწავლილია 195 ხანშიშესული და მოხუცებული ასაკის ავადმყოფი ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზით, გულის სხვადასხვა ხარისხის უემარისობით. დისკ-ელექტროფორეზი ვაწარმოეთ ბ. დევისის მეთოდით (1964 წ.).

ხანშიშესულ ასაკში ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზის დროს გულის უემარისობის ხარისხის მატებასთან ერთად აღნიშნა

ნელა მოძრავი ჰაპტოგლობინების სუმარული შემცველობის მატება (პირველ სტადიაში — $0,92 \pm 0,07$ გ%, მეორე სტადიაში — $1,01 \pm 0,07$ გ%, მესამე სტადიაში — $1,22 \pm 0,09$ გ%; ნორმა — $0,84 \pm 0,05$ გ%). გულის უკმარისობის მხოლოდ მესამე სტადიაში შეიმჩნევა ზომიერი ჰიპოპროტეინემია ($5,77 \pm 0,13$ გ%; ნორმაში — $7,26 \pm 0,13$ გ%) და მკვეთრი ჰიპოალბუმინემია $12,03 \pm 0,17$ გ%; ნორმა — $4,23 \pm 0,21$ გ% (ამავე დროს აღინიშნება ყველა ნელა მოძრავი ჰაპტოგლობინების ფრაქციათა შემცველობის მომატება, განსაკუთრებით კი მესამე ფრაქციისა ($0,31 \pm 0,04$ გ%; ნორმა — $0,18 \pm 0,02$ გ%). ავადმყოფების ამავე ჯგუფში აღინიშნა β_1 — ლიპოპროტეიდების ფრაქციის მომატება (მესამე სტადიაში $0,60 \pm 0,12$ გ%; ნორმა — $0,45 \pm 0,06$ გ%).

მოხუცებულ ასაკში გულის უკმარისობის პირველ სტადიაში აღინიშნა ნელა მოძრავი ჰაპტოგლობინების სუმარული შემცველობის მნიშვნელოვანი მატება ($1,00 \pm 0,15$ გ%; ნორმაში $0,52 \pm 0,05$ გ%), დისკ-ელექტროფორეგრამის სხვა ფრაქციათა უმნიშვნელო ცვლილებების ფონზე. გულის უკმარისობის მეორე სტადიაში ზომიერი ჰიპოალბუმინემიის ფონზე აღინიშნება ჩქარა მოძრავი ჰაპტოგლობინების ფრაქციათა შემცველობის მატება, განსაკუთრებით მე-3 ფრაქციისა და მკვეთრი მატება როგორც ნელა მოძრავი ჰაპტოგლობინების ფრაქციათა დისკებისა 8, (ნორმაში 6) ასევე ამ ფრაქციათა სუმარული რაოდენობისა ($1,14 \pm 0,10$ გ%).

ავადმყოფებს გულის უკმარისობის მესამე სტადიაში დისპროტეინემია და პარაპროტეინემია უფრო მკვეთრად აქვთ გამოხატული, ვიდრე გულის უკმარისობის მეორე სტადიაში მყოფ ავადმყოფებს. β_1 — ლიპოპროტეიდები მოხუცებულ ასაკში ცვლილებებს არ განიცდის.

შრატის ცილების შესწავლას დისკ-ელექტროფორეზის მეთოდით ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზის დროს ხანშიშესულ და მოხუცებულ ასაკში აქვს როგორც დიაგნოსტიკური, ისე პროგნოსტიკული მნიშვნელობა.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის ზოგიერთი მაჩვენებელი ინვოლუციური ფსიქოზისა და მოგვიანებულ ასაკში განვითარებულ შიზოფრენიის დროს

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრა)

ინვოლუციური ფსიქოზითა და მოგვიანებულ ასაკში გამოვლენილ შიზოფრენიით დაავადებულ 65 ავადმყოფს დინამიკაში გამოვეყვლიეთ გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა (სისხლის არტერიული წნევა, პულსი, ნევროლოგიური სტატუსი, პიეზოპელსოგრაფია, ოსცილატორული ინდექსი, ქანგბადის გაჯერება არტერიულ სისხლში კრეპსის მეთოდით, კანის ტემპერატურა და რენტგენოსკოპია).

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ინვოლუციური ფსიქოზის, ისევე როგორც მოგვიანებით გამოვლენილი შიზოფრენიის დროს ადგილი აქვს გარკვეულ ძვრებს გულ-სისხლძარღვოვანი სისტემის მხრივ. კარდიოვასკულარული დარღვევები გამოიხატება პულსის სიხშირის, ავსებისა და დაჭიმულობის მერყეობით, სისხლის არტერიული წნევის ცვალებადობით (დაქვეითებით ან მონატეებით), პულსური ტალღების გავრცელების სიჩქარის შემცირებით და ოსცილატორული ინდექსის გაზრდით, რაც მიუთითებს არტერიათა კედლების ტონუსის დაქვეითებაზე. ცალკეულ შემთხვევებში ათეროსკლეროზის კლინიკური სიმპტომების არსებობის ფონზე თავის ტვინის ნერვების გავრცელების მიდამოში ალინიზებოდა ინერვაციის ნატიფი, სუსტად გამოხატული და გარდამავალი მოშლა, პილომოტორული რეფლექსების სისუსტე განსაკუთრებით აღსანიშნავია არტერიულ სისხლში ქანგბადით გაჯერების და აგრეთვე კანის ტემპერატურის დაქვეითება.

ცვლილებები გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ინვოლუციური ფსიქოზით დაავადებულ შემთხვევებში, როცა დაავადება იწყება მწვავედ. შფოთიანი აგზნებით, დეპრესიით, აჟიტაციითა და დაბნეულობით. ინვოლუციური ფსიქოზის ტალღისებური, მოციმციმე მიმდინარეობისას კარდიო-ვასკულარული სისტემის გარკვეული დისფუნქციის სიმპტომები უფრო მკაფიო, მაგრამ გარდამავალია, ეს ცვლილებები გამოხატულია იქ, სადაც ინვოლუციური ფსიქოზი მიმდინარეობს ცნობიერების დელირიული

და დელირიულ-ამენციური აწლით. გულ-სისხლძარღვთა სისტემის ღოსფუნქციის სიმპტომები აღინიშნება მოგვიანებული შიზოფრენიის დროსაც, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც კლინიკურ სურათში ჰარბობს მწვავე ჰალუცინაციურ-პარანოიდული, ან კატატორული გამოვლინებანი. კარდიოვასკულარული სისტემის პათოლოგია თავს იჩენს აგრეთვე თავის ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზით და ჰიპერტონიით გართულებული მოგვიანებული შიზოფრენიის დროს.

ზ. გოგოხია, ზ. ენუშიძე, ზ. თორია

საქართველოს სსრ ბალის რაიონის ხანდაზმულთა გამოკვლევის მონაცემები

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის განყოფილება, ქ. თბილისი)

გამოკვლეულია 74 ხანდაზმული პირი, სოფლებში საბერძნო, ჩხორთოლი, ბარდები, წარჩე, რაც შეადგენს ამ სოფლებში 80 წლის ასაკს გადაცილებულთა 98%-ს. გამოკვლეულთა შორის მამაკაცი იყო 38, ქალი 36.

ასაკის მიხედვით გამოკვლეულები შემდეგნაირად განაწილდნენ: 80—89 წლისა — 49 პირი, 90—99 წლის — 14, 100 წელს გადაცილებული — 11. ეროვნებით ყველა ქართველი.

განათლება ერთს — საშუალო-სპეციალური, 4-ს — დაწყებითი, დანარჩენებს განათლება არა აქვთ.

სპეციალობით: ერთი ფერშალი (დანარჩენი კოლმეურნეები. ყოველ გამოსაკვლევ პირზე შევსებული იყო რუქა, რომელიც ასახავდა ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს (შრომის პირობები, კვება, საყოფაცხოვრებო პირობები და სხვა.). ჯანმრთელობის მდგომარეობას, სამედიცინო დახმარების საჭიროებას.

ჯანმრთელობის მდგომარეობის დასახასიათებლად ეხელმძღვანელობდით საერთო თვითშეგრძნებით, მოძრაობის უნარით, თვით-მიმსახურების უნარით, ფსიქიკის მდგომარეობით, მხედველობის და სმენის შენარჩუნების მაჩვენებლებით.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ უმეტესობის ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია. გამოკვლეულ პირთა საკმაოდ დიდ ნაწილს 45,9% შესწევს უნარი გავიდეს თავისი სოფლის ფარგლებს გა-

რეთ, 43,2%-ს ძალუძთ დამოუკიდებელი გადაადგილება ქუჩაში, 8,1%-ს შენარჩუნებული აქვს კარმიდამოს ფარგლებში მოძრაობის უნარი. ორი ხანდაზმული მწოლიარე მდგომარეობაში იყო. დამაზნა-სიათებელი იყო აზროვნების შენარჩუნების მაღალი დონე. გამოკვ-ლეულთაგან 63-ს (85,1%) არ აღინიშნებოდა ფსიქიკის არაერთა-რი დარღვევა, 11-ს (14,8%) გამოუვლინდათ გონებრივი სფეროს უმნიშვნელო დაქვეითება.

შედარებით კარგად ჰქონდათ შენარჩუნებული მხედველობა და სმენა, დამაკმაყოფილებელი მხედველობა ჰქონდა 23-ს (31,1%) შედარებით დაქვეითებული 49-ს (66,2%), ორი ხანდაზნული დაბრ-მავებული იყო. სმენა შენარჩუნებული ჰქონდა 34-ს, დაქვეითე-ბული 36-ს და 4 დაყრუებული იყო.

დაქორწინების საშუალო ასაკია მამაკაცებში 32 წელი, ქალებ-ში 21 წელი.

ზიოქიმიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა. რომ უმეტესობას სის-ხლში შაქრის, ქოლესტერინის, ალბუმინების შემცველობის დაბა-ლი დონე ჰქონდა. K, Na და Ca შემცველობა ნორმის ფარგლებ-ში იყო.

ს. დალაძიშვილი, შ. ზოგოხია, ე. კოკილაშვილი, ი. ღავითაია, ვ. ვაჟინია
ჯ. ენუშიძე, ც. ჩიხლაძე

მოხუცებულობით პენსიონერთა შრომის გამოყენების საკითხისათვის

(საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენ-ტული მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის განყოფილება, თბილისი)

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ეკონომიურად განვითარე-ბულ ქვეყნებში საგრძნობლად მოიმატა უფროსი ასაკის მოსახლე-ობის პირთა რაოდენობამ, რაც თავის მხრივ აყენებს მეტად აქტუ-ალურ საკითხს. ასაკით პენსიონერთა შრომის გამოყენების მხრივ.

ამჟამად სსრკ-ში 50 წლის და მეტი ასაკის დაახლოებით 50 მი-ლიონი მცხოვრებია. მოხუცებით პენსიონერთა რიცხვმა შეადგინა 44 მილიონი. სტატისტიკოსების პროგნოზირებით 1980 წელს სა-პენსიო ასაკის პირთა რაოდენობა მიაღწევს 50 მილიონს, ხოლო 2000 წელს — 80 მილიონს.

მოხუცებით პენსიონერთა რიცხვის ზრდა, განაპირობებს ყო-

ველწლიურად სახელმწიფო შრომითი რესურსებიდან მოსახლეობის დიდი რაოდენობის გამოთიშვას. უფროსი ასაკის მუშაკები კი ალკურვილი არიან მაღალი პროფესიული ცოდნით, გამოცდილებით, შრომითი ჩვევებით, ოსტატობით და სხვა თვისებებით, რომლებიც მნიშვნელოვანია შრომითი საქმიანობის პროცესში.

პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული პროგრამის შესრულებისათვის შრომისუნარიანი და მუშაობის სურვილის მქონე პენსიონერების შრომის გამოყენებას დიდი სოციალ-ეკონომიური მნიშვნელობა აქვს და წარმოადგენს ქვეყნის შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას. სკკპ ცკ და პინისტრთა საბჭოს მიერ 1973 წ. სექტემბერში მიღებული იყო დადგენილება „სახალხო მეურნეობაში მოხუცებულობით პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა და ამასთან დაკავშირებული დამატებითი შეღავათების შესახებ“. აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებს მოხუცებულობით პენსიონერთა, ინვალიდთა და საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულ პირთა უფრო ფართოდ მოზიდვას წარმოებაში.

მოხუცებით პენსიონერთა შრომის გამოყენებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქვეყნის ეკონომიკისათვის, არამედ თვით პენსიონერთა ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის, მათი ტონუსის შენარჩუნებისათვის. საზოგადოებისათვის საკუთარი შრომის სრულფასოვნების შეგნება დიდი მორალური სტიმულია აქტიური დღეგრძელობის მისაღწევად.

საპენსიო ასაკის პირთა შრომით საქმიანობაში მონაწილეობის განმსაზღვრელ (სოციალ-ეკონომიურ, საოჯახო-საყოფაცხოვრებო, ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორებს შორის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პენსიონერის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების შესატყვისი შრომის პირობების. მოცულობისა და ფორმის სწორ შერჩევას. ამდენად, მოხუცებით პენსიონერთა ჯანმრთელობის მდგომარეობის და შრომისუნარიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმის მეცნიერულ დასაბუთებას დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ამ საკითხების გადასაწყვეტად შედგენილია „საპენსიო ასაკის პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და შრომისუნარიანობის განმსაზღვრელი ანკეტა“. ანკეტა გათვალისწინებულია საპენსიო ასაკის პირთა კომპლექსური (სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ნევროლოგიური, თერაპიული და ა. შ.) შესწავლისათვის რის სა-

ფუჯვალზეც შემუშავებული იქნება. მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, მოხუცებულობით პენსიონერისათვის შესაძლებელი საქმიანობის მოცულობის და სფეროს დასადგენად.

ლ. თოვლორაშვილი

ჰრალუცისტიტის მიმდინარეობის თავისებურებები ასაკობრივ ასპექტში

(ზილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის
ქოსპიტალური თერაპიის კათედრა)

უკანასკნელ წლებში რიგ ქვეყანაში და მათ შორის საბჭოთა კავშირშიც აღინიშნა, სანადვლე გზების და ნაღვლის ბუშტის დაავადებების გაზშირება. ეს გარემოება განპირობებულია სიცოცხლის გახანგრძლივებით, რამდენადაც ქოლეცისტოზით უკმაყოფილო ავადდებიან საშუალო ასაკის პირები და მოხუცები შესწავლილია ანიერკავკასიის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს III თერაპიული განყოფილების 10 წლის მასალა (1964—1973), 408 ავადმყოფი ნაღვლის ბუშტის დაავადებით, ანუ 25,9%-ი 1536 კუქ-ნაწლავთა სისტემის დაავადებულთაგან.

ასაკის მიხედვით 20—29 წლისა 68 ავადმყოფი (16,6%), 30—39 წლისა—89 ავადმყოფი (22%), 40—49 წლის 108 ავადმყოფი (26,5%), 50—59 წლის 86 ავადმყოფი (21%), 60—69 წლის 40 ავადმყოფი (9,8%), 70 წლის და მეტი — 17 ავადმყოფი 4,1%). ქალები შეადგენენ 66%.

ძირითად ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფა ხდებოდა გერონტოლოგიის საერთაშორისო სიმპოზიუმზე მიღებული ნომენკლატურის მიხედვით: (კიევი, 1963 წ.) საშუალო ასაკი (45—59 წელი), ხანშიშესული (60—74 წელი) და მოხუცებულთა ასაკი (74 წელი და მეტი).

დაავადების ხანგრძლივობის მიხედვით ერთ წლამდე—48 ავადმყოფი (36,3%), 2-დან 3 წლამდე 75 ავადმყოფი (18,4%), 4-დან 5 წლამდე 50 ავადმყოფი. (12,2%), 6—10 წლამდე—73 ავადმყოფი (17,9%), 10 წელზე მეტი—62 ავადმყოფი (15,2%).

ზოგიერთ ავადმყოფებს, ძირითადად ხანდაზმულ პირებს არ ჰქონდათ მკაფიოდ გამოხატული დაავადების კლინიკური სურათი.

შემთხვევათა 18,7%-ში აღინიშნებოდა უარღვევება საჭმლის მომწელებელი სისტემის მხრივ: ყაბზობა (15,4%), რაც ძირითა-

დაჯ ჰქონდა საშუალო ასაკის და ხანდაზმულ ავადმყოფებს. ახალგაზრდობაში უფრო ხშირი იყო ფადარათი.

შემთხვევათა 30,6%-ში ღვიძლი იყო გადიდებული. მათგან 17,3% მოადის საშუალო ასაკის, ხოლო 3,2% მოხუცებულ ავადმყოფებზე. 18,4% ჰქონდათ ლეიკოციტოზი.

ტემპერატურული რეაქცია სუბფებრილიტეტის სახით აღინიშნა შემთხვევათა 30,1%-ში; ტემპერატურული რეაქცია მოხუცებულთა ასაკში, ორგანიზმის რეაქტიულობის დაქვეითების გამო ზოგჯერ არ აღინიშნებოდა საშუალო ასაკის და მოხუცებულ ავადმყოფთა 21%-ს. ქოლეცისტიტი განუვითარდა თანმხლებ დაავადებათა ფონზე: ათეროსკლეროზი, ჰიპერტონული დაავადება, შაქრიანი დიაბეტი. შემთხვევათა 6,8%-ში პროცესში ჩართული იყო პანკრეასიც. ღვიძლის ფუნქციის მოშლა და თანმხლები დაავადებები ამძიმებდნენ ძირითადი დაავადების კლინიკურ სურათს.

ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ქრონიკული ქოლეცისტიტი უპირატესად გვხვდება 30—49 წლის ასაკში. ახალგაზრდა ქალები უფრო ხშირად ავადდებიან, ვიდრე იმავე ასაკის კაცები. საშუალო ასაკის და მოხუცებულთა შორის უფრო ხშირად გვხვდება კალკულოზური ქოლეცისტიტი და იგი უფრო მძიმედ მიმდინარეობს თანმხლებ დაავადებათა არსებობის გამო.

მ. თოიძე

ღლებრძელთა ღამის ძილის პოლიგრაფიული სურათი

(საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი, ქ. თბილისი)

წინასწარი ადაპტაციის შემდეგ, ორი თანმიმდევრული ღამის ვანმავლობაში რეგისტრირდებოდა 15 პრაქტიკულად ჯანმრთელა 20—110 წლის ღლებრძელი მამაკაცის პოლიგრაფია (მმბ, მმგ, მძბ).

მღვიძარეს მმბ-ზე ყომინირებდა შენელებული ალფა-რიტმი (7.5—8.5 ჰც), ნორმალური არეთაშორისი დიფერენციაციით და არასაკმარისი მოდულაციით. ზოგიერთს აღენიშნებოდა ჰემისფეროთაშორისი ასიმეტრია, ნელტალლოვანი დიზარტმიათ და ერთეული მახვილი ტალღებით.

ძილის აბსოლუტური ხანგრძლივობა. გამოღვიძებების გამოკლებით, მერყეობდა 235—დან 360 წუთამდე ($M=303,8$). ჩაძინება სწრაფი. ამ დროს მმბ-ზე აღინიშნებოდა სტადია A, შემდგომი

გადასვლებით B_1 და B_2 სტადიებში, მაგრამ ძილის გარღვევა ხშირად წყდებოდა მემ-ს აქტივაციით, სუბკლინიკური გამოღვიძების, აქტივაციის სპონტანური პერიოდების (ასპ) და ხველების გამო. ეს იწვევდა საწყისი სტადიების განაგრძლივებას ($A=5,28\%$, $B_1=4,60\%$, $B_2=5,99\%$).

სტადია C-ში ($M=11,81\%$) აღინიშნებოდა K- კომპლექსების და ძილის თითისტარების რაოდენობის მკვეთრი შემცირება. თითისტარების მაქსიმალური ხანგრძლივობა იყო 21 წმ, ხოლო მინიმალური—13. 5 გამოსაკვლევ პირს აღინიშნებოდა მხოლოდ მათი რაოდენობის შემცირება, დანარჩენებს, გარდა ამისა, მათი ცუდი ორგანიზებულიობა, ამპლიტუდის და სიხშირის დაქვეითება, ხანგრძლივობის შემცირება (0,5 წმ).

მემ-ს სტრუქტურაში დომინირებდა სტადია D ($M=43,37\%$). საწინააღმდეგოდ ამისა, სტადია E რედუქციურებული იყო 7.87%-მდე. ერთ შემთხვევაში ის არ რეგისტრირდებოდა. ამ სტადიებში აღინიშნებოდა ხანგრძლივი დელტა- აქტივობის პროდუქციის უნარის დაქვეითება. თუმცა რხევების ამპლიტუდა აღწევდა 200--250 მკვ-ს.

ძილის დაწყებიდან 126 წუთის შემდეგ იწყებოდა პარადოქსული სტადია (პს), მისთვის დამახასიათებელი ელექტროგრაფიული სურათით. აღინიშნებოდა ორი ასეთი სტადია. მეორე პს ხანგრძლივობა ყოველთვის სჭარბობდა პირველისას. პს არასოდეს არ წყდებოდა გამოღვიძებებით, გარდა ფინალური გამოღვიძებებისა. პს შეადგენდა ძილის აბსოლუტური დროის 21.05%-ს.

გამოკვლევული პირები იღვიძებდნენ მხოლოდ B, C და D სტადიებში ($M=4,26$). გამოღვიძებების ხანგრძლივობა მერყეობდა 2-დან 50 წუთამდე ($M=26,6$). გამოვყოფთ სპონტარულ და ნიქტურიასთან დაკავშირებულ გამოღვიძებებს. ნიქტურიასთან დაკავშირებული გამოღვიძება სპონტანურზე ხანმოკლეა და უფრო ხშირია ღამის მეორე ნახევარში, მაშინ როდესაც სპონტანური გამოღვიძება უფრო ხშირია ძილის პირველ ნახევარში.

ასპ წარმოადგენენ უეცრად აღმოცენებულ ნელ, მაღალამპლიტუდიან ტალღებს, შემდგომი ალფასმაგვარი აქტივობის ეკზალტაციით და კუნთთა ტონუსის ხანმოკლე მომატებით. ასპ გვხვდებოდა ძილის ყველა სტადიაში. მათი რაოდენობა მეტი იყო B, C და D სტადიებში.

დღეგრძელთა ძილის პოლიგრაფიული შესწავლით გამოვლენილ იქნა ღამის ძილის სტრუქტურის რაოდენობრივი და ხარისხობრივი

ცვლილებები, რაც ალბათ სხვა ასპექტებთან ერთად უნდა წარმოადგენდეს დღეგრძელთა თავისებურებას.

დ. კაკიაშვილი

აზნაუთის მკვიდრ ხანშიშესულთა, მოხუცებულთა და დღეგრძელთა სისხლის პერიფერიული წინააღმდეგობის გამოკვლევა

(ქ. სოხუმის ვ. ა. შერვაშიძის სახელობის მეორე საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილება)

პერიფერიული წინააღმდეგობის (პწ) სიდიდე წარმოადგენს სისხლძარღვთა გამტარიანობის საზომს და განსაზღვრავს, უპირატესად, სისხლძარღვული კომპონენტის როლს სისხლის მიმოქცევის პროცესში.

რამდენადაც პერიფერიული წინააღმდეგობის (პწ) დონის განსაზღვრის პირდაპირი მეთოდი არ გავაჩნია, ამ სიდიდეზე წარმოდგენას ვღებულობთ გაანგარიშების გზით ნ. პუაზელის ფორმულის მიხედვით.

$$პწ. = \frac{\text{სღწნ. XI 333 X 60}}{\text{სისხლ. წუთ. მოცულ.}}$$

სადაც: პწ — პერიფერიული წინააღმდეგობა
დინი სმ⁻⁵, წაში-1;

სღწნ. — საშუალო დინამიური წნევა.

ს. წ. მოცულ. — სისხლის წუთობრივი მოცულ. მლ/წუთ.;

1333 — კოეფიციენტი გადასაყვანად მმ-ში სინდიყის სკალ. დინებში

60 — წამების რიცხვი წუთში

ჩვენს გამოკვლევაში პერიფერიული წინააღმდეგობის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ ზემოთ ხსენებული ფორმულა.

პერიფერიული წინააღმდეგობა მოსვენებულ მდგომარეობაში გამოითვლებოდა საველდებულო პროცენტების მიხედვით (ს. პ. წ.), რომელიც განისაზღვრება ნ. სავიცკის მიერ შემოთავაზებული ფორმულით (1956):

$$სპწ (დინი) სმ^2 (წაში) = \frac{\text{საველდებულო საშ. წნევა მმ. სინდიყის სკალ.}}{\text{საველდებულო წუთობრივი სისხლის მოცულ.}}$$

ჩვენ მიერ სულ გამოკვლეული იყო 175 კაცი: 126 მამაკაცი და 49 ქალი. საკონტროლო ჯგუფს შეადგენდა 60 კაცი, რომელთაგან 20 ფილტვების დაავადებით (ემფიზემითა და პნევმოსკლეროზის პათოლოგია).

ასაკობრივი ჯგუფები შემდეგნაირად დაყვავით:

საშუალო ასაკი (საკონტროლო ჯგუფი) 45—59 წლ. — 40 კ.

ხანშიშესულთა ასაკი 60—74 წლ. — 15 კ.

მოხუცებულთა 75—89 წლ. 2—85 კ.

დღეგრძელთა „ 90 წლისანი და მეტი — 15 კ.

ფილტვ. დაავად. ჯგუფი 45—59 წლ. — 20 კ.

ჩვენს გამოკვლევებში პერიფერიული წინააღმდეგობა დასკვნებულ მდგომარეობაში ხანდაზმულობისდა მიხედვით შესამჩნევად დიდდება.

პერიფერიული წინააღმდეგობის სიდიდეთა განსხვავება ხანშიშესულთა (60—74 წლ.) აღ მოხუცთა (75—89 წლ.) ჯგუფებს შორის არ შეიძლება მივიჩნიოთ სტატისტიკურად სარწმუნოდ, მაგრამ შეიმჩნევა მკვეთრი ტენდენცია პერიფერიული წინააღმდეგობის ზრდისა, რაც შემდგომ (დღეგრძელთა ჯგუფში — 90 და მეტ წლოვანთა შორის) გადაიქცევა ხოლმე სტატისტიკის თვალსაზრისით ყურადსაღებ განსხვავებად, როგორც ხანშიშესულთა ჯგუფის (2,6), ასევე მოხუცთა ჯგუფის (2,3) მიმართ.

პერიფერიული წინააღმდეგობის ანალოგიური ცვალებადობა, ასაკისდამიხედვით, შეიმჩნევა ქალთა შორისაც.

პერიფერიული სავალდებულო წინააღმდეგობის სიდიდე საკონტროლო ჯგუფში არ ასცილებია +17,5 პროცენტის ფარგლებს; ხანშიშესულებსა და მოხუცებში აგრეთვე დღეგრძელებში ეს სიდიდე მნიშვნელოვან ციფრს — +58,2 პროცენტს აღწევს.

მიღებული მონაცემების ლიტერატურულ მასალებთან შედარების შედეგად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს გამოკვლევებში პერიფერიული წინააღმდეგობის ციფრები ხანშიშესულთა და მოხუცებულთა მიმართ, მნიშვნელოვნად აღემატება სხვა მკვლევართა მონაცემებს.

ხანშიშესულთა (60—74 წლ.) ფიზიკურმა დატვირთვამ გამოიწვია პერიფერიული წინააღმდეგობის სტატისტიკურად არასარწმუნო დაქვეითება.

ფილტვის ტუბერკულოზის თავისებურება ხანშიშესულ და მოხუცთა ასაკში

(ექიმთა დახელოვნების თბილისის სახ. ინსტიტუტის ტუბერკულოზის კათედრა)

ხანშიშესულ და მოხუცთა ასაკში ტუბერკულოზის ადრეულ გამოვლინებას, დიაგნოსტიკას და მკურნალობას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დაკვირვება ჩატარებულია 640 ავადმყოფზე, მამაკაცი 423, ქალი — 212. ასაკის მიხედვით 60—74 წლისა 566 ავადმყოფი, 74—89 წლისა — 74 და 90 წელზე მეტი ხნის — 2 ავადმყოფი.

სადღეისოდ აღინიშნება ახლად გამოვლინებულ და ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერში აღრიცხვაზე მყოფ ავადმყოფთა შორის ხანშიშესულ და მოხუცთა რაოდენობის მომატება, ტუბერკულოზით გარდაცვლილთა შორის აგრეთვე სჭარბობს ხანშიშესულები და მოხუცები (ე. ი. პუზიკი თანავტ., 1973 წ. და სხვ.).

ხანდაზმულთა ფილტვის ტუბერკულოზით დაავადების რაოდენობის მომატება აიხსნება უკეთესი დიაგნოსტიკით, მოსახლეობის ტუბერკულოზზე მასიური შემოწმებით და მოსახლეობის (მათ შორის ტუბერკულოზით დაავადებულთა) სიცოცხლის გახანგრძლივებით. ხშირია ტუბერკულოზის ჰიპერქრონიკული მიმდინარეობა 10—20 წელი და მეტი გახშირდა აგრეთვე ე. წ. „ძველი“ ტუბერკულოზის შემთხვევები, დაავადება უფრო ხშირია მამაკაცებში.

აღინიშნება ფილტვის ტუბერკულოზის კლინიკური სურათის შეცვლა, გახშირდა დაავადების უსიმპტომო ანდა მცირედ გამოხატული სიმპტომებით მიმდინარეობა. კლინიკურ სურათში ხშირად სჭარბობს თანდართული დაავადების სიმპტომები. იშვიათია მწვავედ მიმდინარე ფილტვის ტუბერკულოზის დისემინირებული ფორმები, კაზეოზური პნევმონია. ადგილი აქვს ფილტვის ტუბერკულოზის კეროვანი, განსაკუთრებით ფიბროზულ-კეროვანი, ფორმების ხვედრითი წონის მომატებას. იშვიათია ფილტვის ტუბერკულოზის გამოვლინება, ხოლო ფიბროზულ-კავერნოზული ფორმით დაავადებულთა რიცხვი კი იგივე დონეზეა. გახშირდა ქრონიკულად მიმდინარე პირველადი ტუბერკულოზის (ჩაკირული პარონქალური ინფილტრაციის ფაზაში) გამოვლინება. გაცილებით ნაკლებად გვხვდება ხორხის და ნაწლავის ტუბერკულოზი.

ასაკის მომატებასთან ერთად იზრდება თანდართული დაავადებათა რაოდენობა. ამასთან დაკავშირებით გარკვეული მნიშვნელობა აქვს ფილტვის ტუბერკულოზის ფორმას და დაავადების ხანგრძლივობას. განსაკუთრებით ხშირია თანდართული დაავადებანი ჰიპერტრონიკული ტუბერკულოზის დროს.

სხვადასხვა ხასიათის თანდართული დაავადება ჰქონდა 399 ავადმყოფს (62,3%).

ხანშიშესულ და მოხუცთა შორის ფილტვის ტუბერკულოზის ანტიბაქტერიული თერაპია შედარებით ნაკლებად ეფექტურია, გვერდითი მოვლენები კი შემთხვევათა 50—55% აღინიშნა (ბ. პ. იაშენკო, 1973, 1974 და სხვ.).

კლინიკური განკურნების შემდეგ ხანშიშესულებსა და მოხუცებს ხშირად აღენიშნება ფილტვებში მნიშვნელოვანი ნარჩენი მოვლენები, პროგრესიული დისტროფიული ცვლილებები (პნემოსკლეროზი, ფილტვების ემიზემა და სხვ.), ხშირია კისტისმაგვარი აბაცილარული კავერნა.

ტუბერკულოზის თავისებური მიმდინარეობა ხანშიშესულ და მოხუცთა შორის მოითხოვს კლინიკური სიმპტომების უფრო ზუსტ ანალიზს, მკურნალობის გარკვეულ ტაქტიკას და ექიმ-ფთიზიატრთა ყურადღების გამახვილებას ამ მიმართულებით.

ზ. კახიანი, რ. მისნიშვილი

პერიფერიული არტერიების დამხშობ დაავადებათა ასაკობრივი თავისებურებაანი

(ექიმთა დახელოვნების თბილისის სახ. ინსტიტუტის გადაუღებელი ქირურგიის
კათედრა)

ხანდაზმულთა და მოხუცთა ორგანიზმში არსებული ასაკობრივი ცვლილებების, ამ ასაკში სიმპტომატიკისა და დაავადების მიმდინარეობის თავისებურებათა არასაკმარისი ცოდნა ავადმყოფთა მკურნალობაში დაშვებულ შეცდომათა ხშირი მიზეზია.

საჭიროა კრიტიკულად შეფასდეს დღეისათვის ფართოდ გავრცელებული წარმოდგენა სიბერის, როგორც სუფთა ინვოლუციის, „ორგანიზმის უკუგანვითარების“ შესახებ. მართლაც, სიბერეში

ჩნდება ისეთი რეაქციები, როგორც ადრეულ ასაკში გვხვდება. მაგრამ ორგანიზმში განვითარებული ერთი და იგივე სახის ცვლილებების მექანიზმი ასაკის მიხედვით შესაძლოა სხვადასხვა იყოს.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კიდურების არტერიების დამხშობ დაავადებათა შესწავლა. მისი ეტიოლოგიის, პათოგენეზის, გამოცნობის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხები ექიმთა ყურადღების ცენტრშია.

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ჩვენ მიერ კლინიკაში გატარებულია აღნიშნული სახის დაავადებით 255 ავადმყოფი; აქედან, დამხშობი ენდარტერიიტით — 52, ათეროსკლეროზით — 203 ავადმყოფი.

დამხშობი ენდარტერიტი და დამხშობი ათეროსკლეროზი, როგორც წესი, სხვადასხვა ეტიოლოგიისა, თუმცა მათ აერთიანებენ ერთ ჯგუფში. ამის მიზეზია მათთვის დამახასიათებელი სეგმენტური დაზიანება, ანგიოსპაზმი და მაგისტრალური არტერიის დახშობა. ნერვებისა და სხვა ქსოვილების დისტროფია ნეკროზი და განგრენა.

დამხშობი ენდარტერიტით უპირატესად ავადდებიან ახალგაზრდები. დაავადება დაკავშირებულია ვეგეტატურ ნერვულ და ენდოკრინულ სისტემათა დისფუნქციასთან; პროცესი დასაწყისში აზიანებს მცირე ყალიბის პერიფერიულ არტერიებს, ხოლო მოგვიანებით ვრცელდება გულის, თავის ტვინის, თირკმლებისა და სხვა ორგანოების სისხლძარღვებზე.

დამხშობი ათეროსკლეროზი უფრო ხშირად საშუალო და მოხუცებულთა ასაკში გვხვდება, იგი ეტიოლოგიურად დაკავშირებულია მეტაბოლიზმის მოშლასა და სისხლძარღვებში ასაკობრივ ცვლილებებთან. ამ შემთხვევაში დაზიანება იწყება მაგისტრალურ, ხოლო მოგვიანებით — პერიფერიულ არტერიებში.

დაზიანებულ კიდურში სისხლის მიმოქცევის მოშლა ორგანიზმში იწვევს კომპენსატორულ-ადაპტაციურ ცვლილებებს, რაც უფრო ინტენსიურადაა გამოხატული დამხშობი ენდარტერიიტის, ვიდრე ათეროსკლეროზის დროს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია სისხლძარღვებში არსებულ ასაკობრივ ცვლილებებთან, გაარეგანი და შინაგანი ფაქტორების მიმართ ორგანიზმის შეგუების უნარის დაქვეითებასთან.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული პათოლოგიის მკურნალობის მეთოდის შერჩევისას ვხელმძღვანელობდით ეტიოლოგიური

პათოგენეტიკური და სიმპტომატიკური ფაქტორების ავადმყოფის ორგანიზმზე კომპლექსური ზემოქმედებით.

ჩვენი კლინიკური დაკვირვების ანალიზი და ლიტერატურული მონაცემები გვარწმუნებს, რომ სისხლძარღვთა სისტემაში არსებული ფიზიოლოგიური ასაკობრივი ცვლილებები, რაც დამახასიათებელია ხანშიშესულ და მოხუცთა ასაკის ადამიანებისათვის, ქმნის ხელსაყრელ პირობებს დაავადების განვითარებისათვის. ამიტომ, კიდურების არტერიების დამზღობი ათეროსკლეროზის მკურნალობის დროს საჭიროა ორგანიზმის შეგუებითი — ადაპტაციური თვისებების გაძლიერება.

მ. კომახიძე, თ. ახმეტელი, ნ. ლოლიძე

მუცლის ღრუს ორგანოების მწვავე ქირურგიული დაავადების კლინიკის და მკურნალობის თავისებურებანი ხანშიშესულ და მოხუცთა ასაკში

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტი, ქოსპიტალური ქირურგიის კათედრა)

ნაშრომი ემყარება მუცლის ღრუს ორგანოთა მწვავე ქირურგიულ დაავადების გამო ნაობერაციევ 17438 ავადმყოფის შესწავლას. მათ შორის 836 ავადმყოფი იყო საშუალო ასაკის. 625 ხანშიშესული, 315 მოხუცი.

ხანშიშესულთა და მოხუცთა მუცლის ღრუს სხვადასხვა ორგანოს მწვავე ქირურგიულ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა რიგი სპეციფიკურობით ხასიათდება; ამ კატეგორიის ავადმყოფებში აღინიშნება დაავადების ატიპიური მიმდინარეობა და კლინიკური ნიშნების არამკაფიო გამოხატულება, რაც იმიტომ არის გამოწვეული, რომ ასაკთან ერთად ორგანიზმში მომხდარი ცვლილებები აქვეითებს კომპენსაციის უნარს.

მუცლის ღრუს ორგანოების მწვავე ქირურგიული დაავადებანი ხანშიშესულ და მოხუცთა შორის არც თუ ისე იშვიათად ვითარდება გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ფილტვების, შარდსასქესო ორგანოების მოშლილობის ფონზე. ამ ავადმყოფებს ხშირად აქვთ ქრონიკულად მიმდინარე სხვა დაავადებანი: (ათეროსკლეროზი, მიოკარდიოდისტროფია, ჰიპერტონიული სნეულება, ქრონიკული ბრონქიტი, ფილტვის ემფიზემა, შაქრიანი დიაბეტი და სხვა).

ხანშიშესულთა და მოხუცთა მუცლის ღრუს ორგანოების მწვავე ქირურგიული დაავადების სიმპტომები ნაკლები ინტენსივობით

არის გამოხატული, ხშირად ადგილი აქვს ნაწლავების პარეზს, დაავადების კლინიკური გამოხატულების და პათომორფოლოგიური სურათის შეუსაბამობას, სკარბობს დესტრუქციული ფორმები. ამ ასაკის პირთა შორის სისხლძარღვთა თრომბოზი არა მარტო თანამგზავრი გართულებაა, არამედ ხშირად დაავადების მიზეზია.

დაავადების გამოცნობის სიძნელე იწყება ანამნეზის შეკრების მომენტიდან, დაქვეითებული მეხსიერების, სუბიექტური ჩივილების სიჭარბის, სმენის დაქვეითების გამო. ხანშიშესულთა და მოხუცთა შორის ზოგჯერ ძნელია ისეთი დავადებების დიფერენცირება, როგორცაა კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის პერფორაცია, მწვავე აპენდიციტი, მწვავე პანკრეატიტი, ნაწლავთა გაუვალობა, ღვიძლის ჩირქგროვა და სხვა. ყველა ზემოთ აღნიშნული დაავადება საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციულ ჩარევას, მიუხედავად ოპერაციამდე არსებული დიაგნოზისა.

ავადმყოფის ასაკი თავისთავად არ წარმოადგენს ოპერაციის წინააღმდეგ ჩვენებას, მაგრამ მისი გამოსავალი ბევრად არის დამოკიდებული ავადმყოფის ოპერაციისათვის მომზადების სწორად ჩატარებაზე და ოპერაციის შემდგომ გართულებათა დროულ და მიზანდასახულ პროფილაქტიკაზე. მუცლის ღრუს ორგანოების მწვავე ქირურგიული დაავადებების დროს ხანშიშესულ და მოხუცთა ასაკში ოპერაციის წინა ხანმოკლე მომზადება მიმართული უნდა იყოს გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაუმჯობესების, ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზაციის და ორგანიზმის კომპენსატორული ძალების გაძლიერებისაკენ. გულის მძიმე ორგანული დაზიანების, ჰიპერტონული დაავადებისა და სხვა თანამხლები დაავადებების დროს ოპერაციული ჩარევის რისკი მკვეთრად მატულობს.

ოპერაციისათვის მომზადების ღონისძიებანი, გაუტყვიარების ხასიათი და თვით ოპერაციის ნოცულობა ამ კონტიგენტის ავადმყოფებში თხოულობს მკაცრ ინდივიდუალიზაციას. ამ ასაკის ავადმყოფებში უპირატესობა უნდა მიეცეს პალიატიურ ოპერაციას რადიკალურ ჩარევასთან შედარებით.

ხანოზივესულთა და მოხუცთა კიდურების ძვლების პათოლოგია შაქრიანი დიაბეტის დროს

(თბილისის სახ. სპედიცინო ინსტიტუტ-ს პედიატრიული, სან/ჰიგიენური და
სტომატოლოგიური ფაკულტეტების საფაკულტეტო ქირურგიის კათედრა)

შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა ძვლებში განვითარებული ლისტროფიული ცვლილებების ეტიოპათოგენეზი საბოლოოდ დადგენილი არაა. მას უკავშირებენ ნახშირწყლების ცვლის მოშლას, სისხლძარღვების დიაბეტურ დაზიანებას — ანთებას ან ინფექციას წერვული სისტემის დაზიანებას, „B ვიტამინის“ უკმარისობას.

ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიულ კლინიკებში 1968—72 წლებში სხვადასხვა ორგანოების ქირურგიული დაავადებებით გატარებულ 232 შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა შორის 23-ს აღენიშნებოდა ქვემო კიდურების ძვლებში დესტრუქციული ცვლილებები გართულებული ინფექციით (ქალი — 10, მამაკაცი 13). საშუალო ასაკისა იყო — 7, ავადმყოფი, ხანშიშესული — 16. მეორე ხარისხის შაქრიანი დიაბეტი აღენიშნებოდა 6-ს, მესამე ხარისხის — 17 ავადმყოფს. 1 წლამდე ხანგრძლიობის დიაბეტი ჰქონდა 4 ავადმყოფს, 2—4 წლამდე 3-ს, 5—9 წლამდე 4-ს, 10 წელი და მეტი ხანგრძლიობის — 12 ავადმყოფს. ტერფისა და თითების ძვლების დესტრუქცია აღენიშნებოდა 22 ავადმყოფს, ბარძაყის ძვლის — 1-ს, დესტრუქცია და ოსტეოპოროზი ერთდროულად — 13 ავადმყოფს. ყველა განხილულ ავადმყოფს ძვლებში დესტრუქცია გართულებული ჰქონდა ჩირქოვან-ანთებითი პროცესით. უფრო ხშირად ამოითესა პემოლიზური სტაფილოკოკი, რომელიც სუსტად მგრძნობიარეა ნეომიცინისა და მონომიცინისადმი. ჩირქოვან-ანთებადი პროცესის განვითარებას, გარდა ორი შემთხვევისა, წინ უძღოდა სხვადასხვა ხასიათის საყოფაცხოვრებო ტრავმა. ჩირქოვანი პროცესის ხანგრძლიობა მერყეობდა ერთი კვირიდან — ერთ წლამდე, და ზოგჯერ მეტიც. ყველა ავადმყოფს სხვადასხვა ხარისხით ჰქონდა გამოხატული შაქრის ცვლის დარღვევა. კონსერვატიული მკურნალობით განიკურნა 6 ავადმყოფი, ოპერაცია გაუკეთდა 17 ავადმყოფს (თითების ამპუტაცია — 9, ბარძაყის ამპუტაცია — 3. ჩირქოვანი გახსნა და ძვლების რეზექცია — 5 ავადმყოფი. სეფსისით გარდაიცვალა 3 ავადმყოფი).

რენტგენოლოგიურად დადგინდა, რომ ამპუტაციის შედეგად

დესტრუქციული ცვლილებები კვლავ ვითარდება დაჩენილ ძვლებში და შეხორცება ხანგრძლივად მიმდინარეობს.

საკუთარი მასალისა და ლიტერატურის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ: შაქრიანი დიაბეტის ერთ-ერთ მძიმე გართულებას წარმოადგენს ძვლების დესტრუქციული ცვლილებები, რომელიც უპირატესად ვითარდება საშუალო და ხანშიშესულ ასაკში ხანგრძლივად მიმდინარე და დეკომპენსირებული დიაბეტის დროს. ძვლებში დესტრუქციული ცვლილებების განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ტრავმა.

შაქრის ცვლის ინსულინით კორექციასთან ერთად საჭიროა ინფექციის წინააღმდეგ სათანადო ანტიბიოტიკების გამოყენება სწვადასხვა კომბინაციაში და ორგანიზმის იმუნობიოლოგიური ძალების გააქტივება.

ა. შაპარაძე, ვ. წოწორია

ფიზიოფრენიით დაავადებულთა მკურნალობის თავისებურება ხანშიშესულ ასაკში

(საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ინსტიტუტი. ქ. თბილისი)

შესწავლილია 50 წლის ასაკს გადაცილებული შიზოფრენიით დაავადებულთა 50 კლინიკური შემთხვევა.

დაკვირვებებით მტკიცდება, რომ შიზოფრენიით დაავადებულთა ხანშიშესულ ასაკში ნეიროლეპსიური საშუალებებით მკურნალობისას არაიშვიათად უვითარდებათ ანოისტატიური სინდრომი. ექვს არ იწვევს, რომ ანას ხელს უწყობს ხანშიშესულ ავადმყოფთა მიღრეკილება ჰიპერ და დისკინეზური სინდრომისა და გახანგრძლივებული ნევროლოგიური აშლილობისადმი.

საჭიროა სათანადო კორექტორებთან ერთად ნეიროლეპტიკებით მკურნალობის დაწყება მცირე დოზებით და შემდეგში თანდათანობით დოზების მომატება, რაც განაპირობებს ორგანიზმის ადაპტირებას მისაღები პრეპარატის მიმართ. გახანგრძლივებული მკურნალობისას აუცილებელია ნეიროლეპტიკებიდან, ავადმყოფთა გადაყვანა პერიოდულად ტრანკვილიზატორებზე.

ხანშიშესულ ასაკში დეპრესიულ პარანოიდული ფორმის შიზოფრენიის შემთხვევაში, სადაც კლინიკურ სურათში უფრო ხში-

რად ჩანს განგაში ,მოუხვეწრობა და შიშები, მკურნალობის დროს მიზანშეწონილია ანტიდეპრესანტების და მცირე ტრანკვილიზატორების კომბინირება.

უპირატესობა აღნიშნულ შემთხვევაში მიეკუთვნება სედატიური მოქმედების ანტიდეპრესანტებს, როგორცაა ამიტრიპტილინი-ტრიპტიზოლი, ტაზეპამი და სხვა.

ამასთან ერთად აუცილებელია ხანშიშესულ ასაკის ავადმყოფებში თანმხლებ პათოლოგიათა და განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა მკურნალობა და ორგანიზმის საერთო გაჟამაგრებელი საშუალებები.

ი. მაღაუხია, მ. ბაღაძე, ნ. ჰანტუჩია

ორგანიზმის იმუნოლოგიური თავისებურებანი თავის ტვინის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის დროს ასაკობრივ ასპექტში

(თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ნერვულ სნეულებათა კათედრა)

უკანასკნელ წლებში წამოყენებული იყო მოსაზრება რომ ასაკის მომატებასთან ერთად იზრდება ქსოვილთა შეუთავსებლობა, ქვეითდება ორგანიზმის რეაქტიულობა, რაც წარმოადგენს დაბერების ერთერთ მიზეზს (უოლფორდი, 1962, ბლუმენტალი და ბერნსი, 1964, რ. პეტროვი, 1972 და სხვ.).

შრომის მიზანს წარმოადგენს თავის ტვინის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის დროს ტვინის ქსოვილის მიმართ ორგანიზმის იმუნოლოგიური რეაქტიულობის განსაზღვრა ასაკობრივ ასპექტში.

შესწავლილია სხვადასხვა ასაკის და ჯგუფის 110 ავადმყოფი. იმუნოლოგიური გამოკვლევების შედეგებიდან გამოყენებულია კომპლემენტის შებოჭვის სეროლოგიური რეაქცია როგორც სისხლის შრატში, ისე თავზურგტვინის სითხეში და ნეიტროფილების აღერგიული აღტერაცია ტვინის ანტიგენის შემოქმედებაზე.

ორგანიზმის არასპეციფიური რეაქტივობა შეისწავლებოდა კომპლემენტის აქტივობის ცვალებადობის გამოკვლევით როგორც სისხლის შრატში, ისე თავზურგტვინის სითხეში.

ტვინის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის ხასიათის მიხედვით შედგენილია ორი ჯგუფი: 1. 48 ავადმყოფი ათეროსკლეროზული ენცეფალოპათიით. ასაკის მიხედვით პირველი ჯგუფის ავადმყოფე-

ბი განაწილდა შემდეგნაირად: 44 წლამდე — 3 ავადმყოფი; 45—დან 59—18; 60—დან 74—27 ავადმყოფი. 11. 62 ავადმყოფი მწვავე იმემიური ინსულტი, რომელიც განვითარდა თავის ტვინისა და გვირგვინოვანი არტერიების ათეროსკლეროზის ფონზე. ასაკი 11 ჯგუფის: 45—59 წლისა—24; 60—74 წლისა—31; 75—89 წლისა—7 ავადმყოფი. ამასთან ერთად შესწავლილი იყო 25 პრაქტიკულად ჯანმრთელი პირი; 60 წლამდე ასაკისა—15, 60—75 წლისა—10.

მიღებული მონაცემები მოწმობენ, რომ ათეროსკლეროზული ენცეფალოპათიის დროს ორგანიზმის იმუნოლოგიური რეაქტიულობა პირდაპირ დამოკიდებულდება ასაკთან. ასაკის მომატებასთან ერთად მატულობს ტვინის საწინააღმდეგო ანტისხეულების ტიტრი სისხლის შრატში, მაშინ როცა ნეიტროფილების ალერგიული ალტერაცია ტვინის ანტიგენის მიმართ არ ვლინდება. უნდა ვიფიქროთ, რომ თავის ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის დროს ჰიპოქსიური და ჰემოდინამიური ფაქტორების ზეგავლენით ადგილი აქვს ტვინის ქსოვილის ანტიგენური თვისებების შეცვლას, რასაც თან სდევს სათანადო აუტოანტისხეულების გამოქმნა.

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლის დროს ასაკის მიუხედავად როგორც სისხლის შრატში, ისე, განსაკუთრებით, თავზურგტვინის სითხეში ტვინის საწინააღმდეგო აუტოანტისხეულების ტიტრი მაღალია და ვითარდება ტვინის ანტიგენის მიმართ ნეიტროფილების ალერგიული ალტერაცია, ანუ ორგანიზმის სპეციფიური სენსიბილიზაციის დროს პათოლოგიურ პროცესში ჩაერთვება ლეიკოციტარული სისტემა.

საკონტროლო ჯგუფში. საშუალო ასაკის პრაქტიკულად ჯანმრთელი პირების სისხლის შრატში, ტვინის საწინააღმდეგო ანტისხეულები არ გვხვდება. ასევე ადგილი არ აქვს ნეიტროფილების ალერგიულ ალტერაციას. ხანშიშესულ ჯანმრთელ პირებში კი იმუნოლოგიური ძვრები გვხვდება უფრო იშვიათად, ვიდრე იმავე ასაკის ათეროსკლეროზული ენცეფალოპათიით დაავადებულ ავადმყოფებში.

წყლულოვანი წარმოშობის პილორო-დუოდენალური სტენოზები ხანშიშესულ და მოხუცებულთაში

(ქუთაისის ავტოქარხნის მედიკო-სანიტარული ნაწილის ქირურგიული განყოფილება)

წყლულოვანი ეტიოლოგიის პილორო-დუოდენალური სტენოზები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პოსპიტალური ქირურგიის კლინიკის მასალაზე უზშირესად გამოვლინებულია საშუალო ასაკის ავადმყოფებში კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებით. უკანასკნელ 10 წელში გატარებული იყო 1075 ავადმყოფი. 45—59 წლის ასაკის ავადმყოფებში სტენოზი დიაგნოსტირებული იყო 163 შემთხვევაში (15.1%); უფრო იშვიათად ხანშიშესულებში—49 შემთხვევაში (4, 5%) და კიდევ უფრო იშვიათად მოხუცებულებში—4 შემთხვევაში (0,3%).

კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების გართულება პილორო-დუოდენალური სტენოზით, ხანშიშესულ და მოხუცებულებში უფრო ხშირად გამოვლინდება სუბ-და დეკომპენსაციის ფაზაში, მაშინ როცა პილორო-დუოდენალური სტენოზები კომპენსაციის სტადიაში დიაგნოსტიკის სირთულის გამო უმეტეს შემთხვევაში რჩებიან ამოუცნობი და ვლინდებიან მხოლოდ კლინიკურად (კუჭის მოტორული დარღვევა სუსტადაა გამოხატული) და ოპერაციის დროს — ვიზუალურად.

ხანშიშესულ და მოხუცებულ ასაკის პირებში წყლულოვანი დაავადებით გამოწვეული სტენოზები ძირითადად ისეთივე მიმდინარეობისაა, როგორც სხვა ასაკობრივ ჯგუფებში. კუჭის ევაკუატორული ფუნქციის დარღვევის გამო ავადმყოფებს აწუხებთ სხვადასხვა ინტენსივობის ტკივილი და სიმძიმის შეგრძნება ეპიგასტრიუმის არეში, ხშირი ღებინება, გულძმარვა და ბოყინი. შესამსუბუქებლად ავადმყოფები თვითონ იწვევენ ღებინებას. დიდ უმრავლესობას აქვს ქრონიკული ყაბზობა. სუბ- და დეკომპენსირებული სტენოზიან ავადმყოფებს აღენიშნებათ წონაში მნიშვნელოვანი დაკლება. უმეტესობას აქვს დაუკმაყოფილებელი წყურვილის შეგრძნება, კანის სიმშრალე და დღე-ღამური შარდის მნიშვნელოვანი შემცირება. დაკვირვების ქვეშ მყოფ ავადმყოფთაგან ოთხს (1,8%) აღენიშნებოდა „გასტრული ტეტანია“, რასაც თან სდევდა ჰიპოქ-

ლორემია, ჰიპოკალემია, ჰიპოპროტეინემია და ჰიპერპროტეინემია (ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ავადმყოფებში „გასტრული ტეტანია“ აღენიშნებოდა ორს—0,9%).

წყულულოვანი ეტიოლოგიის პოლორო-დუოდენალური სტენოზის ნკურნალობა მხოლოდ ოპერაციულია. კონსერვატიული მკურნალობა არ იძლევა შედეგს, დროთა განმავლობაში სტენოზს თან ერთვის მკვეთრი ცვლილებები საქმლის მომენტებელ ორგანოებში და ნივთიერებათა ცვლის მოშლა.

ქირურგიული მკურნალობის მეთოდებიდან რადიკალურ მეთოდად კუჭის რეზექცია უნდა ჩაითვალოს. მოხუცი ასაკის პირებში, რომლებსაც მკვეთრი დაძაბუნება და მძიმე თანმხლები დაავადების ნიშნები აღენიშნებათ, გასტრო-ენტეროანასტომოზი ანარჩუნებს თავის ჩვენებებს.

6. მბლამბ

ხანდაზმულთა და მოხუცთა კურორტული მკურნალობის პერსპექტივები

(საქართველოს სსრ კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფაქულტეტი, სოხუმი)

ხანდაზმულთა მკურნალობის და რეაბილიტაციის, ასევე დაბერების პროცესის პროფილაქტიკაში კურორტული ფაქტორების ეფექტურობის საკითხი ჯერ კიდევ არასაკმარისად არის გარკვეული.

ზრომის მიზანს წარმოადგენს კლიმატო და ბალნეოფაქტორების დიფერენციული გამოყენების შესწავლა ხანდაზმულთა და მოხუცების ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონული დაავადების მკურნალობის საქმეში.

კლინიკური დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 60—87 წლის ასაკის 754 ავადმყოფი. ამთგან 420-ს ჰქონდა ჰიპერტონული დაავადება I, IIa, ბ და IIIa სტადია (ა. ლ. მისანიკოვის კლასიფიკაციით) და 334-ს კი ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი. კომპლექსური კურორტული მკურნალობის შემდეგ ავადმყოფების 95,8%-ს ძირითადი ჩივილები გაუქრათ ან შეუმცირდათ, 4,2%-ს ჩივილები დარჩათ უცვლელი.

სუბიექტური მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად 92,3%-ში აღინიშნებოდა ობიექტური მაჩვენებლების გაუმჯობეს-

სებაჲ: პულსის, სუნთქვის, არტერიული წნევის ნორმალიზაცია, სუნთქვის აქტის ეფექტურობის მატება ვენტილაციის გაუმჯობესების გამო, გულის კუნთის შეკუმშვის უნარის გაზრდა (გულის მარცხენა პარკუჭის ფაზური სტრუქტურის მაჩვენებლების მიხედვით), ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემების გაუმჯობესება, პერიფერიული სისხლის სურათის ნორმალიზაცია, ლიპიდების, ცილების, ელექტროლიტების შემცველობის გაუმჯობესება, ნუკლეინის მჟავებზე მომატება, ერითროციტების გარსის აღსორბციული უნარის ზრდა და სხვა.

ყველა ზემოჩამოთვლილი დადებითი ძეგრა მეტად იყო გამოხატული ხანდაზმულთა და მოხუცთა კლიმატო-პროცედურებით მკურნალობისას, ვიდრე ბალნეოთერაპიის გამოყენების დროს.

კომპლექსური კურორტული მკურნალობა უფრო ეფექტურია საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულ ავადმყოფებში, ვიდრე ადგილობრივ მცხოვრებთა ჯგუფში.

ჩატარებული დაკვირებები მოწმობს, რომ ხანდაზმულ პირთა მკურნალობის საქმეში კურორტული ფაქტორების გამოყენება ფრიად პრესპექტიულია.

დ. ნაპაშვიძე, ლ. ლონდაძე

მენჯ-ბარძაყის სახსარში ასაკობრივი და ართროზული ცვლილებების შედარებითი შეფასებისათვის

(საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის ინსტიტუტი, ქ. თბილისი)

მრავალრიცხოვანი გამოკვლევების მიუხედავად მენჯ-ბარძაყის სახსრის ასაკობრივი ცვლილებების დიფერენცირება მადეფორმებული ართროზის დისტროფიულ-დესტრუქციული ცვლილებებისაგან დღემდე დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

შრომის მიზანია ჰისტოქიმიური მეთოდების გამოყენებით შედარებითი შეფასება მისცეს ასაკობრივ და ართროზულ ცვლილებებს და დაადგინოს ამ ცვლილებათა განმასხვავებელი ნიშნები. შრომა ეყრდნობა 57 გვამურ (ასაკი 60—90 წელი) და მადეფორმებული ართროზით დაავადებულ 100 ავადმყოფის მენჯ-ბარძაყის სახსრის ელემენტების შესწავლას.

კვლევის ჰისტოლოგიური მეთოდების გარდა მასალა მუშავდებოდა ჰისტოქიმიური მეთოდებით მკავე და ნეიტრალური მუქ-

ოპოლისაზარადების, გლიკოგენის, მჟავე და ნეიტრალური ლიპიდების გამოსავლინებლად.

მასალამ გვიჩვენა, რომ შესწავლილ ქსოვილებში, როგორც სიბერეში, ისე მადეფორმებელი ართროზის დროს, მსგავს მიკროსტრუქტურულ ცვლილებათა ფონზე ადგილი აქვს მჟავე მუკოპოლისაქარიდების საერთო რაოდენობის შემცირებას.

სიბერეში მუკოპოლისაქარიდების ეს შემცირება ხდება მისი ტესტიკულაროდამორგუნველი ფორმების (ქონდროიტინი, ჰიალურონის მჟავა, ქონდროიტინ სულფატი A და C) მკვეთრი შემცირებისა და კერატოსულფატის მიმატების ხარჯზე.

მადეფორმებელი ართროზის დროს მუკოპოლისაქარიდების ზარისხობრივი ცვლილებები არ სდევს თან რაოდენობრივ ცვლილებებს და მუკოპოლისაქარიდების შემადგენლობა დაავადების ბოლო სტადიის ჩაუვლით რჩება ნორმის ფარგლებში.

სიბერეში ხრტილოვანი უჯრედების უმეტესობაში რეაქცია მჟავე მუკოპოლისაქარიდებზე უარყოფითია, შუამდებარე ნივთიერება კი იძლევა ინტენსიურ ჰეილ-დადებით რეაქციას და მეტაქრომაზიას. მადეფორმებელი ართროზის დროს ხრტილოვანი უჯრედები დაავადების ყველა სტადიაში იძლევა ინტენსიურ ჰეილ-დადებით რეაქციას და მეტაქრომაზიას, მაშინ როცა ძირითადი ნივთიერების დიდი ნაწილი ანილინის ჯგუფის საღებავებთან არ შედის რეაქციაში.

გლიკოგენის რაოდენობა სასახსრე ხრტილში სიბერეში მკვეთრად შემცირებულია, ხოლო შეფარდება მჟავე და ნეიტრალური ლიპიდებს შორის გადანაწილებულია ნეიტრალური ლიპიდების სასარგებლოდ.

მადეფორმებელი ართროზის დროს, როგორც გლიკოგენის, ისე ლიპიდების რაოდენობა მომატებულია, თუმცა შეფარდება მჟავე და ნეიტრალური ლიპიდებს შორის უცვლელი რჩება.

ამგვარად, მენჯ-ბარძაყის სახსრის ელემენტების დისტროფიულ-დესტრუქციული ცვლილებები სიბერეში და მადეფორმებელი ართროზის დროს შეიძლება განვასხვავოთ შემდეგი ჰისტოქიმიური მაჩვენებლებით:

1. მჟავე მუკოპოლისაქარიდების არაერთგვაროვანი შემადგენლობით სახსრის ქსოვილებში.

2. გლიკოგენისა და მჟავე და ნეიტრალური ლიპიდების ვასხვავებული რაოდენობით სასახსრე ხრტილში.

3. მუკოპოლისაქარიდების განსხვავებული ლოკალიზაციით სახსრის უჭრედულ და არაუჭრედულ სტრუქტურებში.

აღნიშნული ჰისტოქიმიური მაჩვენებლები წარმოადგენენ რა სპეციფიკურს, მენჯ-ბარძაყის სახსრის ართროზულ და ასაკობრივი ცვილებებისათვის, ამავე დროს ხსნის დისტროფიულ პროლიფერაციულ პროცესების განვითარების თავისებურებას ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის პირობებში.

დ. ნანობაშვილი, ვ. ბერიძე

სათესლე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეების კლინიკური დიაგნოსტიკა ხანდაზმულებსა და მოხუცებში

(საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის ინსტიტუტ, ქ. თბილისი)

შესწავლილია სათესლე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადების გავრცელება საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში 1946—1973 წწ. გამოვლინებულია 540 ავადმყოფი. რომელთაგან 45 წლის ასაკის და მეტის იყო 89 (16,48%), მათ შორის 45—59 წლისა—46 (8,88%), 60—74 წლისა—35 (6,48%), 75—89 წლისა—6 (1,11%) ავადმყოფი. ამ მონაცემების მიხედვით, სათესლე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეების სიხშირე ასაკის მომატებასთან ერთად კლებულობს, განსაკუთრებით სამოცდაათხუთმეტი წლის ასაკის შემდეგ, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს გერიატრიის პრაქტიკაში.

წადრევი დიაგნოსტიკისათვის, გამოყენებული იყო შემდეგი ტესტები: პალპაცია, ციტოლოგიური და ბიოქიმიური გამოკვლევა, პირდაპირი და რადიოიზოტოპური ლიმფოგრაფია, ტესტოგრაფია, მამოგრაფია, ბიოლოგიური რეაქცია, ანდროგენური და ესტროგენური ბალანსის განსაზღვრა, აბელეე-ტატარინოვის რეაქცია, ლაქტატდეჰიდროგენაზის, მისი იზოენზიმების აქტივობა და ცილოვანი სპექტრის განსაზღვრა სისხლის შრატში და სიმსივნის ქსოვილში. დაავადების კლინიკური სურათის მიხედვით, გამოყოფილია 4 სტადია. ყველა ავადმყოფს გაუკეთდა ოპერაცია. პრეპარატივის ჰისტო-მორფოლოგიურმა შესწავლამ მოგვცა შემდეგი სურათი: სემინომა 80 (89, 88%), ადენოკარცინომა—5 (5,61%), ტე-

რატობა—2 (2,24%), სარკობა — 1(11%), ფიბროსარკობა — 1 (1,11%)

მასალის ანალიზით ირკვევა, რომ სემინომით დაავადებას ახასიათებს 2 ასაკობრივი პიკი: 1—25 წლიდან 29 წლამდე და 11—35—59 წლამდე. ხანდაზმულთა და მოხუცთა შორის ზემოხსენებული პათოლოგია არ შეიმჩნევა.

სათესლე ჭირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულ 86 ავადმყოფს ჩაუტარდათ ოპერაციული ჩარევა—მაღალი ორქიექტომია და რეტროპერიტონეალური, შუასაყარის და კისრის ლიმფური კვანძების შემდგომი სხივური თერაპია, ქიმიო თერაპიასთან კომბინაციაში. 5 ავადმყოფზე, რომელთაც აღენიშნებოდათ მეტასტაზირება, ნაწარმოები იყო ორქიექტომია—რეტროპერიტონეალური ლიმფური კვანძების მოცილებით, შემდგომი რადიოქიმიოთერაპიით.

5 წლის განმავლობაში ცოცხალი იყო სემინომით დაავადებულთა 93% ნამკურნალევი I სტადიაში, ხოლო II—III სტადიაში ნამკურნალევაგან 56%.

დ. ნანობაშვილი მ. ბერიძე, დ. მახრაიშვილი

ხანშიშესულთა და მოხუცთა წინამდებარე ჯირკვლის ადენომის და კიბოს მკურნალობა

(საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის ინსტიტუტი, ქ. თბილისი)

წინამდებარე ჭირკვლის ადენომა და კიბო საკმარისად გავრცელებული დაავადებაა ხანშიშესულთა და მოხუცებულთა შორის. 1946—1973 წწ. დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 105 ავადმყოფი წინამდებარე ჭირკვლის ადენომით და 98 ავადმყოფი წინამდებარე ჭირკვლის კიბოთი 45—59 წლის—65 ავადმყოფი, 60—74 წლისა—105 ავადმყოფი, 75—89 წლისა—31 ავადმყოფი, 90 წელზე უფროსი—2 ავადმყოფი. დაავადების ხანგრძლივობა ავადმყოფთა ნახევარში შეადგენდა 1,5-დან 2 წელს.

წინამდებარე ჭირკვლის ადენომის გამო ავადმყოფები სტაციონარში მოთავსებული იყვნენ აუტანელი ტკივილების გამო, რომელიც გამოწვეული იყო დიზურული მოვლენებით და შარდის შეხუთვით. პროსტატის ადენომის კიბოდ გადაგვარების ან მისი პირველადი კიბოს შემთხვევაში, დაავადება მიმდინარეობდა უროლო-

გეუპი სიმპტომების გარეშე, ამ ავადმყოფებს აწუხებდათ ნევრალ-
გიური და ფილტვის დაავადების სიმპტომები, რაც პირობადებული
იყო აღნიშნულ ორგანოებში სიმსივნის მეტასტაზირებით; ზოგი-
ერთ შემთხვევაში აღვილი ჰქონდა თირკმლის უკმარისობის მოვ-
ლენებს.

დიაგნოსტიკის ძირითად მეთოდებიდან გამოყენებული იყო —
პროსტატის დიგიტალური კვლევა, საექვო შემთხვევებში კი ფარ-
თოდ მიემართავდით რენტგენ-რადიოლოგიურ გამოკვლევებს, პრო-
სტატის შორისის მხრივ ან ტრანსრექტალურ ბიოფსიას.

წინამდებარე ჯირკვლის ადენომის კიბოდ ტრანსფორმირების
შემთხვევებში, დაავადების სტადიურობის განსაზღვრისა და მკურ-
ნალობის ეფექტურობის დადგენის მიზნით წარმოებდა ლიმფო-
გრაფია.

ხანშიშესული და მოხუცი ავადმყოფების საოპერაციოდ მომ-
ზადების ღონისძიებათა კომპლექსში დიდი მნიშვნელობა ენიჭება
ბრძოლას გაუწყლოვნებასთან, შარდის გამომყოფი გზების ინფექ-
ციასთან, წყალ-ელექტროლიტური ბალანსის გაწონასწორებასთან.

ოპერაციის წინა პერიოდში ხანდაზმულ და მოხუცებულ ავად-
მყოფებს უტარდებოდათ სათანადო მკურნალობა, რათა თავიდან
აგვეცილებინა ოპერაციის შემდგომი გართულება — თირკმლის უკ-
მარისობის მოვლენები.

წინამდებარე ჯირკვლის კეთილი და ავთვისებიანი სიმსივნეების
უმრავლეს შემთხვევებში ფართოდ მიემართავდით ოპერაციულ ჩა-
რევას (94 ტრანსვეზიკალური ადენომექტომია, ხოლო 10 შემთხვე-
ვაში კი შორისის მხრივი პროსტატექტომია), ქიმიო-პორმონა-
ლურ მკურნალობასთან კომბინაციაში; ხოლო ერთეულ შემთხვე-
ვაში ავადმყოფებს უტარდებოდა სხივური მკურნალობა.

ჩვენი მასალის ანალიზის შედეგად გამოვთქვამთ მოსაზრებას,
რომ პროსტატის ადენომის კიბოდ ტრანსფორმაციის თავიდან აცი-
ლების მიზნით, მიზანშეწონილია 40—45 წლის ზევით ყველა მა-
მაკაცის პროფილაქტიკური გამოკვლევა, მოსახლეობაში ფართო სა-
ნიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება.

საერთო ცილის, ცილოვანი ფრაქციების, C — რეაქტიული ცილის და ნარჩენი აზოტის რაოდენობრივი გამოკვლევა სისხლის შრატში ყბავის ძვლების მოტეხილობის დროს

(ექიმთა დახელოვნების თბილისის სახ. ინსტიტუტის გადაუღებელი ქირურგიისა და ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრა)

სისხლის შრატში ცილის ფრაქციების შემცველობა და მათი ურთიერთშეფარდება მკვლევართა აზრით ასახავს ორგანიზმის ცილის სინთეზის უნარს და შემგუებელი მექანიზმების მდგომარეობას.

შესწავლილია სისხლის შრატში საერთო ცილის, მისი ფრაქციების, C—რეაქტიული ცილის და ნარჩენი აზოტის შემადგენლობა ყბების ძვლების მოტეხილობის დროს სხვადასხვა ასაკის პირებში.

გამოკვლეულია სხვადასხვა ასაკის 50 ავადმყოფი ყბების ძვლების მოტეხილობით, მოტეხილობიდან პირველი ორი დღის განმავლობაში, მასალა დამუშავებული ვარიაციული სტატისტიკით, წარმოდგენილია ცხრილში (ი — ავადმყოფთა რაოდენობა).

ასაკი	n	საერთო ცილა %-ში	ალბუმინები %-ში	გლობულინები. (%-ში)		
				α	β	γ
10—19	10	7,0±0,17	50,85±0,8	16,55±0,6	14,50±0,3	18,10±0,4
20—29	10	6,9±0,28	49,4±0,6	15,35±6,6	15,24±0,5	20,64±0,8
30—39	10	6,9±0,20	49,81±1,7	16,21±0,4	15,12±0,4	19,86±0,3
40—49	8	6,9±0,18	50,81±1,7	15,32±0,2	15,05±0,5	18,82±0,3
50—59	6	6,6±0,32	48,10±1,1	16,80±0,7	16,91±0,4	18,19±0,4
60—70	6	6,4±0,20	47,20±1,2	17,75±0,6	17,20±0,5	17,85±0,3

როგორც ცხრილიდან ჩანს. საერთო ცილის რაოდენობა სისხლის შრატში ყბების ძვლების მოტეხილობის დროს ყველა ასაკობრივ ჯგუფში ნორმის ფარგლებშია. უფრო ხნიერებში მისი რაოდენობა მცირდება, თუმცა ნორმის ფარგლებს არ სცილდება.

ალბუმინების რაოდენობა ყველა ასაკობრივ ჯგუფში დაკლებულია ნორმასთან შედარებით, რაც უფრო მკვეთრადაა გამოხატული 50 წლის შემდეგ.

გლობულინების რაოდენობა ყბების ძვლების მოტეხილობის შემთხვევებში მომატებულია. აქაც 20-დან 50 წლამდე ასაკობრივ

ჯგუფებში, როგორც α , ისე β და γ გლობულინების შემცველობა სისხლის შრატში თითქმის ერთნაირია, მაშინ როცა 50 წლის შემდეგ α და β გლობულინების რაოდენობა უფრო მკვეთრად მატულობს, ვიდრე γ გლობულინის რაოდენობა.

ნარჩენი აზოტი 20-დან 50 წლამდე ასაკში არ სცილდება ნორმის ფარგლებს. ხოლო უფრო ხნიერებში რამდენადმე მომატებულია.

C — რეაქტიული ცილა გამოუვლინდა ყველა ასაკობრივ ჯგუფის ავადმყოფების შემთხვევათა 50%-ს.

ამრიგად, ყბების ძვლების მოტეხილობის დროს ასაკის მომატების პარალელურად აღინიშნება სისხლში ცილის ფრაქციების,

C — რეაქტიული ცილისა და ნარჩენი აზოტის რაოდენობრივი ცვლილება, რაც წარმოადგენს ორგანიზმის საპასუხო რეაქციას ტრავმაზე. ეს ცვლილებები უფრო მკვეთრია 50 წლის შემდეგ.

ა. სავადაზვილი

ღვიძლის ციროზის ეპიდემიოლოგიის და კლინიკური დახასიათებისათვის ასაკობრივ ასპექტში

(აქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტი, ქ. თბილისი)

შრომა ეყრდნობა ღვიძლის ციროზით დაავადებული 954 პირის მონაცემებს, რომელიც შეგროვილია თბილისის სამედიცინო დაწესებულებებში 1966—1970 წლების განმავლობაში და ინსტიტუტის ჰეპატოლოგიურ განყოფილებაში გატარებულ 325 ავადმყოფის ანალიზს.

მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურის გათვალისწინებით დაავადების სიხშირის მაქსიმუმი მოდის ხანშიშესულ ასაკზე. 10 000 მოსახლეზე დაავადებულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნა 60—69 წლის ასაკობრივ ჯგუფში და შეადგენს საშუალოდ 10,9-ს.

განსხვავება ღვიძლის ციროზით დაავადებულობის სიხშირეში ქალებსა და მამაკაცებს შორის ყველაზე მკვეთრად არის გამოხატული 50 წლის ასაკამდე, შემდეგ სხვაობა თანდათანობით მცირ-

დება. შეფარდება ასაკობრივ კრილში წარმოდგენილია როგორც 1:2,5; 1:3,4; 1:3,3; 1:2,1; 1:1,8; და 1:1,3. შესაბამისად მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე ათწლეულებისა და მომდევნო ასაკობრივი ჯგუფისათვის (70 წელი და მეტი).

ღვიძლის ციროზით გამოწვეული სიკვდილიანობა ყველაზე მაღალია 60—69 წლის ასაკში. ამ ჯგუფისაგან ძირითადად არ განსხვავდება მომდევნო ასაკის მაჩვენებლები.

ღვიძლის ციროზის ძირითადმა ეტიოლოგიურ ფაქტორთა ანალიზმა ასაკობრივ კრილში დაგვანახა, რომ ვირუსული ჰეპატიტი ახალგაზრდა ასაკში გაცილებით უფრო ხშირად (37,8%-ში) გვხვდება. ასაკის მატებასთან ერთად მისი როლი მცირდება. ალკოჰოლური ინტოქსიკაციის ფაქტორი თითქმის ერთნაირი სიხშირით გამოვლინდა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. დანარჩენი ეტიოლოგიური ფაქტორები (შაქრიანი დიაბეტი, სხვა დაავადებები) ასაკის მატებასთან ერთად ამჟღავნებს გამოხატულ ტენდენციას გახშირებისაკენ.

გამორჩევა, რომ ღვიძლის ციროზის დროს ახალგაზრდა ასაკში ტემპერატურის მატება კანის ქავილი და სიყვითლე თითქმის ორჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ხანშიშესულ და მოხუცებულ ასაკში.

ცვლილებები ბილირუბინისა და ტრანსამინაზების მხრივ ხანშიშესულ ასაკში შედარებით ნაკლებად არის გამოხატული და შეადგენს საერთო ბილირუბინისათვის $2,10 \pm 1,61$, $1,8 \pm 1,14$, $1,48 \pm 0,98$, პირდაპირი ბილირუბინისათვის $0,73 \pm 0,99$, $0,61 \pm 0,70$ და $0,41 \pm 0,49$ მგ%-ს, ასპარტატამინოტრანსფერაზის აქტივობისათვის $37,3 \pm 16,5$, $46,0 \pm 20,1$ და $35,2 \pm 14,9$, ალანინ-ამინოტრანსფერაზისათვის $25,8 \pm 9,8$, $27,8 \pm 13,3$ და $22,1 \pm 9,7$ ერთ-ს შესაბამისად ახალგაზრდა. საშუალო და ხანშიშესულ ასაკობრივ ჯგუფებში.

ჩატარებული დაკვირვებები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ღვიძლის ციროზი ახალგაზრდა ასაკში მიმდინარეობს მეტი აქტიულობით, ხანშიშესულებსა და მოხუცებულებში კი უფრო დუნედ.

ათეროსკლეროზით დაავადებულთა იმუნოლოგიური:
შესწავლა ასაკობრივ ასპექტში

(ქ. თბილისი სახ. სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული, სანქიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრა)

ათეროსკლეროზის სხვადასხვა კლინიკური ფორმით და სტადიით შეპყრობილ 260 ავადმყოფს ასაკობრივ ასპექტში გამოვუკვლიეთ ლეიკოციტების ფაგოციტური აქტივობა, სისხლის შრატის კომპლემენტის ტიტრი, სისხლის შრატის იმუნოგლობულინების რაოდენობა, β — ლიპოპროტეიდებთან, გულის და აორტის ქსოვილთან მორეაგირე აუტოანტისხეულები. ტარდებოდა ბლასტრანსფორმაციის რეაქცია, კანის სინჯები საკუთარ შრატთან, ლიმფოციტებთან, β — ლიპოპროტეიდებთან, აგრეთვე ტუბერკულინთან, შეისწავლებოდა ცილოვანი და ლიპიდური ცვლის მაჩვენებლები, სისხლის კოაგულაციური აქტივობა.

კომპლექსური კვლევის შედეგად გამოიჩვენა, რომ ათეროსკლეროზით დაავადებულებში ქვეითდება სისხლის შრატის კომპლემენტის ტიტრი და ლეიკოციტების ფაგოციტური აქტივობა. ქვეითდება კანის მგრძნობელობა ტუბერკულინზე. ავადმყოფებში სისხლის შრატში ვლინდება ჰომოლოგიურ და აუტოლოგიურ β — ლიპოპროტეიდებთან, აგრეთვე გულის კუნთთან და აორტასთან მორეაგირე აუტოანტისხეულები. აღინიშნება კანის დადებითი სინჯები β — ლიპოპროტეიდულ ანტიგენზე. კორონარული ათეროსკლეროზის თრომბო-ნეკროზული სტადიით დაავადებულებში საკუთარი ლიმფოციტების კანში შეყვანა ავლენს დაგვიანებულ ტიპის ზემგრძნობელობას. იმავე ავადმყოფებში აღინიშნება ლიმფოციტების ბლასტებში ტრანსფორმაციის გაძლიერება ფიტოჰემაგლუტინინისა (ფჰა) და გულის კუნთის ანტიგენის ზემოქმედებით.

ათეროსკლეროზით დაავადებულებში ასაკთან ერთად იმუნოლოგიური რეაქტიულობა იცვლება: უმეტესი მაჩვენებლების მიხედვით იმუნოლოგიური რეაქტიულობა დაქვეითებულია.

ათეროსკლეროზის დროს იმუნოლოგიური ძვრების შესწავლა ასაკოვან ასპექტში პერსპექტიულია დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახალი გზების საძიებლად.

ქუჩაში მიღებულ ტრავმათა დახასიათება
უფროსი ასაკის პირებში

(საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ქ. თბილისი)

ქუჩის ტრავმებიდან სატრანსპორტო ტრავმა განსაკუთრებით მჭიმეა უფროსი ასაკის პირებში. უკანასკნელ 7 წლის განმავლობაში ქ. თბილისში 45 და მეტი წლის ასაკის პირებში რეგისტრირებულია ტრავმის 16428 შემთხვევა.

შესწავლილი კონტიგენტი ასაკის მიხედვით განაწილებულია შემდეგნაირად: 45—49 წლები 9789 შემთხვევა, 60—74 წლები 4287, 75—89 წლები 2350; 90 და მეტი წლის ასაკის 2 შემთხვევა.

ქუჩის ტრავმის სახეთა მიხედვით ტრავმირებულთა დანაწილება შემდეგნაირად გამოიყურებოდა: სატრანსპორტო—8942, ქვეითად მოსიარულე—5614 და სხვა 1872.

დაზიანების ზასიათის მიხედვით: კრილობები შეადგენდა 32,5%, მოტეხილობები—26,9%, დაჟეილობა—23%, თავის ტვინის შერყევა და დაჟეილობა—16,8%. ამოვარდნილობა 1% და დამწრომა—0,8%.

ტრავმათა სიხშირის შესწავლამ წლის დროის, კვირის, დღეებისა და დღედამის განმავლობაში გვიჩვენა, რომ ზამთრის თვეებზე მოდის შემთხვევათა 42,6%, გაზაფხულ-შემოდგომის პერიოდზე 32,0%, ხოლო ზაფხულს თვეებზე 25,4%. დაზარალებულთა უმეტესი რაოდენობა გვხვდება კვირის დასაწყისში და ბოლოში, რაც ალბათ აიხსნება მძღოლებისა და ქვეითად მოსიარულეთა ყურადღების მოღუწებით დასვენების შემდეგ, ხოლო კვირის ბოლოში—მათი დაღლილობით. ტრავმულ შემთხვევათა მაქსიმალური რაოდენობა გვხვდებოდა დილის (27,8%) და საღამოს (31,2%) საათებში.

ავადმყოფთა კლინიკურმა დახასიათებამ გვიჩვენა, რომ ტრავმირებულთა უმეტესობას (86,2%) ჰქონდათ თანმზღლები დაავადებანი, რომელთა შორის უხშირესი იყო ათეროსკლეროზი (43,6%), შემდეგ სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებანი (16,2%). მკურნალობის პრინციპი და ტაქტიკა განისაზღვრებოდა როგორც მოტეხილობის სახით და ლოკალიზაციით, ისე დაზარალებულის საერთო მდგომარეობით. ამის გამო მკურნალობის პროცესში თავი-

დაწვე ტრავმატოლოგიურთან ერთად დაზიანებულებს უტარდებოდა გადაუდებელი თერაპიული ან ნევროლოგიური დახმარება. მოტეხილობათა მკურნალობის საქმეში ძირითად პრინციპს წარმოადგენს რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში, სიცოცხლისათვის მინიმალური სიფრთხილით ყველა ღონისძიების ჩატარება დაჭიმვის ფართო გამოყენებით არაკეროვანი გარე კომპრესიულ-დისტრაქციული ოსტეოსინაუზის მეთოდით, ანუ ისეთი მეთოდებით, რომლებიც არ მოითხოვენ ხანგრძლივ წოლით რეჟიმს. ანესთეზიოლოგიისა და რეანიმაციის განვითარებამ გაზარდა ოპერაციული აქტივობა (35%-მდე). რამაც გამოიწვია ლეტალობის დაქვეითება. ნარკოზისათვის ფტოროტანთან ერთად იხმარება „НЛА“ პრეპარატები და ნატრიუმის ოქსიბუტირატი, რომელნიც არ თრგუნავენ გულსისხლძარღვთა და სასუნთქ სისტემას და ახასიათებთ შოკის საწინააღმდეგო ეფექტი.

ამრიგად, უფროსი ასაკის ტრავმირებული ავადმყოფებისადმი გერიატრიული მიდგომა გულსისხმობს აქტიურ ურგენტულ ტრავმატოლოგიურ, თერაპიული და ნევროლოგიური ღონისძიებების ჩატარებას, რომლებიც მიმართულია სიცოცხლის შენარჩუნების და უკეთესი ანატომო-ფუნქციონალური შედეგებისათვის.

ნ. ყიფშიძე, ზ. ღუბაძე, ლ. ჟღანტი

არტერიული ჰიპერტენზიის შესწავლის საკითხისათვის მოხუცთა ასაკში

(საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტი, ქ. თბილისი)

არტერიული ჰიპერტენზიის გავრცელების შესასწავლად და არტერიული წნევის ნორმატივების დადგენის მიზნით მოხუცთა ასაკში ჩატარებული იყო ეპიდემიოლოგიური გამოკვლევა საქართველოს სხვადასხვა რაიონის რამოდენიმე პოპულაციაში.

შესწავლილია 1000 პირი. აქედან არაშერჩევითი მეთოდით 556 მოხუცი (75—89 წ. ასაკში მამაკაცი—233, ქალი—323) და შერჩევითი მეთოდით 444 ხანშიშესული (60—74 წ. ასაკში მამაკაცი—191, ქალი—253). არტერიული წნევის ნორმატივების დასადგენად გამოყავით გამოკვლეულ პირთა რიცხვიდან 40-ზე მეტი ხანშიშესული და მოხუცი, რომელთაც არ აღენიშნებოდათ დარღვევები გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ.

დადგინდა, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება არტერიული ჰიპერტენზიით დავადებულთა რიცხვი; მოხუცთა ასაკში მათი რიცხვი ორნახევარჯერ მეტია. საშუალო ასაკთან შედარებით (ამ შემთხვევებში არტერიულ ჰიპერტენზიად ითვლებოდა წნევა სინდიყის სვეტის 160/95 მმ სს-ს და მის ზევით). არტერიული ჰიპერტენზია ორჯერ უფრო ხშირად გვხვდებოდა ქალებში, ვიდრე მამაკაცებში, როგორც მოხუცთა, ისე ხანშიშესულ და საშუალო ასაკში.

საშუალო ასაკში ელექტროკარდიოგრაფიულად კორონალური ნაკლოვანების ნიშნები არტერიული ჰიპერტენზიით დაავადებულებში სარწმუნოდ უფრო ხშირია, ვიდრე ნორმოტონიკებში, მოხუცთა ასაკში ასეთი შეფარდება არა სარწმუნოა.

ჰიპერტენზიის ჰემოდინამიური ტიპების მიხედვით, მოხუცთა ასაკში ჰარბობს სისტოლური ფორმა, საშუალო ასაკში კი სისტოლურ-დიასტოლური ფორმა.

რამდენადაც ზოგიერთი ავტორი მოხუცთა ასაკში ნორმალურ არტერიულ წნევად მიიჩნევს სინდიყის სვეტის 180/95 მმ. მასალა დამუშავებული იყო ამ თვალსაზრისითაც, ცხადია არტერიული ჰიპერტენზიით შებყრობილთა რიცხვი შემცირდა (14%). არტერიული ჰიპერტენზიის ჰემოდინამიური ფორმების მიხედვით მასალა შემდეგნაირად განლაგდა: სისტოლური ჰიპერტენზია — 39,2%, სისტოლურ-დიასტოლური — 30,4%, დიასტოლური — 30,4%.

ტაქიოსცილოგრაფიული მეთოდით ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა არტერიული წნევის შემდეგი მაჩვენებლები: მინიმალური $77 \pm 8,81$ მმ სს, საშუალო ჰემოდინამიური $98 \pm 8,6$ მმ სს; გვერდითი $126 = 14,7$ მმ სს; საბოლოო $143 \pm 13,2$ მმ სს; დარტყმითი $18 \pm 6,3$ მმ სს; პულსური $47 \pm 9,6$ მმ სს.

სისხლის წნევის აღნიშნული მონაცემების შედარებით გამოვლინებულა სხვაობა მოხუცთა და ხანშიშესული პირების იგივე მონაცემებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო არ გამოდგა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე პრაქტიკული მუშაობისათვის შეიძლება რეკომენდებულ იქნეს ორივე ასაკისათვის სისხლის

წნევის მერყეობის შემდეგი მაჩვენებლები: ნორმა $\frac{120 - 159}{60 - 85}$ მმ სს,

„გარდამავალი ზონა“ $\frac{160 - 179}{95 - 94}$ მმ სს, არტერიული ჰიპერტენზია 180/95 მმ სს და მის ზემოთ.

გვიანი ეპილეფსიით კლინიკო-ელექტროფიზიოლოგიური
კორელაციები

(საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული
ნევროლოგიის ინსტიტუტი, ქ. თბილისი)

ჩვენ წინა გამოკვლევებში ნაჩვენებია, რომ ე. წ. გვიან ეპილეფსიას, მისი ეტიოლოგიის განუსაზღვრელად, ახასიათებს ტიპიური კლინიკო-ელექტროენცეფალოგრაფიული სინდრომი, პირველი ეპილეფსიური პაროქსიზმთა აღმოცენება პოსტუბერტულ ასაკში მომქმედ ეტიოლოგიურ ფაქტორებით და პათოგენეზურ მომენტთა ერთიანობა ცერებრული ჰემოდინამიკის დარღვევათა სახით.

ინტერესი გვიან ასაკში განვითარებულ ეპილეფსიური გულყრებისადმი განპირობებულია ეპილეფსიის გახშირებით პოსტნატალური ონტოგენეზის მეორე ნახევარში, პოსტუბერტული ასაკიდან დაწყებული მისი თვალსაჩინო შემცირების შემდეგ. ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ეპილეფსიის სიხშირის მრუდი შეიცავს 2 მწვერვალს — ერთს, რომელიც მოდის პირველ 15 წელზე და წარმოადგენს „ბავშვთა ეპილეფსიის“ უკვე დამკვიდრებულ კლინიკო-ელექტროენცეფალოგრაფიული მცნების განსაზღვრის საფუძველს და მეორეს, შედარებით დაბალს, რომელიც ემთხვევა 40—45 წლებს.

გვიან ასაკში განვითარებულ ეპილეფსიაზე მოდის დისციკულაციური ეტიოლოგიის ეპილეფსიის 78%. ეპილეფსიის ნაკრებ ჯგუფში, სხვა ეტიოლოგიურ ფაქტორთა შორის უპირატესობა სიხშირეში ეკუთვნის სისხლ-ძარღვოვან პათოლოგიას. აღნიშნულის ხარჯზე მცირდება ტრავმული და ტოქსიკო-ინფექციური ფაქტორის მნიშვნელობა ხანშიშესულებში (60—74 წ.), ხოლო სრულიად გამოირიცხება მოხუცებულებში (75—89 წ.).

გვიანი ეპილეფსიის განვითარებაში, კერძო ეტიოლოგიური წარმართისაგან დამოუკიდებლად, ხაზი უნდა გაესვას ცერებრული ცირკულაციის მოშლის არსებით მნიშვნელობას. ეს უკანასკნელი განპირობებს სხვადასხვა ასაკობრივი პერიოდის გვიანი ეპილეფსიის ზოგიერთ კლინიკურ თვისებათა მსგავსებას. ანგიოგრაფიული, ელექტროენცეფალოგრაფიული და რენოენცეფალოგრაფიული გამოკვლევა ნათლად გვიჩვენებს, რომ ტვინის ცირკულაციური ჰემოსტაზის დარღვევა შეიძლება გახდეს გვიანი ეპილეფსიის მიზე-

ზი არა მხოლოდ თავდაპირველი მისხლმარღვთა დაავადების, არა-
მედ თავის ტვინის ტრავმული, ინფექციური და სიმსივნური პროცე-
სებით დაზიანების დროსაც.

თ. ჩხატარაშვილი, ლ. ზელიძე ქ. მანჯგალაძე, ე. კელაპტრიშვილი

ალვეოლარული მორჩის ასაკობრივი ცვლილებები პარადონტოზის დროს და მისი მკურნალობა

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიული სტომატოლოგიის
კათედრა)

ალვეოლარული მორჩი ცხოვრების მთელ მანძილზე განიცდის
ცვლილებას.

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ალვეოლურ მორჩში განვი-
თარებული ცვლილებები პარადონტოზის ადრეული გამოვლინებაა.

შრომის მიზანია ალვეოლურ მორჩში ასაკობრივი ცვლილებე-
ბის გამოვლინება პარადონტოზის დროს. შესწავლილია 176 პა-
რადონტოზიანი ავადმყოფი (მამაკაცი—101, ქალი—75) სამი ასა-
კობრივი ჯგუფი (1-ლი 45—59 წლისა—89 ავადმყოფი, მე-2 60—70
წლის—47 ავადმყოფი, მე-3 75—89 წლის—40 ავადმყოფი). ავად-
მყოფები შესწავლილია კლინიკო-რენტგენოლოგიურად.

I ასაკობრივ ჯგუფში ჭარბობდა ანთებად-დისტროფიული
რენტგენოლოგიურად გამოხატული დიფუზური ოსტეოპოროზი,
ზი, ალვეოლარული მორჩის სადა ატროფია, პერიოდონტალური
ნაპრალი იშვიათად იყო გაფართოებული.

II ჯგუფის ავადმყოფებში ჭარბობდა დისტროფიული ფორმა,
რენტგენოლოგიურად გამოხატული დიფუზური ოსტეოპოროზი,
ალვეოლური მორჩის ატროფია, სიმაღლის დაქვეითებით და ალვე-
ოლური ძვირების განლევიტ.

III ჯგუფის ავადმყოფებს აღენიშნებოდათ დისტროფიული
ფორმა რენტგენოლოგიურად ალვეოლური მორჩის და ყბის მხეუ-
ლის ატროფია, ცვლილებები, —სკლეროზული უბნები და ძვლის
პოროზი, რაც გამოწვეულია ალვეოლური მორჩის სკლეროზით სა-
ერთო სკლეროზის ფონზე.

მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ალვეოლურულ მორ-
ჩსა და პარადონტში ასაკობრივი ცვლილებები გამოვლინდება ხან-
შიშესულ ასაკში და უფრო მკვეთრად გამოხატულია მოხუცებუ-

ლებში. ამის გამო პარადონტოზის მკურნალობა სხვადასხვა ასაკში საჭიროებს თავისებურ მიდგომას.

მკურნალობა უტარდებოდა ზოგადი და ადგილობრივი საშუალებებით. I ჯგუფის ავადმყოფებში, სადაც ქარბობდა ანთებითი და დისტროფიული ფორმა, გამოყენებულია ანთების საწინააღმდეგო და მასტიმულირებელი საშუალებები.

II ჯგუფის ავადმყოფებში დისტროფიული ფორმის დომინირების დროს გამოყენებული იყო მასტიმულირებელი და ფიზიოთერაპიული საშუალებები.

III ჯგუფის ავადმყოფებში, როდესაც ძირითადად სკლეროზულ ფორმასთან გვქონდა საქმე, გარდა ზემოხსენებული საშუალებებისა სამკურნალოდ გამოიყენებოდა ანტიკლეროზული პრეპარატები.

რ. ჩხიშიძე

ნაწლავის გარეთა ფისტულის მკურნალობის საკითხისათვის ხანშიშესულ და მოხუცთა ასაკში

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის გერონტოლოგიის განყოფილება და თბილისის სახ.

სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის პოსტალური ქირურგიის კათედრა)

სადღეისოდ ქირურგიული პათოლოგიით ხანდაზმულ ასაკში მყოფი ავადმყოფების რიცხვი საერთო კონტიგენტის 47—50%-ს შეადგენს (ვ. მინსკი, ე. ოდინცოვა, ა. აშრაფოვი და სხვა).

ნაწლავის გარეთა ფისტულის მქონე ხანშიშესულ და მოხუცებულ ასაკის ავადმყოფთა კლინიკურ მიმდინარეობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტროლიტების ცვალებადობას და მჟავებ-ტუტიანობის წონასწორობის დარღვევის შესწავლას.

შესწავლილია 112 ნაწლავის გარეთა ფისტულის მქონე ავადმყოფი, რომელთა შორის ხანშიშესულ და მოხუც ასაკში იყო 39 (35,7%), მამაკაცი 25 და დედაკაცი 14.

მორფოლოგიური შენების მიხედვით ტუჩისმაგვარი ფისტულა აღენიშნებოდა 24-ს, ხოლო მილაკოვანი 15-ს.

11 ავადმყოფზე დინამიკაში შესწავლილია ელექტროლიტების (ნატრიუმი, კალიუმი) ცვლა, საერთო ცილისა და ცილოვანი ფრაქციების თანაფარდობა სისხლის პლაზმაში.

წერილი ნაწლავის მაღალი ფისტულის მქონე ავადმყოფებში ნეკროზულ კლებულობს საერთო ცილის რაოდენობა პლაზმაში (საშუალოდ 5,4—4,2%) და მატულობს დაახლოებით 2-ჯერ α_1 და α_2 ფრაქცია. ნატრიუმის კონცენტრაცია მცირდება შრატში 7%-ით, შარდში 24%-ით, ხოლო კალიუმისა 30 და 11%-ით შესაბამისად.

დისპროტეინემია და ცილოვანი ფრაქციების თანაფარდობის ცვალებადობა უნდა აიხსნას ორგანიზმის ზოგადი ინტოქსიკაციის შედეგად განვითარებული ცილების დაშლით (ს. კოლესნიკოვი, ვ. მისნიკი, ე. ოდინცოვა და სხვა). ელექტროლიტების წონასწორობის დარღვევა გამოწვეულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დაკარგვით (ფისტულიდან გამონადენ მასაში) და შესაძლოა თირკმელზედა ჯირკვლის მინერალოკორტიკოიდური და გლიკოკორტიკოიდური ფუნქციის მოშლით (ვ. მამჩინი, ა. აბდურახიმოვი).

ხანშიშესულ და მოხუცებული ასაკის ავადმყოფთა მკურნალობასა და წინა საოპერაციო მომზადებაში მიზანშეწონილია მოკვარდუმის ენერგეტიკული რესურსების გაზრდის მიზნით გლუკოზონისულინო და ვიტამინების კომპლექსის გამოყენება; თირკმლის ფუნქციის გაძლიერებისა და ჰემოდინამიკის გაუმჯობესებისათვის ეფექტურია სისხლის შემცველების გადასხმა. ცილოვანი დეფიციტის შევსებისათვის საჭიროა მშრალი პლაზმისა და ცილოვანი პრეპარატების ფართოდ გამოყენება. ელექტროლიტური ცვლის კორექციების მიზნით ხმარებულ უნდა იქნას ფიზიოლოგიური ხსნარი და გამოსატული პიპოკალუმის შემთხვევაში 7,5% ქლორკალიუმი.

ბ. ტანავა, ლ. ზორდინა, ა. არჰელაძე, ნ. ღამენია, ჯ. ჯობაძე

ბარეგანი სუნთქვის თავისებურება კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების ბაგო ნაწარმოები კუჭის რეჰამაციის შემდეგ 60 წელზე მეტი ხნის პირებში

(თბილისის ექიმთა დახელოვნების ს.ხ. ინსტიტუტის ანესთეზიოლოგიის და რეანიმატოლოგიის კათედრა)

სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდასთან ერთად მოიმატა კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების რიცხვმა ხანშიშესულ და მოხუცთა შორის.

შესწავლილია კუჭის რეზექციის გავლენა გარეგან სუნთქვაზე. სპიროგრაფიის მეთოდით 32 ხანშიშესულ და მოხუც ავადმყოფზე. მამაკაცი — 22, ქალი — 10; ასაკის მიხედვით 60—70 წლისა — 26 ავადმყოფი, 71—80 წლისა — 4 ავადმყოფი, 81 წელზე მეტი ხნის — 2 ავადმყოფი. ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ (2—3, 5—6, 10—15 დღე) იწერებოდა სპიროგრამა. ისაზღვრებოდა სუნთქვის სიღრმე, სიხშირე, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა. ფილტვების წუთმოცულობა, ჟანგბადის მოხმარება, ფილტვების წუთობრივი ვენტილაცია, ჟანგბადის მოხმარების კოეფიციენტი. ტარდებოდა ფუნქციონალური სინჯები სუნთქვის შეკავებით ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის დროს.

გამოკვლეულ ავადმყოფებს აღენიშნებოდათ თანამგზავრი დაავადებანი: მძიმე ფორმის შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტონიული დაავადება, პნევმოსკლეროზი, ფილტვების ემფიზემა, ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი.

ყველა შემთხვევაში ოპერაცია ნაწარმოები იყო ენდოტრაქიალური კომბინირებული ნარკოზით. 8 ავადმყოფს მიეცა ეთერ-აზოტის ქვეჟანგის, 12 ავადმყოფს ფტოროტან-აზოტის ქვეჟანგის ნარკოზი, 12 ნეიროლეპტანალგეზია ტ. დარბინინის წესით.

22 ავადმყოფს ოპერაციამდე აღენიშნებოდა ჰიპერვენტილაცია, რაც წარმოადგენდა სუნთქვის უკმარისობის გამოვლინებას.

დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ოპერაციის პირველ დღეებში იცვლება ყველა სპიროგრაფიული მაჩვენებელი. 20 ავადმყოფს ფილტვების წუთმოცულობა და სასიცოცხლო ტევადობა შეუმცირდა 70%-მდე, დანარჩენებს აღენიშნათ უმნიშვნელო დაქვეითება. 94⁰/₀-ში პარალელურად გაიზარდა ჟანგბადის მოხმარება 30—40%-ით, საწყის დონესთან შედარებით, ოპერაციის შემდგომ პერიოდში პირველი 7 დღის მანძილზე 28 ავადმყოფს აღენიშნებოდა ჟანგბადის მოხმარების კოეფიციენტისა და ფილტვის წუთმოცულობის გაზრდა 31—35%. ფუნქციონალური სინჯები სუნთქვის შეკავებით ოპერაციის პირველ დღეებში ყველა ავადმყოფს ჰქონდა შემცირებული. ყველა სპიროგრაფიული მაჩვენებელი ნორმას დაუბრუნდა ოპერაციიდან მესამე კვირის ბოლოს.

ჩატარებული დაკვირვების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ: 60 წელზე მეტი ხნის ავადმყოფებს კუჭის რეზექციის შემდეგ პირველ დღეებში აღენიშნებათ გარეგანი სუნთქვის მნიშვნელოვანი დარღვევა, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ კონტროლს ფილ-

ტვის ვენტილაციაზე და დროულ კორექციას შესაძლებელი გართულებების თავიდან ასაცილებლად.

ბ. ცანავა, ნ. ლომთათიძე, ლ. კუნაშვილი, ი. შინგალია

ფტოროტანის ნარკოზის თავისებურება მოხუცთა ასაკში

(თბილისის ექიმთა დახელოვნების სახ. ინსტიტუტი, ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის კათედრა)

მოხუცთა ასაკში სანარკოზო ნივთიერების შერჩევას და მის გამოყენებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემა განიცდის რიგ ცვლილებებს, ვითარდება პათოლოგიური ცვლილებები კორონარულ, თავის ტვინის და თირკმელის სისხლის ძარღვებში, რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს პნევმოსკლეროზს, ბრონქოექტაზიას, ამის გამო მოხუცებს ოპერაციის დროს ხშირად უვითარდებათ ფილტვის ატელექტაზი, ნარკოზის შემდეგ ხშირად ვითარდება ფილტვების ანთება, ლარინგიტი, ტრაქეიტი, სუნთქვითი მოცულობა კლებულობს 50%; საგრძნობლად ქვეითდება თირკმელზედა ჯირკვლების ფუნქცია.

შესწავლილია 481 ავადმყოფი. ფტოროტანის და მისი კომბინაციის აზოტის ქვეყანგის ოპერაციის წინ, ოპერაციის დროს და მის შემდგომ პერიოდში ეკვლევიდით: მაჯის ცემის სიხშირეს, მის ხასიათს, არტერიულ და ვენურ წნევას, ელექტროკარდიოგრამას, ელექტროენცეფალოგრამას, ოქსიგემოგრამას, ბიოქიმიურ ცვლილებებს სისხლში.

დიდ ყურადღებას ვანიჭებთ ავადმყოფის მომზადებას ნარკოზისათვის, რომელიც რიგ შემთხვევაში დიდ დროს მოითხოვს. მოსამზადებელ კომპლექტში ჩვენ ვიყენებთ: ქანგბადს, სამკურნალო ფიზკულტურას, ბრონქიალური ხის ტუალეტს, ანტიბიოტიკებს, ვიტამინებს, კუჭ-ნაწლავის სისტემის მოწესრიგებას, საჭიროების დროს სისხლის ან მისი შეშუცვლელების გამოყენებას.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დიგიტალისის პრეპარატების გამოყენებას ოპერაციამდე 3—4 დღით ადრე (გლუკოზიდები). აღნიშნული პრეპარატების გამოყენებამ საგრძნობლად გააუმჯობესა ავადმყოფთა გულ-სისხლძარღვთა მდგომარეობა ოპერაციის წინ და ოპერაციის შემდეგ.

განვირკვია, რომ ფტოროტანი ამცირებს სისხლის ძარღვების ტონუსს, აფართოებს პერიფერიულ სისხლის ძარღვებს, დამთრგუნველად მოქმედებს სიმპათიკურ განგლიებზე. რის გამო არტერიული წნევა კლებულობს.

ფტოროტანი აზოტის ქვეყანგთან კომბინაციაში აუმჯობესებს კორონალურ სისხლის მიმოქცევას. ფტოროტანის ნარკოზის დროს ბრონქები ფართოვდება, რომლის გამო: ატელექტაზი, ბრონქების დაცობა, ბრონქო- და ლარინგოსპაზმი ჩვენს შემთხვევაში არ აღინიშნება. ფტოროტანის ნარკოზის შემდეგ ფილტვების ანთება განვითარდა მხოლოდ 3 შემთხვევაში.

ფტოროტანის ნარკოზი მოხუცთა ასაკში იძლევა შესაძლებლობას ჰიპერტონული დაავადების დროს სისხლის წნევა დავაქვეითოდ, გავაუმჯობესოდ კორონალური სისხლის მიმოქცევა, ფილტვების ვენტილაცია. შევამცირეთ რიგი გართულებები როგორც ნარკოზის, ასევე ნარკოზის შემდგომ ხანაში.

ბ. ცანავა, ი. შინგალია, ლ. კუხუთლია

ბაუტკივარების თანამედროვე მეთოდები ნალვლის ჰუმბტუ მკურნალობის ხარისხის დროს ხანდაზმულ ასაკში

(ექიმთა დახელოვნების თბილისის სახ. ინსტიტუტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის კათედრა)

ხანდაზმულ ასაკში ხშირია ნალვლის გზების დაავადებანი, რომლებიც მოითხოვს ოპერაციულ მკურნალობას. მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ გარდა დასახელებული პათოლოგიისა ამ ასაკის ავადმყოფებს ხშირად აღენიშნებათ გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებანი, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა.

შრომის მიზანია შეირჩეს ანესთეზიის მეთოდი ხანდაზმული ასაკის ავადმყოფებში ნალვლას ბუმბტზე და სანალვლე გზებზე ოპერაციული ჩარევის დროს. ამ მიზნით ვიკვლევდით ღვიძლის ფუნქციურ მდგომარეობას სწვადასხვა სახის ანესთეზიის გამოყენებისას. შესწავლილია 59—89 წლის ასაკის 140 ავადმყოფი (22 მამაკაცი და 118 ქალი). ჩატარებული ოპერაციის ძირითადი სახეები იყო ქოლეცისტექტომია (118) და ქოლეცისტონტეროსტომია (22).

გაუტკივარება წარმოებდა ენდოტრაქეალური ნარკოზით. ძირითად საანესთეზიო ნივთიერებად გამოყენებული იყო: ეთერი

(22 ავადმყოფი — 15,7%), ფტოროტანი (15 ავადმყოფი — 10%), ციკლოპროპანი (18 ავადმყოფი — 12,1%), ვიადრილი (49 ავადმყოფი — 19,5%) და ნეიროლექტანალგეზია (66 ავადმყოფი 47,1%) ძირითად საანესთეზიო ნივთიერებას ემატებოდა აზოტის ქვეყანგი.

ნარკოზის მიმდინარეობაში შეისწავლებოდა: მაჯისცემის სისხშირე, არტერიული და ვენური წნევა, მპბ და მმბ მონაცემები, მუცელ-ტუტოვანი წონასწორობა. ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობის დასადგენად ისაზღვრებოდა: სისხლში ცილებისა და ცილოვანი ფრაქციების რაოდენობა, ბილირუბინისა და შაქრის შემცველობა, ღვიძლის დეზინტოქსიკაციური ფუნქცია (სულემის და თიმოლის სინჯით), ტაკატა — არას რეაქცია.

გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე ნეიროლექტანალგეზია ახდენს დადებით გავლენას. ამ ნარკოზის დროს აღინიშნება ჰემოდინამიკური მაჩვენებლების სტაბილობა. ასევე დადებითი გავლენა აქვს გულსისხლძარღვთა სისტემაზე ვიადრილს, მაგრამ ამ სახის ნარკოზის დროს ძნელია ნარკოზის მართვა და ზოგჯერ მისი არათანაბარი სიღრმე უარყოფითად მოქმედებს ჰემოდინამიკის სტაბილობაზე.

ყველაზე ნაკლებ ტოქსიკური გავლენა ღვიძლზე აქვს ნეიროლექტანალგეზიას, ვიადრილის და ციკლოპროპანის ნარკოზს. ყველაზე მეტი ტოქსიკურობა ახასიათებს ფტოროტანს.

ამ სახის ნარკოზის დროს აღინიშნება ღვიძლის ცილოვანი ფრაქციების დაქვეითება, ბილირუბინის მომატება, ფერმენტების ქოლინესთერაზის აქტივობის დაქვეითება და ალდოლაზის აქტივობის მომატება.

ამგვარად, ხანდაზმულ ავადმყოფებში ნაღვლის ბუშტის პათოლოგიის დროს არჩევით მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს ნეიროლექტანალგეზია. ზოგ შემთხვევაში (ჰიპერტონიის დროს) შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს ვიადრილის ნარკოზს. ციკლოპროპანის ნარკოზი არ მოქმედებს ტოქსიკურად ღვიძლის პარენქიმაზე, მაგრამ ეს უკანასკნელი ხშირად ავლენს უარყოფით გავლენას გულსისხლძარღვთა სისტემაზე და ამიტომ მოხუცებულებში მისი ხმარება უნდა იყოს მაქსიმალურად შეზღუდული. ფტოროტანის ნარკოზი ნაღვლის ბუშტზე ოპერაციის დროს მოხუცთა ასაკში უკუნაჩვენებია.

გაუტკივარების თანამედროვე მეთოდები უროლოგიური ოპერაციების დროს ხანდაზმულ და მოხუც ავადმყოფებში

(ექიმთა დახელოვნების თბილისის სახ. ინსტიტუტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის კათედრა)

ხანდაზმულ და მოხუცი ასაკის ავადმყოფებში გაუტკივარების ჩატარება მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანაა უროლოგიური ოპერაციის შემთხვევაში.

გაუტკივარების პრობლემის სირთულე უროლოგიური ოპერაციების დროს გაპირობებულია: ორგანიზმის, განსაკუთრებით ღვიძლისა და თირკმლების ბარიერული ფუნქციის მნიშვნელოვანი დაქვეითებით, თანმზღები დაავადების არსებობით, ავადმყოფთა უმრავლესობას დაინფიცირებით და ინტოქსიკაციით. ეს გარემოებანი: გვიკარნახებს შერჩეულ იქნას გაუტკივარების უსაფრთხო და დამზოგველი მეთოდი.

ოპერაციის წარმატება დამოკიდებულია ავადმყოფების ოპერაციის წინა სრულყოფილ მომზადებაზე, გაუტკივარების დამზოგველი მეთოდის შერჩევაზე და ოპერაციის შემდგომ ინტენსიურ მკურნალობაზე.

ექიმთა დახელოვნების თბილისის სახ. ინსტიტუტის უროლოგიურ კლინიკაში 1970—1974 წწ. მასამდე ნაოპერაციევი 387 ავადმყოფი 60 წლის და მეტი ასაკისა, რაც ნაოპერაციევა საერთო რაოდენობის (911), 42,5%-ს შეადგენს. მამაკაცი — 368, ქალი — 29. ზოგადი გაუტკივარების ქვეშ ოპერირებულია — 336 ავადმყოფი, სპინალური და პერიდურალური ანესთეზიით — 51. ძირითადად გამოყენებული იყო კომბინირებული ენდოტრაქეალური ნარკოზი ბარბიტურატების, ვიადრილის, ეპონტოლის, ფთოროტანის, ნეიროლეპტანალგეზის, ნატრიუმის ოქსიბუტირატის სხვადასხვა კომბინაციაში, მიორელაქსანტებისა და მართვითი სუნთქვის გამოყენებით.

არჩევით მეთოდად ვთვლით ნეიროლეპტანალგეზის შეხამებას აზოტის ქვეყანგთან, ფთოროტანთან, მიორელაქსანტებთან შემუშავებული სქემით. ოპერაციის ზოგიერთ ეტაპზე და საწყისი ჰიპერტენზიის დროს, ნარკოზის გაღრმავების მიზნით გამოყენებული იყო ფთოროტანი, რაც იძლევა მართვითი ჰიპოტონიის ჩატარების

შესაძლებლობას. წარმატებით ვიყენებდით ვიადრილს ბაზის ნარკოზისათვის.

მძიმე კონტიგენტის უროლოგიურ ავადმყოფებში, სადაც ნარკოზი დიდ რისკთან იყო დაკავშირებული (ღვიძლისა და თირკმლების ფუნქციის მკვეთრი დაქვეითება, ინფექცია და ინტოქსიკაცია, შაქრიანი დიაბეტი და სხვ.) წარმატებით ვიყენებდით პერიდურალურ ანესთეზიას. ზოგჯერ ხანგრძლივი ოპერაციების დროს პერიდურალური ანესთეზია შეხამებული იყო ნეიროლეპტანალგეზიასთან, სედლუქსენტანს, აზოტის ქვეყანგთან.

ოპერაციის წინა პერიოდში ყოველთვის შეისწავლებოდა ღვიძლისა და თირკმლების ფუნქცია, ჰემოდინამიკის და რესპირატორული მაჩვენებლები (პულსი, არტერიული და ვენური წნევა, მჟავა-ტუტოვანი წონასწორობა).

კლინიკაში შემუშავებული სქემით ჩატარებული ენდოტრაქეალური ნარკოზი არ იწვევს ჰემოდინამიკის, სუნთქვის და სხვა მაჩვენებლების ცვლილებას.

დ. წოტოიძე

სისხლის შრატის ცილოვანი შემადგენლობა ხანდაზმულ ასაკში შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა ჩირკოვან-ანთებადი პროცესის დროს

(თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული, სან-პიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრა)

შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა სისხლის შრატის ცილოვანი შემადგენლობა ჩირკოვან-ანთებადი პროცესის დროს, არ არის საკმარისად შესწავლილი.

შესწავლილია შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 70 პირის ცილოვანი სპექტრი. ამთგან 30 ავადმყოფს ჰქონდა სხვადასხვა ინტენსივობით და ხანგრძლივობით გამოხატული ჩირკოვან-ანთებადი პროცესი, 45 წლამდე ასაკისა იყო 10; 45—59 წლამდე 27; ხოლო 60—74 წლამდე 32 ავადმყოფი. I ხარისხის დიაბეტი აღენიშნებოდა 18 ავადმყოფს, II ხარისხის 14-ს, III ხარისხისა—38-ს. კონტროლისათვის შესწავლილი იყო 20 დონორის სისხლის შრატი, გამოკვლევა ტარდებოდა სისხლში შაქრის ცვლის რეგულაციამდე და რეგულაციის შემდეგ. გათვალისწინებული იყო როგორც დიაბეტის, ისე ჩირკოვან-ანთებითი პროცესის ხანგრძლივობა და სიმ-

ძიშე. მიღებული მონაცემები დამუშავებული იყო ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით.

როგორც შაქრიანი დიაბეტის, ისე მის ფონზე განვითარებული ჩირქოვან-ანთებადი პროცესის მსუბუქი და შედარებით ხანმოკლე მიმდინარეობის დროს აღინიშნება დისპროტეინემია. ალბუმინები დაქვეითებული იყო ($44,32\% \pm 1,82$, $P > 0,01$, ნორმა — $53,11\% \pm 1,11$), ხოლო α_1 და α_2 გლობულინები მომატებული (შესაბამისად $5,06\% \pm 0,62$, $P > 0,01$; ნორმა — $3,36\% \pm 0,32$, $12,32\% \pm 0,87$, $P > 0,01$, ნორმა $8,13\% \pm 0,17$) ალბუმინგლობულინების კოეფიციენტი მკვეთრად დაქვეითებული იყო ($0,78$; ნორმა — $1,14$).

ნახშირწყლების ცვლის რეგულიაციის შემდეგ აღინიშნება სისხლის შრატის ცილოვანი შემადგენლობას ნორმალიზაციის ტენდენცია, რომელიც უფრო კარგად გამოხატულია I და II ხარისხის, გაურთულებელი შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებში ალბუმინი — $51,7\% \pm 2,72$, α_1 — $2,95\% \pm 0,61$, $P > 0,01$; α_2 — $8,14\% \pm 0,51$, $P > 0,1$; β — გლობულინი მნიშვნელოვან მერყეობას არ განიცდის, ხოლო γ — გლობულინი უზშირესად სარწმუნო მომატებას განიცდის ($26,58\% \pm 1,7$; ნორმა — $22,08\% \pm 0,79$, $P > 0,01$).

ცალკე გამოყვავით 10 ავადმყოფი, რომელთა უმეტესობა ხანშიშესული იყო და ჰქონდა მძიმე ჩირქოვან-სეპტიური პროცესი, შაქრის ცვლის მკვეთრი დარღვევით. ამ ავადმყოფებს ზოგად ანემიასთან ერთად საკმაოდ სწრაფად განუვითარდათ ჰიპოპროტეინემია (საერთო ცილა $5,68\% \pm 0,24$, $P > 0,01$). იმ ავადმყოფებს, რომელთაც არ ჩაუტარებიათ დიაბეტის საწინააღმდეგო მკურნალობა, ჰქონდათ ჰიპოალბუმინემია ($33,81\% \pm 5,94$, $P > 0,01$), ჰიპერ α_1 - α_2 და γ გლობულინემია (შესაბამისად $5,8\% \pm 0,9$, $P > 0,01$; $14,82\% \pm 1,46$, $P > 0,01$; $31,73\% \pm 3,08$, $P > 0,01$) ალბუმინ-გლობულინების კოეფიციენტი მკვეთრად იყო დაქვეითებული ($0,51$). ეს მაჩვენებლები უფრო ხშირად დაავადების და გართულების სიმძიმის პირდაპირპროპორციული იყო, ხოლო ასაკთან ნაკლებად შეფარდებული.

ამრიგად, შაქრიანი დიაბეტის მძიმე ფორმის დროს ვითარდება დისპროტეინემია, ჰიპოალბუმინემიისა და ჰიპერგლობულინემიის სახით. შაქრის ცვლის დარღვევის ფონზე განვითარებული მძიმე ჩირქოვანი პროცესის დროს, ვითარდება ჰიპოპროტეინემია და უფრო მკვეთრად გამოხატული დისპროტეინემია. დისპროტეინემია ჩირქოვან-ანთებადი პროცესის გაღრმავების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია და აგვიანებს რეგენერაცია-რეპარაციას და შე-

ზორცებას. ხახშირწყლების ცვლის რეგულაცია ხელს უწყობს ცილების ცვლის ნორმალნიზაციას.

3. ჰუონია, ე. კოკილაშვილი, ც. ჩიხლაძე

უფროსი ასაკის პირებში დაავადებათა დახასიათების ზომიერთი საკითხი

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის განყოფილება, ქ. თბილისი)

უფროსი ასაკის პოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა კონტიგენტის გაცნობის დროს ყურადღებას იქცევს: დაავადებათა მიმდინარეობის თავისებურება, ცალკეული ფიზიოლოგიური სისტემის პათოლოგიათა სიხშირე, დაავადებათა ხანგრძლივობა, კომპლექსურობა და სხვა მაჩვენებლები.

ზემოაღნიშნული საკითხების შესასწავლად ჩვენ დავამუშავეთ საქართველოს სსრ ჯან. დაცვის სამინისტროს ნ. ყიფშიძის სახ. რცხს-ს II თერაპიული განყოფილების და ქ. თბილისის № 1 საავადმყოფოს III თერაპიული განყოფილების 1936—1973 წლების საარქივო მასალები.

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ რცხს-ს II თერაპიულ განყოფილებაში 1969 წელს, 1939 წელთან შედარებით დაავადებათა კომპლექსურობამ 60 წლისა და მეტი ასაკის პირებში საშუალოდ მოიმატა 34%-ით. მათგან 2 პათოლოგიით დაავადებულთა რიცხვმა შეადგინა 7,3%, 3 პათოლოგიით 20,6%, 4 პათოლოგიით 5,7% და 5 პათოლოგიით 0,4%. ახალგაზრდა ასაკის (20—39 წ) ავადმყოფებში კი დაავადებათა კომპლექსურობამ მოიკლო საშუალოდ 51,7%-ით, მათგან 2 პათოლოგიით—15,9%, 3 პათოლოგიით—7,4%, 4 პათოლოგიით—11,2%, 5 პათოლოგიით—17,2%.

მწვავედ და ქრონიკულად მიმდინარე დაავადებათა სიხშირის შესწავლამ გვიჩვენა, რომ 1969 წელს, 1936 წელთან შედარებით, ქრონიკულად მიმდინარე დაავადებათა სიხშირემ 60 და მეტი წლის პირებში მოიმატა 9,8%-ით. სხვაობა მწვავე და ქრონიკულად მიმდინარე დაავადებათა სიხშირეს შორის 1936 წელს შეადგენდა 5,4%, ხოლო 1969 წელს 33,8%.

ზემოაღნიშნულ ასაკობრივ კონტიგენტში ორგანიზმის ცალკეულ სისტემათა დაზიანების თანაფარდობისა და სიხშირის შესწავ-

ლამ გვიჩვენა, რომ 1969 წელს გავრცელების სიხშირით პირველი ადგილი უკავია გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიას — 54,5%, მეორე სასუნთქი სისტემის პათოლოგიას — 45,9%, შემდეგ მოდის საკმლის მომნელებელი — 42,8%, საყრდენ-მამოძრავებელი — 41,3% და ენდოკრინული სისტემების პათოლოგიები — 36,8%. 1969 წელს ახალგაზრდა ასაკის ჰოსპიტალიზირებულ კონტიგენტთან შედარებით 60 და მეტი წლის პირებში გულ-სისხლძარღვთა პათოლოგია გვხვდება 4-ჯერ უფრო ხშირად, სასუნთქ ორგანოთა პათოლოგია 2,2-ჯერ. 1936—69 წლებში ცალკეულ სისტემათა დაზიანების სიხშირის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ადგილი აქვს გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიის მატებას 14,2%-ით, სასუნთქი სისტემის პათოლოგიის — 10,9%-ით; საკმლის მომნელებელი სისტემის პათოლოგიის — 12,0%-ით.

საწოლი დღეების დაკავების განაწილების შესწავლამ გვიჩვენა უფროსი ასაკის პირებში საწოლი ადგილების დაკავების შესამჩნევი ზრდა. 1973 წელს, 1950 წელთან შედარებით, 60 და მეტი წლის პირებში ეს მაჩვენებელი გაიზარდა 11,1 საწ/დღით. 40—59 წლის პირებში 13,9 დღით, ხოლო ახალგაზრდა პირებში მხოლოდ 4,1 დღით. 1950 წელს სხვაობა საწოლი დღეების დაკავების რიცხვში ახალგაზრდა და 60 და მეტი წლის ავადმყოფებს შორის შეადგენდა 7.0 საწ/დღეს, ხოლო იგივე მაჩვენებელი 1973 წელს 15.0 საწ/დღეს შეადგენდა.

წარმოებული კვლევის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ავლიშნოთ, რომ ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა კონტიგენტში ასაკის მატების პარალელურად ადგილი აქვს დაავადებათა კომპლექსურობის ზრდას, მწვავედ მიმდინარე დაავადებათა სიხშირის კლების ფონზე საგრძნობლად იზრდება ქრონიკულად მიმდინარე დაავადებათა პროცენტი, მატულობს გულ-სისხლძარღვთა. საკმლის მომნელებელ და სასუნთქ ორგანოთა სისტემის დაავადებათა სიხშირე; საშუალოდ ერთ ავადმყოფზე შესამჩნევად იზრდება საწოლი დღეების დაკავების რიცხვი და სხვა.

ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას უფროსი ასაკის ავადმყოფთა სპეციალიზირებული გერიატრიული ზომსახურების ორგანიზაციაზე.

მწვავე აპენდიციტის ქირურგიული მკურნალობის
შედეგები ხანშიშესულ და მოხუცებულ ასაკებში

(თბილისის სახ. ექიმთა დახელოვნების I ქირურგიული კათედრა)

სიცოცხლის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით გაიზარდა მწვავე აპენდიციტით დაავადებულთა რიცხვი ხანდაზმულ ასაკში. თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის I ქირურგიის კათედრაზე 1970—73 წწ. მწვავე აპენდიციტის გამო ოპერაცია გაუკეთდა 239 60 წელზე მეტიხნის ავადმყოფს (ქალი—132, მამაკაცი—107), წლოვანებისდა მიხედვით ავადმყოფები შემდეგნაირად განაწილდა: 60—65 წწ.—106, 66—70 წწ.—65, 71—75 წწ.—35, 76—80 წწ.—27 და 81 წელზე მეტი ხნისა—6 ავადმყოფი. სიკვდილიანობა უდრიდა 0,41% (1 შემთხვევა). სიკვდილის მიზეზი—დიფუზური ჩირქოვანი პერიტონიტი.

236 ამოკვეთილი ქიაყელა ნაწლავიდან კატარალური ფორმა დადგინდა 119 შემთხვევაში, ფლეგმონოზური—69, განგრენოზულ-დესტრუქციული—30, პერფორაციული—18, 3 შემთხვევაში აპენდიქსი არ იქნა ამოღებული აპენდიკულარული ინფილტრატის—(2 შემთხვევაში) და აპენდიკულარული აბსცესის არსებობის გამო—(1 შემთხვევაში).

ნაოპერაციე ავადმყოფებს განუვითარდა შემდეგი გართულებები: დიფუზური პერიტონიტი—21-ს, შემოსაზღვრული პერიტონიტი გამონაყონით—37-ს.

189 ოპერაცია ჩატარებული იყო ადგილობრივი ანესთეზიით, 28—ენდოტრაქეალური ნარკოზით და 22—ადგილობრივი ანესთეზიით ზოგადი გაუტკივარების დამატებით.

თანმხლები დაავადებებიდან აღინიშნებოდა გამოხატული კარდიოსკლეროზი—56 ავადმყოფს, ჰიპერტონული დაავადება—42, გულსისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული უკმარისობა—15, ბრონქიალური ასთმა—7, ქრონიკული ბრონქიტი—15, თავის ქალასშიდა წნევის მომატება—6, ქრონიკული ფარინგიტი—15, ქრონიკული ჰეპატო-ქოლეცისტიტი—6, თრომბოფლებიტი და ენდარტერიტი—4, შაქრიანი დიაბეტი—4, ქრონიკული ნეფრიტი—2, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა—1 ავადმყოფს.

216 ავადმყოფს გაუკეთდა მხოლოდ აპენდექტომია, 17-ს აპენდექტომია მუცლის ღრუში დრენირებით და ტამპონაციით, 3-ს აპენ-

დექტონია და დამატებით კონტრაპერტურები, ხოლო დანარჩენ 3-ს ძბოლოდ მუცლის ღრუს დრენირება და ტამპონაცია.

ოპერაციის შემდგომ პერიოდში აღინიშნება შემდგომი გართულებები: კანქვეშა დაჩირქება—22 ავადმყოფს, პნევმონია—13-ს. ნაწლავთა ვახანგრძლივებული პარეზი—5-ს, განავლოვანი ფისტულა განუვითარდა 2 ავადმყოფს.

ხანდაზმულ ასაკში სასწრაფოდ ჩატარებული აპენდექტომიის შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ავადმყოფის ზოგად მდგომარეობას, თანმხლებ დაავადებებს; ამ ავადმყოფებს სტაციონარში შესვლისთანავე უნდა ჩაუტარდეთ კომპლექსური მკურნალობა.

ი. ჯავახიშვილი, ა. ანასაშვილი, ბ. კობულაია, ვ. ბორჯაბიძე
ლ. თევდორაშვილი, ლ. ნინუა, თ. არონოვა, თ. ჯავახაძე

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დასავადების მიმდინარეობის ასაკობრივი თავისებურებანი (თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაкультეტის პოსტიტულური თერაპიის კათედრა)

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების კლინიკის და შესაბამისად მკურნალობის თავისებურებებისადმი ასაკობრივ ასპექტში მიძღვნილია მრავალი ნაშრომი (ლ. ჟაგარენკოვა და თანაავტ. 1965, მ. კამაევა და თანაავტ. 1963, მ. ბოგატირიოვი, 1964, ხ. ჩებანოვი, 1962, მ. კანდელაკი და თანაავტ. 1967, კ. ვირსალაძე და თანაავტ. 1974), რომელთა უმრავლესობაში განხილულია ერთ-ერთი ასაკობრივი ჯგუფი. ლიტერატურული მონაცემების შედარებამ გვაჩვენა აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულ საკითხზე. მოხუცებულთა ასაკში წყლულოვანი დაავადებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი ვლინდება ახალგაზრდა ასაკში და პირიქით.

შესწავლილია 500 ავადმყოფის ისტორია, რომლებიც გატარებულია ამიერკავკასიის რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს III თერაპიულ განყოფილებაში კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებით. 39 წლამდე ასაკის (ახალგაზრდა)—225 ავადმყოფი, 40—59 წლის (საშუალო ასაკი)—217 ავადმყოფი; 60 წელზე უფროსი (ხანშიშესულთა ასაკი)—58 ავადმყოფი. ყველა ასაკობრივ ჯგუფში ჰარბობდა მამაკაცები 7:1, 4:1, 7:1 შესატყვისად.

გარჩეულ მასალაზე საშუალო ასაკის ავადმყოფთა ჯგუფში არ გამოვლინებულა რაიმე თავისებურება დაავადების მიმდინარეობაში. ამის გამო გადაწყვეტიტთ ძირითადად შეგვედარებინა ახალგაზრდის და ხანშიშესულთა ჯგუფებში მიღებული მონაცემები. კლინიკაში დაჰყვეს ახალგაზრდებმა საშუალოდ 26,3 დღე, ხანშიშესულებმა კი 27,5 დღე.

საწოლ-დღეთა ეს. თანათარღობა შეიძლება მოწმობდეს კონსერვატული მეთოდით მკურნალობის ერთნაირ ეფექტურობაზე ორივე ასაკობრივ ჯგუფში. ამას ადასტურებს აგრეთვე დაავადების გამოსავლის თითქმის ერთნაირი მაჩვენებლები (95% და 90% შესატყვისად). შემოსვლისას და გაწერისას დიაგნოზთა სხვაობა უფრო მეტი იყო ახალგაზრდა ასაკში—52,2%, ვიდრე ხანშიშესულებში—27,5%.

ეს შესაძლებელია გამოწვეული იყოს იმით, რომ ახალგაზრდა ასაკში დაავადება უფრო ხშირად მიმდინარეობს ატიპიურად. კუჭში ლოკალიზაციით მიმდინარე წყლულოვანი დაავადება უფრო ხშირი იყო ხანშიშესულთა ასაკობრივ ჯგუფში.

